



საქართველოს ბიბლიოთეკა



ნ. ნიკოლაძის სახელობის ქ. ფოთის
საბავშვო ბიბლიოთეკა

N 1 (82) 2021



საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ყოველკვარტალურ ორგანოს. გამოიცემა ეროვნული ბიბლიოთეკის დაფინანსებით და უფასოდ ურიგდებათ საქართველოს ბიბლიოთეკებს; ჟურნალში გამოსაქვეყნებელი მასალები მიიღება ელექტრონული ფორმით მისამართზე: sakartvelosbiblioteka@gmail.com

ავტორების მიერ სტატიებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ გამოხატავდეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას მასალების შინაარსზე.

- მთავარი რედაქტორი: **მაია მიქაბერიძე**
- საკატიო რედაქტორი: **ალექსანდრე ლორია**
- სარედაქციო კოლეგია: **გულნარა სტურუა
რუსუდან ასათიანი
დალი მაჩაიძე
გიორგი ჩუბინიძე
მირიან ხოსიტაშვილი**
- ტექნიკური რედაქტორი: **ლოლა სანაია**
- დიზაინი: **გიგი გელაშვილი**
- დაკაბადონება: **მაკა ნათაძე**

საქართველოს ბიბლიოთეკა №1(82) – 2021; გამოიცემა 2000 წლიდან.
©საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ამ ჟურნალში გამოქვეყნებული ფოტოები აღებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელიდან“.

ISSN 1512-0880
www.nplg.gov.ge
www.gela.org.ge



[www.fb.com/magazineLibraryofGeorgia](https://www.facebook.com/magazineLibraryofGeorgia)



გიორგი კეკელიძე
რუსუდან ასათიანი
მიმართვა

3

მაია მიქაბერიძე
რედაქტორისაგან

4

საქართველოს ისტორია

ვახტანგ გურული
რუსეთის ჯარის გასვლა საქართველოდან

5

ლევან ჯიქია

საბჭოთა რუსეთ-საქართველოს
1921 წლის თებერვალ-მარტის ომი
(100 წელი საბჭოთა ოკუპაციიდან)

10

სრულიად საქართველოს
კათოლიკობ-პატრიარხი ლეონიდი
მოწოდება

15

სალომე ჭანტურიძე

100 წელი ოკუპაციიდან: გამოფენა მარო მაყაშვილის
სახელობის ბაღში

16

ჭიჭინის ისტორია

მანანა სამაშვილი

იულიუს კლაპროთის ორი გამოცემა
საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში

17

ნანა კაციტაძე

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის
აქტები - კავკასიის ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო

23

საქართველოს ბიბლიოთეკები: რაისის ისტორია და ელენაგორისა

ირმა კეკელიძე

რუსთაველის რკალი №1
(ფოტის ნ. ნიკოლაძის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა)

27

სოსო კოტორეიშვილი

ცუდი ამბის კარგი დასასრული!
ბაღდათის მუნიციპალიტეტის 7 სოფელში
გაცოცხლებული ბიბლიოთეკები

32

ნიკოლოზ მაჭავარიანი

ნიგნის წარდგინება (ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკა)

36

ქაჩაყალი შერჩეულა

თეიმურაზ დოიაშვილი

„სადღეგრძელო იყოს მისი“ ანუ ომის წინ
ღამე ლხინი ტფილისი სიახლოვეს

38

დალი მაჩაიძე

ბაჩანა ბრეგვაძე – მოღვაწე სული, ზედროული
და ზესივრცული, ქართველად განსხეულებული

43

ჩეჩენია, მიმსილოვა, მთაბეჭედილოებში

მარიამ მარჯანიშვილი

ქალთა სახეები მიხეილ მახარაძის წიგნში „მერიემი“

46

ალექსანდრე ლორია

გამოხმაურება

54

საბჭოები საყაყაოებზე აფებზე

სტანისლავ ციბულსკი:

„ჩემთვის სამშობლო ის ადგილია,
სადაც დაბრუნება მინდება, სადაც მელოდებიან“
ესაუბრა ნათია კოპაძე

56

მკვანება

ალექსანდრე ლორია

ირაკლი ღარიბაშვილი (1960-2021)

59

მაია მიქაბერიძე

ციალა ჩიკვაშვილი (1930-2021)

61

**საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის 2020 წლის გამოცემები**

62



გიორგი კაკალიძე

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკის
გენერალური დირექტორი



რუსუდან ასათიანი

საქართველოს საბიბლიოთეკო
ასოციაციის პრეზიდენტი

თუ რამე დაამარცხებს ოკუპაციას, რომელიც
სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება და დაამა-
რცხებს პირველ რიგში - საკუთარ თავში და მერე
საზოგადოდ, ეს წიგნია.

წიგნის და განათლების საუკეთესო სივრცე-
თაგანი კი ბიბლიოთეკაა. მინდა ყველა ბიბ-
ლიოთეკარს და ყველა მკითხველს შინაგანი
თავისუფლება და გარეგანი დამოუკიდებლობა
ვუსურვო. ვუსურვო, რომ იარაღი, რომელსაც წიგ-
ნი ჰქვია, მუდამ თან ახლდეს.

ეს ნომერიც ამ ამბავს ეხება, ოკუპაციის ას
წელს რომელიც განათლების ასი წლით უნდა
დავასრულოთ.

ძეიჩუას ბიბლიოთეკაში!

დადგა 2021 წელი და ჩვენც უფრო იმე-
დიანად, უკეთესობის მოლოდინში ვართ.
გვინდა, რომ გეგმები, რომლებიც 2020
წელს შეფერხდა, წელს განვახორციელოთ
და იმედი მაქვს, პანდემიური სიტუაცი-
ის მიუხედავად, ყველაფერი გამოგვივა.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინა-
რე, ყველა ჩვენ მიერ განხორციელებული
პროექტი Covid 19-თან დაკავშირებული
რეგულაციებით განხორციელდება, რაც,
ვფიქრობთ, დიდი ხნის განმავლობაში
იქნება აქტუალური. ჩვენ მიერ წინა წლებ-
ში განხორციელებული პროექტები, ძირი-
თადად, ბიბლიოთეკების ტექნოლოგიებით
აღჭურვასა და ბიბლიოთეკარების გადამზა-
დებას უკავშირდებოდა. წელს ჩვენი მიზა-
ნია, კიდევ უფრო გავზარდოთ ბიბლიოთე-
კის მნიშვნელობა და ჩვენს საბიბლიოთეკო
პროექტებს დავამატოთ სოციალური მნიშ-
ვნელობის, გარემოსდაცვითი და მეცნიე-
რების პოპულარიზაციის კომპონენტები.

კიდევ ერთი პრიორიტეტი, რომელიც
წელს გამოვყავით, არის სხვადასხვა ტიპის
საერთაშორისო, საბიბლიოთეკო რეკომე-
ნდაციების ქართულ ენაზე გამოცემა, რაც
საკვანძოდ მნიშვნელოვანია ჩვენი პრო-
ფესიის განვითარებისთვის.

ჟურნალის წინამდებარე ნომერი 1921
წლის საბჭოთა ოკუპაციის 100 წლის თავს
ედღვნება. სხვა საინტერესო და აქტუალურ
თემებთან ერთად, თქვენ შეგიძლიათ გაეც-
ნოთ სტატიებს, სადაც აღნიშნული პერიო-
დის მოვლენებია ასახული. ვიმედოვნებთ,
ახალი წლის პირველი ნომერი საინტერე-
სო იქნება თქვენთვის და თქვენი მკითხვე-
ლებისთვის.



მაია მიქაბერიძე

მაინც მოელება ბოლო. დაგვიბრუნდება მეტნაკლებად მშვიდობიანი და ჯანმრთელი ცხოვრება თავისი ყოველდღიური, ჩვეული ფუსფუსით, პრობლემებით, სიხარულებით, გულისტკენებით, მიღწევებითა და გამარჯვებებით.

ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ ამ მოლოდინით აგრძელებს თავის ურთიერთობას საზოგადოებასთან. შევხებით როგორც ტრადიციულ, ასევე დღეისათვის აქტუალურ თემებს, რომლებიც, ჩვენი გადასახედიდან, საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა იყოს მკითხველებისათვის.

როგორც ე.წ. ყოველკვარტალურ გამოცემას შეეფერება, პირველი ნომერი მოიცავს წლის პირველ სამ თვეს - შობა-ახალი წლის დღესასწაულებითა და ნათლისღებით გაბრწყინებულ იანვარს, გაზაფხულის სურნელითა და დედური სითბოთი გაჯერებულ მარტსა და მათ შუა - ზამთრის ბოლო თვეს, თებერვალს, რომლის არცერთი დღე არცერთ დღესასწაულთან არ ასოცირდება. თითქოს სიმბოლურიც არის ეს, რადგან თებერვალი მძიმე თვეა საქართველოსთვის.

ზუსტად 100 წლის წინ, 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველო დაიპყრო.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ხალხმა ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მრავალი უბედურება გადაიტანა, მათ შორის 2008 წლის აგვისტოს ომიც, იგი დღემდე მაინც განსაკუთრებულად მტკივნეულად განიცდის 100 წლის წინ მომხდარ ტრაგედიას. მიზეზი კი, სავარაუდოდ, უცხო ქვეყნის მენტალიტეტშია, რომელმაც უბრალოდ, ტერიტორია კი არ მიიერთა,

ჩვენს ხელში!

არამედ 70-წლიანი მმართველობის პერიოდში მთელი ერის ცნობიერების შეცვლა განიზრახა და ნაწილობრივ გამოუვიდა კიდეც. როცა საზოგადოების ნაწილს უჭირს შავისა და თეთრის, კეთილისა და ბოროტის, დამპყრობლისა და მეგობრის გარჩევა, ეს უკვე სერიოზული პრობლემური საკითხია. დღეს 30 წელი გავიდა, რაც საქართველო თავისუფალია, მაგრამ ეს გაორებული ცნობიერება ხელს გვიშლის თავისუფლების აღქმაში, რომელიც ქვეყნის აღმშენებლობის უცილობელი პირობაა.

ამიტომაც ვერ ავუარეთ გვერდი 100 წლის წინანდელი ოკუპაციის თემას ჟურნალის 2021 წლის წინამდებარე პირველ ნომერში. სტატიებში მკითხველი გაეცნობა ომის დაწყების წინაპირობებს, ქართველ სამხედროთა შემართებასა და საზოგადოების მაღალ პატრიოტულ სულისკვეთებას, რაც სამშობლოს დაცვისას გამოვლინდა.

1921 წლის 25 თებერვალი არ არის მხოლოდ ისტორია, ეს მწარე გამოცდილებაა ჩვენი ქვეყნისთვის, რომლიდანაც სასარგებლო დასკვნები უნდა გამოითანოს ერმაც და ბერმაც, მთავრობამაც და საზოგადოებამაც!

და მაინც, საუბარი მინდა დავასრულო უფრო დადებითი განწყობით - იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული ქრონიკის ტექსტი მოსახლეობას აუწყებდა, რომ „თებერვლის 21-ს ღამის 10 საათზე და 13 ნუთზე დამფუძნებელმა კრებამ, თბილისის მიდამოებში ზარბაზნების გრიალის ქვეშ, საბოლოოდ მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია“.

ასე, რომ 1921 წლის თებერვალი ჩვენთვის, უპირატესად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის 100 წლისთავის საიუბილეო თვეა, კონსტიტუციისა, რომელსაც არ დასცალდა რეალიზება, მაგრამ იგი დარჩა თავისუფალ ქვეყნის სიმბოლოდ, განსახიერებად იმისა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო.

საქართველოს ისტორია



ვაბტან გურული

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

XIX საუკუნის დამდეგიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ საქართველო დაიპყრო, ქვეყანაში რუსეთის ჯარის რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ეს დაკავშირებული იყო რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებთან, ასევე – ჩრდილო კავკასიის დასაპყრობად წარმოებულ ომებთან. რუსეთის ჯარის განსაკუთრებით დიდი ოდენობა სამხრეთ კავკასიაში პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) მიმდინარეობის დროს აღმოჩნდა. რუსეთი და ოსმალეთი სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებში შედიოდნენ: ოსმალეთი სამთა კავშირს ეკუთვნოდა, რუსეთი – ანტანტას. ამიტომ იყო, რომ 1914 წლის შემოდგომიდან სამხრეთ კავკასიაში, რუსეთ-ოსმალეთის ფრონტზე, დიდი ბრძოლები დაიწყო, რომლებიც უწყვეტად გრძელდებოდა 1916 წლის ბოლომდე. რუსეთ-ოსმალეთის ფრონტი შავი ზღვის სანაპიროდან (ქალაქ ტრაპიზონიდან) ირან-ოსმალეთის საზღვრამდე (ვანის ტბამდე) გადაიჭიმა. 1917 წლის თებერვალ-მა-

რუსეთის ჯარის გასვლა საქართველოდან

რტის რევოლუციის შემდეგ კავკასიის ფრონტზე ინტენსიური ბრძოლები შეწყდა, ხოლო 1917 წლის 5 (18) დეკემბერს ოსმალეთის ქალაქ ერზინჯანში დროებითი ზავიც დაიდო.

ერზინჯანის დროებითი ზავის შემდეგ რუსეთის კავკასიის ფრონტმა დაშლა დაიწყო. 1917 წლის 28 დეკემბერს კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის თანამდებობა დატოვა ინფანტერიის გენერალმა მიხაილ პრუჟვალსკიმ, რომელიც ამ თანამდებობაზე გენერალ-მაიორმა ევგენი ლებედინსკიმ შეცვალა. ფრონტის სარდლობა პრაქტიკულად ჯარებს ვეღარ მართავდა და მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ კავკასიის ფრონტიდან რუსეთისაკენ ჯარები მინიმალური წესრიგის დაცვით მაინც გამგზავრებულიყვნენ და დიდი რაოდენობით ოფიცრებისა და ჯარისკაცების გადაადგილებას სტიქიური და უმართავი ხასიათი არ მიეღო. კავკასიის ფრონტის მთავარსარდლობა იმაზეც კი წავიდა, რომ იმუამად არსებული სამხარეო ხელისუფლების ორგანოს – ამიერკავკასიის კომისარიატის (შეიქმნა 1917 წლის 15 ნოემბერს) აზრს დაეთანხმა და კავკასიის ფრონტის დაშლის შემდეგ ეროვნული სამხედრო ფორმირებების შექმნა შესაძლებლად მიიჩნია. ცხადია, კავკასიის ფრონტის მთავარსარდლობა ამ ნაბიჯით ჯარის უმართავი მასისაგან რაღაც ნაწილის (ეროვნული სამხედრო ფორმირებების) გამოყოფას ცდილობდა. ეროვნული სამხედრო ფორმირებები სამხრეთ კავკასიაში დარჩებოდა და მათზე პასუხისმგებლობას უკვე არა ფრონტის მთავარსარდლობა, არამედ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ხალხების ეროვნული საბჭოები აიღებდნენ. მიუხედავად ამისა, კავკასიის ფრონტის მთავარსარდლობა მაინც დიდი პრობლემის წინაშე იდგა: რუსეთში მიმავალი კავკასიის ფრო-



ნტის ჯარებისათვის უნდა გამოეყო სარკინიგზო ეშელონები და შეემუშავებინა მათი მოძრაობის გრაფიკი. ეშელონები უნდა გამოყოფილიყო როგორც ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის, ისე საკავალერიო ცხენებისა და შეიარაღებისათვის. მოროდორობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი იყო ეშელონების სურსათით მომარაგება. ყველა ეს საკითხი, ასე თუ ისე, მოგვარდებოდა. მთავარი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ კავკასიის ფრონტზე განლაგებულმა სამხედრო ნაწილებმა 1917 წლის 5 (18) დეკემბრის დროებითი ზავის დადების შემდეგ შეიარაღებისა და საბრძოლო საჭურვლის, ასევე საკავალერიო ცხენების დიდი ნაწილი გაყიდეს, მაგრამ კიდევ დარჩა სერიოზული მარაგი, ასევე საკავალერიო ცხენების დიდი რაოდენობა. სამხედრო ნაწილებს ყოველივე ამის რუსეთში გატანა უნდოდათ, რაც მარტო დამატებითი ეშელონების გამოყოფის პრობლემას არ ქმნიდა.

სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოებს არ სურდათ ფრონტიდან დაძრულ რუსეთის ჯარებს თან ჰქონოდათ შეიარაღება და საბრძოლო საჭურველი, რადგან არავინ იცოდა, თუ რას მოიმოქმედებდა დემორალიზებული და პრაქტიკულად უკვე მოროდორთა ბრბოდ ქცეული რუსეთის ჯარი.

შეიარაღებული ჯარის გადაადგილების წინააღმდეგი იყვნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოებში. ფრონტიდან რუსეთის ჯარი შეიარაღებით თუ შეიარაღების გარეშე დაიძვრებოდა, ამას კავკასიის ფრონტის მთავარსარდლობა ველარ გადაწყვეტდა, რადგან არმიას უკვე ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოები განაგებდნენ და არა გენერლები და ოფიცრები. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პროცესი სრულიად უმართავი გამხდარიყო.

უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო ისიც, თუ რა მარშრუტით მოხდებოდა კავკასიის ფრონტის ჯარების გაყვანა რუსეთში. ყველაზე მოხერხებული და უსაფრთხო იყო ჯარები ალექსანდროპოლი (გიმრი) – თბილისი – ელისავეტოპოლი – ბაქოს სარკინიგზო ხაზით გასულიყვნენ. იყო მეორე სავარაუდო მარშრუტიც: ალექსანდროპოლი (გიმრი) – თბილისი – გორი – სამტრედიის – ბათუმი (ან ფოთი). ეს გზა მოუხერხებელი იყო იმის გამო, რომ იმხანად სარკინიგზო ხაზი აფხაზეთზე არ გადიოდა, ფოთში ან ბათუმში რუსები გე-

მებში უნდა გადამსხდარიყვნენ და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ნავსადგურებამდე (ანაპა, სევასტოპოლი) მიეღწიათ. ეს თავისთავად ძალზე რთული იყო, რადგანც კავკასიის ფრონტის მთავარსარდლობას არ შეეძლო ოფიცერთა და ჯარისკაცთა უზარმაზარი მასისათვის ბათუმსა და ფოთში საჭირო რაოდენობით გემები დაეხვედრებინა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ომის დროს შავ ზღვაზე მგზავრობა უხიფათო არ იყო.

კავკასიის ფრონტიდან რუსეთის ჯარის გაყვანის ისედაც რთული პროცესი მოულოდნელად კიდევ უფრო გართულდა. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, კავკასიის ფრონტიდან დაძრული ჯარები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გამოეყენებინა.

შემუშავდა გეგმა, რომლის რეალიზება სომეხ ბოლშევიკ სტეპან შაუმიანს დაევალა. სტეპან შაუმიანს უნდა დახმარებოდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ბოლშევიკები. გეგმა ასეთი იყო: ალექსანდროპოლიდან (გიმრიდან) რუსი ჯარისკაცებითა და ოფიცრებით დატვირთული ეშელონები თბილისში უნდა შემოსულიყვნენ, საიდანაც მათი ნაწილი ელისავეტოპოლის (განჯის) გავლით ბაქოსაკენ გაემართებოდა. როგორც კი პირველი ეშელონი ბაქოს მიაღწევდა, ბოლშევიკების გავლენის ქვეშ მოქცეული ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების დახმარებით დაიწყებოდა აჯანყება და მთელი სარკინიგზო ხაზი, მასზე მდებარე ქალაქებით (ელისავეტოპოლიდან ბაქომდე), რუსების ხელში აღმოჩნდებოდა. ამის შემდეგ გაცილებით ადვილი იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მთელ აზერბაიჯანში.

ეშელონების მეორე ნაწილი თბილისში შემოსვლის შემდეგ დასავლეთ საქართველოსაკენ გაემართებოდა და როგორც კი პირველი ეშელონები საზღვაო ნავსადგურებს, ბათუმსა და ფოთს, მიაღწევდნენ, აქაც დაიწყებოდა აჯანყება და მთელი სარკინიგზო ხაზი მასზე მდებარე ქალაქებიანად (თბილისი, გორი, ხაშური, სამტრედიის, ფოთი, ბათუმი და სხვ.) რუსების ხელში აღმოჩნდებოდა, რის შემდეგაც დაიწყებოდა საქართველოს მთელი ტერიტორიის ოკუპაცია და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

სტეპან შაუმიანი და მისი თანამოაზრე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ბოლშევიკები ცდილობდნენ გამოეყენებინათ სტიქიურად დაწყებული კავკასიის ფრონტის დაშლის პროცესი. 1917 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ქალაქ ყარსიდან თბილისში რკინიგზით შემოვიდა ყარსის პოლკი, რომელიც თითქოს ჩრდილო კავკასიაში აპირებდა გასვლას. ბოლშევიკებმა პირველი დღიდანვე ყარსის პოლკის ჯარისკაცებს შორის აგიტაცია დაიწყეს. ისინი ჯარისკაცებს ამიერკავკასიის კომისარიატის დამხობისა და ადგილობრივი „ნაციონალისტების“



ვგვენი აფხაბავა

წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. პოლკში თითქმის ყოველდღიურად იმართებოდა მიტინგები. მიტინგები იმართებოდა ღამითაც. ბოლშევიკი-აგიტატორები ჯარისკაცებს მოუწოდებდნენ აეძულებინათ ამიერკავკასიის კომისარიატი, რათა ამ უკანასკნელს საბჭოთა რუსეთის მთავრობის – სახალხო კომისართა საბჭოს (თავმჯდომარე ვლადიმირ ლენინი) იურისდიქცია ეცნო. ბოლშევიკთა აგიტაციამ შედეგი გამოიღო. ყარსის პოლკი ჩრდილო კავკასიაში არ გაემგზავრა, თბილისში დარჩა და თავისი წარმომადგენლები სხვადასხვა სამხედრო ნაწილში დაგზავნა, რომლებიც ჯარისკაცებს ამიერკავკასიის კომისარიატის წინააღმდეგ გამოსვლისაკენ მოუწოდებდნენ.

პეტროგრადში დეპუტების გაგზავნის ფაქტი გახმაურდა. თბილისის მუშათა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბიურომ გადაწყვიტა წინ აღდგომოდა ბოლშევიკთა მიერ ჩაფიქრებულ შეიარაღებულ აჯანყებას. 1917 წლის 26 ნოემბერს გამოცხადდა წითელი გვარდიის (სახალხო გვარდიის) მობილიზაცია. 26 ნოემბერს, საღამოს, გაიმართა ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრისა და თბილისის მუშათა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებული საგანგებო სხდომა. სხდომამ მიიღო დადგენილება, რომელიც თბილისის მუშათა დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ბიუროს ქალაქში წესრიგის დაცვის

მიზნით საგანგებო ღონისძიებების გატარებას ავალებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ თბილისში სამხედრო მდგომარეობა ცხადდებოდა. 26 ნოემბერს, გვიან საღამოს, ყარსის პოლკს გამოუცხადეს, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა თბილისი და ჩრდილო კავკასიაში გამგზავრებულიყო. ყარსის პოლკმა ქალაქი 1917 წლის 27-28 ნოემბრის ღამით დატოვა. მიუხედავად ამისა, თბილისში შეიარაღებული აჯანყების დაწყების საფრთხე არ მოხსნილა. რამდენიმე სამხედრო ნაწილი ბოლშევიკთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

თბილისში აჯანყების დაწყების

რეალურმა საშიშროებამ საქართველოს ეროვნული საბჭო და თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭო სერიოზულად დააფიქრა იმ საფრთხეზე, რომელსაც კავკასიის ფრონტიდან დაძრული ბოლშევიკების გავლენის ქვეშ მოქცეული ჯარისკაცები უქმნიდნენ ქალაქ თბილისსა და მთელ საქართველოს. ამ მოვლენის შესახებ არსებული ქართული წყაროების მიხედვით დგინდება, რომ ალექსანდროპოლიდან დაძრული ეშელონები რუსეთში თბილისი-ელი-სავეტოპოლი-ბაქოს გავლით არ აპირებდნენ დაბრუნებას. სტეპან შაუმიანს გადაწყვეტილი ჰქონდა ყველა ეშელონი თბილისზე გავლით ბათუმისა და ფოთისაკენ წასულიყო და, პირველ რიგში, საქართველოს ოკუპაცია მოეხდინა. ყოველ შემთხვევაში, 1917 წლის დეკემბრის ბოლოს საქართველოს ეროვნულ საბჭოში სტეპან შაუმიანის საიდუმლო გეგმა ამ სახით შეიტყვეს. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოში ამ გეგმის ყველა დეტალი ზუსტად არ სცოდნოდათ. დრო არ ითმენდა და ქართველმა პოლიტიკოსებმაც იმ ინფორმაციის გათვალისწინებით დაიწყეს მოქმედება, რასაც ეროვნული საბჭო ფლობდა. ერთი რამ თავიდანვე ცხადი იყო - ფორმირების პროცესში მყოფი პირველი ქართული კორპუსი და სახალხო გვარდია თბილისში რუსეთის ჯარის შემოსვლას წინ ვერ აღუდგებოდა. თითქმის ყველა ეშელონში ღია ვაგონებზე განლაგებული არტილერიიდან რუსები ქალაქს ცეცხლს გაუხსნიდნენ, რის

შემდეგაც შეტევაზე ქვეითი ჯარი გადმოვიდოდა.

საქართველოს ეროვნულ საბჭოში შემუშავდა მეტად მახვილგონივრული გეგმა: ალექსანდროპოლიდან ამამლის, შაგალის, უზუნლარისა და სადახლოს გავლით დაძრული რუსეთის ჯარის ეშელონები თბილისში არ უნდა შეეშვათ. ამისათვის საჭირო იყო აეგოთ რამდენიმე ვერსის სიგრძის ახალი სარკინიგზო ხაზი, რომლის ერთი ბოლო თბილისიდან საკმაო მანძილის მოშორებით ალექსანდროპოლი-თბილისის რკინიგზას შეურთდებოდა, ხოლო მეორე ბოლო – თბილისი-ბაქოს სარკინიგზო ხაზს. ახალი სარკინიგზო ხაზით შესაძლებელი გახდებოდა ალექსანდროპოლიდან დაძრული რუსეთის ჯარის ეშელონები თბილისში შემოსვლელად გასულიყვნენ თბილისი-ბაქოს ხაზზე და გზა გაეგრძელებინათ ბაქოსაკენ.

ალექსანდროპოლიდან დაძრული ეშელონები რკინიგზებთან შეთანხმებით ისე ამოძრავეს, რომ იმ ადგილს, საიდანაც მარჯვნივ ახალ სარკინიგზო ხაზზე უნდა გადაეხვიათ, ღამით მოაღწიეს. რკინიგზის ახალი ხაზი სწრაფად აიგო, თუმცა ამ გეგმას თავისი ნაკლი ჰქონდა: ბოლოს და ბოლოს, რუსები ხომ გაიგებდნენ, რომ თბილისში შესვლის ნაცვლად ელისავეტოპოლში აღმოჩნდებოდნენ და შეეძლოთ მათ უკან მომავალი ეშელონები გაეფრთხილებინათ. გარდა ამისა, თბილისში რუსების ეშელონების შემოსვლის აღკვეთა საქართველოს დიდ საფრთხეს აცილებდა თავიდან, მაგრამ სერიოზულ საშიშროებას უქმნიდა აზერბაიჯანს.

დამატებით აგებული სარკინიგზო ხაზით ალექსანდროპოლიდან მომავალი რუსეთის ჯარის



ლევან მაღალაშვილი



ასლან ბეკ საფიკიურდსკი



ადილ ხან ზიიატხანოვი

ეშელონები თბილისი-ბაქოს სარკინიგზო ხაზზე გადავიდნენ, გაიარეს სადგურები აღსტაფა და ძეგამი და სადგურ შამქორთან შეჩერდნენ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რუსები შეაჩერა ელისავეტოპოლის მუსლიმთა ნაციონალური კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფმა და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ ელისავეტოპოლში წინასწარ გაგზავნილმა ჯავშნიანმა მატარებელმა. რუსების პირველი ეშელონი შამქორს 3 ვერსზე 1918 წლის

6 (19) იანვარს მიუახლოვდა. როგორც ჩანს, ამ დროისათვის საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოებში რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გარკვეული კოორდინაცია არსებობდა. ამას გვაფიქრებინებს ის, რომ 1918 წლის 6 (19) იანვარს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ დეპუტები დაუგზავნა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა ყველა ადგილობრივ საბჭოს. ცხადია, დეპუტე მთელი ელისავეტოპოლშიც. აი, დეპუტის ტექსტი: „წინადადება მიეცეს ყველა საბჭოს, მიიღონ ზომები მიმავალი ნაწილებისათვის ია-


რალის ჩამოსართმევად და ყოველი შემთხვევის შესახებ აცნობონ სამხარეო ცენტრს.“ არსებობს მეორე დოკუმენტიც. ესაა ჯავშნიანი მატარებლის მეთაურ როტმისტრ ევგენი აფხაზავას დეპუტე ელისავეტოპოლში მდგარ მუსლიმთა ცხენოსანი პოლკის მეთაურ, პოლკოვნიკ ლევან მაღალაშვილს. დეპუტე 1918 წლის 7 (20) იანვარს 15 საათზეა გაგზავნილი. აფხაზავა წერდა: „მოდის ხუთი შეიარაღებული ეშელონი ქვემეხებით, შეიპყრეს საბჭოს წარმომადგენლები, მოვდივარ ჯავშნიანი მატარებლით

წინააღმდეგობის გასაწევად. გთხოვთ დახმარებას ყოველი გვარეობის იარაღით.” პოლკოვნიკმა ლევან მაღალაშვილმა მუსლიმთა პოლკი საბრძოლველად მოამზადა.

1918 წლის 9-12 (22-25) იანვარს აზერბაიჯანელთა და ქართველთა ჯარმა ძირითადად სადგურ შამქორთან, ასევე სადგურ აღსტაფასთან ცხარე ბრძოლების შედეგად ერთი ცნობით 2.000, ხოლო მეორე ცნობით 5.000 რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი გაანადგურა, ხელთ იგდეს 15.000 შაშხანა, 70 ტყვიამფრქვევი და 20 ქვემეხი. გადარჩენილმა რუსებმა სხვადასხვა გზით ბაქომდე ჩააღწიეს. 9-12 (22-25) იანვრის ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს წევრებმა ადილ ხან ზიიატხანოვმა, ასლან ბეი საფიკიურდსკიმ, მ. რუსტამბეკოვმა, როტმისტრმა ევგენი აფხაზავამ და პოლკოვნიკმა ლევან მაღალაშვილმა.

რუსული საბჭოთა ისტორიოგრაფია, რომელსაც ეთანხმება თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფიაც, ამტკიცებდა, რომ კავკასიის ფრონტიდან დაძრულ რუსეთის ჯარებს ოკუპაციისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების არანაირი გეგმა არ ჰქონიათ. სანდო დოკუმენტებისა და მასალების შედეგად დგინდება, რომ ასეთი გეგმა ნამდვილად არსებობდა და იგი საბჭოთა რუსეთის უმაღლეს პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობისაგან მომდინარეობდა. გარდა ამისა, ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ბაქოში შესულ რუსულ ჯარზე დაყრდნობით სტეპან შაუმიანმა ადგილობრივი ხელისუფლება დაამხო და ქალაქ ბაქოსა და ნავთობსამრეწველო რაიონში საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა, რომელიც 1918 წლის აგვისტომდე არსებობდა.

ასე დაასრულა არსებობა კავკასიის ფრონტმა. რუსეთის ჯარმა საქართველო დატოვა, მაგრამ არცთუ დიდი ხნით.



**ლევან ჯიქია**

ისტორიის დოქტორი

1918 წლის 26 მაისს საქართველომ ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა დიდი სახელმწიფოების მხრიდან მისი დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე აღიარებას. ამ მიზნით ევროპის მასშტაბით დაულაღაჟად მუშაობდნენ ქართველი პოლიტიკოსები და დიპლომატები, თუმცა ისინი სერიოზულ დაბრკოლებებს წააწყდნენ: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებს აშკარად მიანიშნეს, რომ საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის გარკვევის გარეშე საქართველოს საერთაშორისო სამართალსუბიექტად აღიარება გაძნელებოდა.

საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკების დაწყება რთული აღმოჩნდა, მას თითქმის ორი წელი დასჭირდა. 1920 წლის 7 მაისს მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის მოსკოვის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. ხელშეკრულების თანახმად საბჭოთა რუსეთი ცნობდა საქართვე-

საბჭოთა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი (100 წელი საბჭოთა ოკუპაციიდან)

ლოს დამოუკიდებლობას დე ფაქტო და დე იურე, უარს ამბობდა ყოველგვარ პრეტენზიებზე საქართველოს მიმართ, რომელიც ოდესმე რუსეთს გააჩნდა საქართველოსა და ქართველი ერის მიმართ. ეს იყო უდიდესი მონაპოვარი ქართული დიპლომატიისთვის, რადგან მან ხელ-ფეხი გაუხსნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების პროცესს მსოფლიო მასშტაბით. სამწუხაროდ, რუსეთი არ აპირებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. საქართველოს მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის აპრილში აზერბაიჯანი, ხოლო 1920 წლის ნოემბერში სომხეთი დაიპყრო. რაც შეეხება ოსმალეთს, ის საომარ მოქმედებებს აწარმოებდა საბერძნეთის წინააღმდეგ, თუმცა პარალელურად ოსმალეთმა ყარსი დაიკავა, რამაც საქართველოს მთავრობაში სერიოზული შეშფოთება წარმოშვა, მოსალოდნელი იყო ოსმალეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ აგრესიული ქმედებების დაწყება.

საბჭოთა რუსეთში საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების არაერთი გეგმა იყო შემუშავებული: საქართველოში მყოფი რუსეთის საელჩოს თანამშრომლების აგენტურული საქმიანობა, საქართველოს კომუნისტური პარტიის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობა, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ე. წ. აჯანყებები, გლეხთა „აჯანყებები“ და ა. შ. ცხადი გახდა, რომ ამ ღონისძიებებმა საბჭოთა რუსეთს სათანადო შედეგი ვერ მოუტანა. საბოლოოდ გადაწყდა საქართველოს დაპყრობა საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ, თუმცა ეს შენიღბულად უნდა მომხდარიყო. საქართველოზე შეტევის ადგილად ე. წ. ლორეს „ნეიტრალური ზონა“ შეირჩა, სადაც ქართული შეიარაღებული

ძალები იყვნენ განთავსებული. ლორე სადავო ტერიტორიას წარმოადგენდა საქართველოსა და სომხეთს შორის, რასაც 1918 წლის დეკემბერში ორ ქვეყანას შორის საომარი მოქმედებების დაწყება მოჰყვა. საბოლოოდ, ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი საქართველოს დარჩა, სამხრეთი - სომხეთს, ხოლო ცენტრალური - ლორეს რაიონი - ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა, რომელსაც შერეული ქართულ-სომხური ადმინისტრაცია მართავდა. 1920 წლის 13 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთის მთავრობების შეთანხმებით ლორეს ნეიტრალურ ზონაში სამი თვის ვადით ქართული შეიარაღებული ძალები განთავსდნენ. აღსანიშნავია, რომ ამ დროს მიმდინარეობდა ოსმალეთ-სომხეთის ომი და სომხეთს ლორეში შეიარაღებული ნაწილების განლაგება არ შეეძლო. ნოემბრის დასასრულს სომხეთში საბჭოთა წითელი არმია შეიჭრა და იქ საბჭოთა რეჟიმი დამყარდა. საბჭოთა რუსეთს ლორეს ნეიტრალურ ზონაში არსებული ვითარება უნდა გამოეყენებინა საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის დასაწყებად. საბრძოლო მოქმედებები 1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს დაიწყო ე. წ. ლორეს „ნეიტრალურ ზონაში“ ქართულ შეიარაღებულ ძალებზე თავდასხმით. ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი. რუსებმა ხმა გაავრცელეს, რომ თითქოს ქართული შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ ადგილობრივი სომხური მოსახლეობა აჯანყდა. სინამდვილეში ლორეში არანაირ აჯანყებას ადგილი არ ჰქონია. სომხურ სოფლებში წინასწარ შეგზავნილმა ემისრებმა და გადაცმულმა წითელი არმიის ჯარისკაცებმა მოახდინეს ე. წ. „აჯანყება“. პირველი ორი დღე მძიმე აღმოჩნდა საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის, რომლის მეხუთე, მეშვიდე და მეორვე პოლკები ტყვედ ჩავარდა. 11-16 თებერვლის ბრძოლებში ქართული შეიარაღებული ნაწილების მარცხი განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორით: მტერმა გამოიყენა მოულოდნელობის ეფექტი. მეთერთმეტე წითელი არმიის სარდალი ჰეკერი აღნიშნავდა, რომ სისწრაფესა და მოულოდნელობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა, ეს ასეც მოხდა; გარდა ამისა, ქართული შენაერთები პატარ-პატარა რაზმებად იყვნენ სოფლებში განლაგებული, რამაც მტერს გაუადვილა მათ წინააღმდეგ ბრძოლა.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა საქართველოში - შენმანმა საქართველოს მთავრობას განუცხადა, რომ საბჭოთა რუსეთმა არაფერი იცოდა ამ თავდასხმის შესახებ, რადგან სომხეთის შეიარაღებული ძალები დაესხნენ თავს ქართულ ნაწილებს და არა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის ნაწილებს. საბჭოთა სომხეთის მთავრობის წარმომადგენელმა შავერდოვმა კი განაცხადა, რომ სომხეთის მთავრობას კავშირი არ ჰქონდა განხორციელებულ თავდასხმასთან.

15 თებერვალს მეთერთმეტე წითელი არმიის ნაწილები შემოიჭრნენ საქართველოში, ასევე, აზერბაიჯანის მხრიდან.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა წითელი არმიის ჯარისკაცები ტყვედ ჩაუვარდნენ ქართულ შეიარაღებულ ძალებს, დადასტურდა, რომ საქართველოს წინააღმდეგ საბჭოთა რუსეთი იბრძოდა. თბილისის ქუჩებში ჩამოატარეს ტყვე წითელარმიელები, მათ შორის არცერთი სომეხი და აზერბაიჯანელი არ აღმოჩნდა.



სერგო ორჯონიკიძე

16 თებერვალს, შულავერში, რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელის სერგო ორჯონიკიძის მითითებით, საბჭოთა რუსეთის გეგმების რეალიზების მიზნით, „რევოლუციური კომიტეტი“ („რევკომი“) შეიქმნა. რევკომის თავმჯდომარედ ფილიპე მახარაძე დაინიშნა, რომელიც იმ დროს საქართველოსა და კავკასიაში არც იმყოფებოდა. რევ-

კომს „საქართველოს მშრომელთა აჯანყების“ ხელმძღვანელობა ევალებოდა, თუმცა, ფაქტია, რომ ქართველი მშრომელები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ არ აჯანყებულან. შექმნის დღესვე რევკომმა საბჭოთა რუსეთს დახმარება სთხოვა.

16 თებერვალს ნოე ჟორდანიამ საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ლევ კარახანთან საუბარი სცადა (სწორედ ის აწერდა ხელს რუსეთის მხრიდან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას), მაგრამ უშედეგოდ. 17 თებერვალს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმე-

სასწრაფოდ მოწვეულს საგანგებო სხდომაზე 16 თებერვალს 1921 წელს ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის გამო, რომელიც სიტყვიერად იმავე დღეს მოგახსენეთ:

ა. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, დოცენტები, ლექტორები ასისტენტები და საზოგადოდ სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობის წევრები მზად არიან ყველანი, მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე შესწირონ საფრთხეში მყოფის ძვირფასი სამშობლოს თავისუფლების დაცვის საქმეს და სთხოვენ კომი-



ნოე ჟორდანია



ივანე ჯავახიშვილი



გიორგი კვინიტაძე

თა მინისტრი გიორგი ჩიჩერინი ირწმუნებოდა, რომ ინფორმირებული არ იყო რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოზე თავდასხმასთან დაკავშირებით. 22 თებერვალს ნოე ჟორდანიამ მიმართა ვლადიმერ ლენინსა და ლევ ტროცკის შეწყვიტათ საომარი მოქმედებები საქართველოს წინააღმდეგ.

16 თებერვალს თბილისის ქუჩებში გამოაკრეს ნოე ჟორდანიას მონოდება: „ქართველო ხალხო, ხელი ხმაღს იკარ, მტერთა ისმიან ხმაღნია“. საქართველო მოკვდება, მაგრამ მტერს არ დანებდება!“

16 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმთან არსებულ თავდაცვის კომიტეტს გაუგზავნა შემდეგი სახის დადგენილება: „პატივი გვაქვს წერილობით გაცნობოთ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს დადგენილება, მიღებული

ტეტს, რათა მათი გონებრივი თუ ფიზიკური ძალა გამოიყენოს ისე, როგორც მას საუმჯობესოდ მიაჩნია სამშობლოს დაცვის მიზნებისათვის.

ბ. უნივერსიტეტის სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ლაბორატორიებისა და სამკურნალო ფაკულტეტის კლინიკების კარები ღიაა ომის საჭიროებათათვის.

ამასთანავე გაახლებთ აქვე დართულ სიას უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო ნაწილის პირადი შემადგენლობისას.“

საქართველოს წინააღმდეგ დაიძრნენ საბჭოთა რუსეთის მერვე, მეცხრე და მეცამეტე არმიის ნაწილები, ასევე ბუდიონისა და ჟლობას ცხენოსანი არმიები. ისინი საქართველოში შემოვიდნენ სოჭი-ტუაფსეს, დარიალისა და მამისონის უღელტეხილების გავლით.

ლორეში განცდილი მარცხის გამო საქართველოს მთავარსარდალი ილია ოდიშელიძე თანამდებობიდან გადააყენეს და ქართული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალად გენერალი

კვინიტაძე დაინიშნა. მის დანიშვნას ყველა დიდი იმედით შეხვდა. გიორგი კვინიტაძემ თბილისის გამაგრებისთვის ზრუნვა დაიწყო. 17 თებერვალს გიორგი მაზნიაშვილს ებრძანა სოლანლულის პოზიციაზე და გზატკეცილის მარჯვენა მხარის გამაგრება. ჯარის ნაწილები განლაგდა, ასევე, ტაბახმელა-კოჯრის მიმართულებით ბრძოლის ველზე იყვნენ ქართველი იუნკერები.

18-19 თებერვლის ღამეს საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა შეტევა სოლანლულის მიმართულებით განავითარეს. 19 თებერვალს გორის ბატალიონმა სოლანლულის სადგურიდან



გიორგი მაზნიაშვილი

მტერი უკუაგდო. უფრო მეტიც, ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა 1600 წითელი არმიელი დააპატიმრეს. 21 თებერვალს მოწინააღმდეგე უკან დაიხია.

საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა სოფ. ლილოსთან და ორხევში. 22 თებერვალს მტერმა მარცხი განიცადა მანგლისი-კოჯრის გზატკეცილზე. 22 თებერვალს საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს გაგრა, ასევე, დაიწყო საბჭოთა ჯარების შეტევა დარიალის მხრიდან. ვითარება სულ უფრო და უფრო კრიტიკული ხდებოდა.

22 თებერვალს ოსმალეთმა ულტიმატუმი წაუყენა საქართველოს მთავრობას და არდაგანიდან და ართვინიდან ჯარების გაყვანა მოსთხოვა. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ულტიმატუმი შეესრულებინა. ამის შემდეგ ოსმალეთმა, საბჭოთა რუსეთისგან ბათუმის დაცვის საბაბით, შეიარაღებული ძალები ბათუმში შეიყვანა, რომლის შემდეგ განაცხადა, რომ ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების დადგენილებით

ბათუმის ოსმალეთთან შეერთება უნდა მომხდარიყო. ბათუმში ცხარე ბრძოლები გაიმართა საქართველოსა და ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებს შორის. მართალია ქართველებმა თურქები ბათუმიდან განდევნეს, მაგრამ ორ აგრესორთან ბრძოლა საქართველოს არ შეეძლო.

23 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ივანე ჯავახიშვილმა სტუდენტებს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „შვილებო! ჩემი მოვალეობაა მე თქვენ წიგნისა და კალმისაკენ მოგიწოდოთ, მაგრამ, ერის ცხოვრებაში არის ისეთი მომენტები როცა საჭიროა ყველაფერი განზე გადადო და იარაღით ხელში მტერს მიეგებო. და აი, მე დღეს თქვენ იარაღისკენ მოგიწოდებთ!“

24 თებერვალს წითელი არმიის ნაწილებმა რამდენიმე მიმართულებით დაიწყეს შეტევა. სიტუაცია გართულდა მას შემდეგ, რაც მტერმა სოლანლულის ქედზე მდებარე სიმაღლე და ყარაჯალას გადასარბენი დაიკავა.

24 თებერვლის ღამეს საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა თბილისის დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. მთავარსარდალი გიორგი კვინიტაძე ამ გადაწყვეტილებას ალყაში მოხვედრის საშიშროებით ხსნიდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანიას ამ საკითხზე მემუარებში წერს: „მოვიხსენიებთ მხოლოდ იმ ატმოსფერას, რომელიც შეიქმნა შტაბში. რამდენჯერ მივდიოდი (მივდიოდი დღეში ორჯერ) შტაბში, იმდენჯერ კვინიტაძე დაიწყებდა - ერთად-ერთი გამოსავალია უკან დახევა, გრძელი ფრონტის შემოკლება, მცხეთის მიმართულებით გამაგრება, ზარბაზნების დანყოფა მალლობზე და იქიდან თფილისის დაცვა, მტერი ვერ შემოვა ქალაქში, ახლა კი გზას მოგვიჭრიან, შემოგვევლებიან და სხ. ეს ყოველდღე. ეს საკითხი დავსვი სამხედრო კომისიაში. დაესწრნენ დეპუტატებიც. ამათ სახე ჩამოსტიროდათ, საქმე წაგებულათ მიაჩნდათ. არც ერთი გასამხნევებელი სიტყვა მათგან არ გამიგია. გარდა ერთად-ერთი სპ. კედისასი. მხოლოდ ის იყო წინააღმდეგი ქალაქის დატოვების, წინააღმდეგი იყო მთავრობა და თავდაცვის საბჭო. ამიტომ კვინიტაძეს ვედავებოდი, ვაჩერებდი, არ გადადგა ასეთი ნაბიჯი. მივედი 24 თებერვალს საღამოს; სარდალი უცქეროდა რუქას, იქვე იჯდა ოდიშე-

ლიძე, როგორც ჩემი მრჩეველი, შემობრუნდა და სალამის მაგიერ მითხრა: უკან ვიხევთ, იქვე უკარნახა თავის მდივანს შესაფერი ბრძანება ფრონტზე გადასაცემათ. მე მაინც მოვსთხოვე მიზეზი, გამარჯვებული ჩვენ ვართ, უკან იხევს ჩვეულებრივად დამარცხებული თქვა. მან მიპასუხა: ეს თეორიაა, საქმეს სწყვეტს კონკრეტული მდგომარეობა, ჩვენ შემოქალაქული ვართ. გზა მოჭრილია, რჩება ერთი ბილიკი - მცხეთისაკენ მიმავალი გზა და თუ ამელამ ვერ გავასწრებთ ამ მიმართულებით, ხვალ იძულებული ვიქნებით ტყვეთ ჩავბარდეთო.“

25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მეტერთმეტე წითელი არმიის ნაწილებმა თბილისი დაიკავეს, თბილისის თავზე წითელი დროშა აფრიალდა. საქართველოში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა.



27 თებერვალს წითელი არმიის ნაწილებმა გადაუთა აიღეს. 1 მარტს საბჭოთა რუსეთის მეცხრე არმია ახალი ათონის პოზიციებს მიუახლოვდა. 3 მარტს ისინი მდ. გუმისთაზე გავიდნენ. 4 მარტს რუსებმა ქ. სოხუმი დაიკავეს. 7 მარტს რუსული არმია ახალციხეში შევიდა, ხოლო 9 მარტს მეცხრე არმიის ნაწილებმა ზუგდიდი დაიკავეს. 10 მარტს მტერი ქ. ქუთაისში შევიდა.

17-18 მარტს გაიმართა მოლაპარაკება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს გრიგოლ ლორთქიფანიძესა და საბჭოთა რეჟიმის წარმომადგენელს მამია ორახელაშვილს შორის, რომელსაც, ფაქტობრივად, წარმართავდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი აბელ ენუქიძე. მოლაპარაკების შემდეგ ომი ოფიციალურად დასრულდა.

1921 წლის 17-18 მარტს საქართველოს დემოკ-

რატიული რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლები ემიგრაციაში გაემგზავრნენ. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ნოე ჟორდანიას მიანიჭა უფლებამოსილება, რათა გაეგრძელებინა ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და დაეცვა მისი ლეგიტიმური უფლებები.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მემორანდუმი გაუგზავნა სხვადასხვა სახელმწიფოების მთავრობებს საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოზე თავდასხმისა და საქართველოს დაპყრობის შესახებ. მემორანდუმში დაწვრილებით იყო აღწერილი საბჭოთა რუსეთისა და ოსმალეთის მთავრობების შეთანხმებული ქმედებების შესახებ, რამაც საბოლოო ჯამში საქართველოს ეროვნული სახელწიფოებრიობის დაკარგვა გამოიწვია. მემორანდუმში მოტანილი ფაქტები ადასტურებდნენ შემდეგს:

„1. ქართველი ხალხის ნება-სურვილით დამყარებული დემოკრატიული რესპუბლიკური წყობილება არა ქვეყნის შიგნით არსებულმა ხალხის უმცირესობამ, არამედ უხეშმა გარეშე ძალამ, საბჭოთა რუსეთის წეს-წყობილების თარგზე გამოჭრილმა მმართველობამ შეცვალა.

2. ქართველი ხალხი თავის კანონიერ მთავრობასთან შეკავშირებულ-დარაზმული გმირულად ებრძოდა მტერს და დანებდა მას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურა წინააღმდეგობის განწევის ყველა შესაძლებლობა.

3. ბოლშევიკების მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ საქართველოს კანონიერი მთავრობა, რომელიც იძულებულია დატოვოს მშობლიური მიწა, ინარჩუნებს დამფუძნებელი კრების მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას, განაგრძნობს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას და იცავს თავისი ხალხის ინტერესებს ძლევამოსილ სახელმწიფოთა წინაშე, რომლებმაც ცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა“.

ემიგრაციაში გამგზავრებულმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურებმა, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარების იმედით, დაიწყეს ენერგიული ბრძოლა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად. ქართველი ერის ცხოვრებაში კი უმძიმესი ხანა დაიწყო...

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარხის მოწოდება

ძენო ქართველნო!

*სხულოთჲ სქჷთველოთ ვაჟკაუნო ჯა ქაონო!
შაქოთი ჯა ჯუხიხუვა იქსო ქიოსქქსი თქვენჲ.*



სრულიად საქართველოს პატრიარხი ლეონიდი

საუკუნოებში განწირულ საქართველოს საღმრთო განგებამ არგუნა ხვედრი, გახდეს სამარედ სკვითებისა, რომელთაც შემუსრეს და დასცეს რუსეთი და რომელნიც აზია-ევროპაში მხოლოდ ყველაფერს ანგრევდნენ და ანადგურებდნენ. თითქოს უკეთურნი უახლოვდებოდნენ ჩვენს დედა ქალაქს და დამშუელნი ელოდნენ თბილისში გემრიელი პური და ღვინით გაძღომას, თბილისის განთქმულ აბანოებში დასუფთავებას, მაგრამ როგორც არასოდეს, მტკვარი პირს არ იბრუნებს უკუღმა, ისე ჩვენი ვერაგი მტერი, ვერ მიაღწევს ბოროტ განზრახვას, ღმერთი არ აღირსებს მას საქართველოს დაპყრობას, ყოვლად წმიდა ღვთის მშობელი ცეცხლად შეარ-

გებს მას ჩვენი მამულის პურსა და ღვინოს, რომელსაც ქართველობა ვხმარობთ სეფისკვერად და ზედაშედ.

საყვარელნო, ფრონტის ბურგში მყოფნო! შევინარჩუნოთ სრული დარბაისლობა, გულის სიმშვიდე და ხასიათის სიმტკიცე. ნუ მივეცემით იმ საშიშარ და ცრუ ხმებს, რომლებსაც ავრცელებენ ხოლმე მხოლოდ ჩვენი მტრები, ხალხში შიშისა, სასონარკვეთილებისა და არეულობის გამოსანწვევად.

ენდეთ ჩემს ჭაღარას, როგორც ვერავითარი ძალა ვერ მოგლევს თავის ძირიდან კავკასიონს, თუ არა მიწის ქვეშეთიდან ამოხეთქილი ძლიერება, ისე ვერავითარი ბოლშევიკები და სომეხ-ადერბეიჯანელები ვერას დააკლებენ სახელოვან კახელ-ქიზიყელისა თუშ-ფშავ-ხევსურ-მთიელებისა, უტეხი ქართლებებისა და ამაყ იმერ-ოდიშარ-აფხაზებისაგან შემდგარ საქართველოს ლაშქარს, თუ ფრონტის ბურგი მტკიცედ გვექნება დაცული.

ამას გთხოვთ, ჩემო სულიერნო ძენო და ასულნო, სამშობლოს სიყვარულით, ამაზე გვედრებით მთელი ჩემი არსებით, ამას მივაქცევთ თქვენ მთავარ ყურადღებას, დანარჩენი ყველაფერი ჩვენს ხელთ არის და იქნება. ღმერთმა აკურთხოს და ჩქარი ძლევა-მოსილებით შემოსოს ჩვენი ამაყი ლაშქარი! ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა დაიცვას და დაიფაროს თავისი დედობრივი კალთით მისი წილხდომილი საქართველო!

ქება, დიდება და მარადისობა ქართველ ერს!

*სხუდიად საქართველოს
კათალიკოზ-პატრიარხი ლეონიდი.*

გაზეთი "საქართველო", 1922 თებეხვადი, N41

100 წელი ოკუპაციიდან

გამოფენა მსოფლიო მაცხოვრებლის სხეულობის ზეგნით



სალომე ჭანტურიძე

საქართველოს დემოკრატიული
რესპუბლიკის მკვლევარი

25 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI-ს) და შვედეთის განვითარებისა და თანამშრომ-

ლობის სააგენტოს (Sida) ხელშეწყობით, ბიბლიოთეკის მესამე კორპუსის მარო მაცხოვრებლის სახელობის ბაღში გაიხსნა გამოფენა - „100 წელი ოკუპაციიდან“.

ექსპოზიციებზე წარმოდგენილი იყო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდებში დაცული, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დაკავშირებული დოკუმენტები და პერიოდული გამოცემები, ასევე ბიბლიოთეკაში არსებული ფოტოებისგან შექმნილი ფოტოკოლაჟები.

1921 წლის თებერვალში, ზუსტად 1 საუკუნის წინ, რუსეთის წითელმა არმიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხლიანი არსებობა დაასრულა. ქვეყანამ 70 წლით დაკარგა თავისუფლება და საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ფონზე ბევრი რამ დავიწყებას მიეცა.

გამოფენის მიზანი უკვე თავისუფალი საქართველოს გადმოსახედიდან, იმდროინდელი პროცესების გახსენება, რეალური სიტუაციის გაცნობა და ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეას მსხვერპლად შეწირული ადამიანებისთვის პატივის მიცემაა.



წიგნის ისტორია



მანანა სამაშვილი
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ქვეყნის ისტორიის მკვლევარებისა და მკითხველებისთვის ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა უცხოელ მოგზაურთა ცნობები კავკასიისა და საქართველოს შესახებ. ეს ინფორმაცია მიმობნეულია მე-17-მე-18 საუკუნეების ევროპელი მოგზაურებისა და მისიონერების შემოქმედებაში. კავკასიის მეცნიერულ დონეზე შესწავლის საკითხი მეტად აქტუალური გახდა მე-19 საუკუნეში, რაც განაპირობა რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკურმა ინტერესმა მისთვის საინტერესო რეგიონის მიმართ.

მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის საიმპერატორო აკადემიის დავალებით საქართველოში იმოგზაურეს გერ-





ჰ.ი. კლაპროთი

მანელმა მეცნიერებმა: იაკობ რაინეგსმა, იოჰან გიულდენშტადტმა და ჰეინრიჰ იულიუს ფონ კლაპროთმა. მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში შემავალი ქვეყნების ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოლოგიის საკითხებს საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა პრუსიელმა

იულიუს კლაპროთის ორი გამოცემა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში

ორიენტალისტმა, პოლიგლოტმა და ლინგვისტმა, 752 ნაშრომისა და ათასზე მეტი პუბლიკაციის ავტორმა 11 ენაზე, იულიუს კლაპროთმა (1783 წ. ბერლინი - 1835 წ. პარიზი). რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დაკვეთითა და ამავე აკადემიის წევრის, მწერალ იან პოტოცკის რჩევით, კლაპროთმა კავკასიის ქვეყნებსა და საქართველოში იმოგზაურა 1707-1808 წლებში. ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ მეცნიერმა გამოსცა ორტომეული „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში“. ეს ნაშრომი პირველად დაიბეჭდა გერმანულ ენაზე ჰალეში, 1812-1814 წლებში (Reise in den Kaukasus und nach Georgien... Halle: Waisenhaus, 1812-1814). ამავე თხზულების ფრანგული თარგმანი თანდართული რუკებით კი გამოიცა პარიზში, 1823 წელს (Voyage au Mont Caucase et en Géorgie ... avec une carte de la Géorgie).





ზემოთ აღნიშნულ წიგნში კლაპროთმა საინტერესო მეცნიერული მოსაზრებანი გამოთქვა კავკასიის ქვეყნების ზუსტ ადგილმდებარეობაზე, ისტორიაზე, ეკონომიკაზე, ტოპონიმიკაზე, მოსახლეობის ეთნოლოგიურ თავისებურებებზე, იქ გავრცელებულ სასაუბრო ენობრივ ჯგუფებსა და დიალექტებზე. მეცნიერების აზრით, იულიუს კლაპროთმა სხვა მოგზაურ-მკვლევართაგან განსხვავებით, ყველაზე საფუძვლიანად დაწვრილებით აღწერა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზისი, ტერიტორიული ერთეულები, სოციალურ-პოლიტიკური წყობა, რელიგია, ტრადიციები, ნათესაური კავშირები თუ განსხვავებანი. მეცნიერს თავისი აზრის დასამტკიცებლად მოჰყავს ისტორიული წყაროები, თუმცა ხშირად ამჟღავნებს ამა თუ იმ საკითხის მიმართ თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას.

საინტერესოა იულიუს კლაპროთის აზრი ჩრდილოეთ კავკასიის ერების ისეთ ეთნიკურ ჯგუფებზე, როგორებიც არიან: ყარაჩაელები, ჩერქეზები, აბაზები, ოსები და აფხაზები. მაგალითად, კლაპროთი ამბობს, რომ ოსები ცხოვრობდნენ ჩრდილო საქართველოს მთის ბევრ მხარეებში, მაგრამ იცის, რომ ეს ტერიტორიები საქართველოს კუთვნილებას; ხოლო მათ სამშობლოდ კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთ მიდამოებს მიიჩნევს. მეცნიერი მსჯელობს აფხაზების ტრადიციების შესახებ, თუმცა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებლებს მათთან ეთნიკურ - ნათესაურ ჯგუფში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხის სახელს, აბაზებს უწოდებს: მისი ვარაუდით, აბაზები (ანუ აფხაზები) ანტიკურ ხანაში ცხოვრობდნენ კავკასიის მთიანეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და გაიფანტნენ, სანამ მათ შუავინროვებდნენ ჩერქეზები.

კლაპროთი წერს, რომ აფხაზებს უძველეს დროში ჰყავდათ მეფე, შემდეგ კი, დიდი ხნის განმავლობაში ისინი ემორჩილებოდნენ საქართველოს მეფეებს. აფხაზეთის დედაქალაქის შესახებ კი ის ამბობს: „ცხომი არის ამ ქალაქის ქართული სახელწოდება, რომელსაც ასევე დურ დუპსაც ეძახიან, რაც ნიშნავს „მარგალიტის მთას“. აბულ ფედა უწოდებს მას სახუმს და მონიხენიებს მას ქართულ ქალაქად“. მკვლევარი აღნიშნავს აფხაზური ენის თვითმყოფადობას და წერს, რომ ამ ენას არ მოეპოვება ანალოგი ევროპულ და აზიურ ენებში.

საინტერესოა მოგზაურის შთაბეჭდილებები ჩრდილოეთ კავკასიის ისეთი გამორჩეული ეთნოსის წარმომადგენლებზე, როგორებიც არიან ჩერქეზები: „საერთოდ ჩერქეზებს შეიძლება უწოდო ყველაზე ლამაზი ერი: განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევიან მამაკაცები თავიანთი სიმაღლით და აღნაგობით, რადგან ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ შეინარჩუნონ წერწეტი წელი... მათი ქალები ყველაზე ლამაზები არიან მთელს კავკასიაში. უნდა აღვნიშნო ერთი გავრცელებული აზრის შესახებ, თითქოს ისინი თურქული ჰარემების მკვიდრნი არიან, რაც არ არის დასაბუთებული, რადგან ჩერქეზები ძალიან იშვიათად ყიდიან თავიანთ თვისტომებს თურქებზე, ისინი ყიდიან მხოლოდ მოტაცებულ ტყვეებს. ლამაზი ქალების დიდი ნაწილი თურქეთში ხვდებიან იმერეთიდან და სამეგრელოდან, იმ დროს, როცა ადამიანებით ვაჭრობა ჩერქეზებში მხოლოდ მამრობითი სქესის წარმომადგენლებით შემოიფარგლებოდა. ჩერქეზი თავისი სახლიდან არასდროს გავა შეუიარაღებელი. ცხენებს ისინი ყიდიან რუსებსა და ქართველებზე...“ - ამბობს მოგზაური. რადგან მე-19 საუკუნის დასაწყისში ტყვეებით ვაჭრობის შემთხვევები საქართველოში შემცირებული იყო, ვფიქრობ, ამ საკითხზე ავტორი საუბრობს მის წინამორბედ მკვლევართა მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე, ან მის თანამედროვე კავკასიელთა მონაყოლის მიხედვით.

იულიუს კლაპროთი ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნებში ხანგრძლივი და დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ, ვლადიკავკაზისა და დარიალის ხეობის გავლით შემოვიდა საქართველოში. გზად ის აკვირდებოდა ყოველ წვრილმანს: ბუნებას, არქიტექტურულ ძეგლებს, ადგილობ-

რივი მაცხოვრებლების სოციალურ მდგომარეობას. არაგვისა და მტკვრის ხეობის აღწერისას და საქართველოს ძველ დედაქალაქზე მსჯელობისას ის საუბრობს თითოეული ტოპონიმის წარმოშობაზე და გვაძლევს ამ ტოპონიმთა ლინგვისტურ-ისტორიულ ანალიზს. კლაპროთი წერს: 1808 წლის 14 იანვარს ჩავედი თბილისს. თბილისში დავრჩი 1808 წლის მარტამდე, ვაგროვებდი ცნობებს საქართველოს შესახებ და ვათარგმნინებდი ამ ქვეყნის ისტორიასო: „გავიცანი ბევრი წარჩინებული ქართველი, რომელთა რჩევა დიდად წამადგა. სამაგიეროდ, რუს ხელისუფალთ არაფერი გაუკეთებიათ ჩემთვის ხელის შესაწყობად, თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება ჰქონდათ“

კლაპროთმა მოიარა ქართლი და დასავლეთ საქართველო. ირანელებისა და თურქების შემოსევებისაგან იავარქმნილ ქვეყანას სტუმარზე ვერ მოუხდენია კარგი შთაბეჭდილება, იგი წერს, რომ ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილი დანგრეულია და მოსახლეობა უკიდურესად გაჭირვებულიო. საყურადღებოა ზემოთ აღნიშნულ გამოცემაში მოგზაურის მიერ დახატული თბილისის სურათი: „ქალაქს ცუდი მდებარეობა აქვს და ალა-მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ, 1795 წლის სექტემბერში, როცა ის უკანასკნელად დაინგრა, ჰგავს ნაგვის გროვას. მხოლოდ ამ გროვის ორი მესამედი არის აღდგენილი. ქუჩები ისეთი ვიწროა, რომ ყველაზე ფართო ქუჩაზე ერთი ურემი თუ გაივლის თავისუფლად, ცხენოსნისთვის კი პატარა ადგილია გამოყოფილი, სახლები ცუდადაა ნაგები შერეული აგურითა და ქვებით, რომლებიც თიხით არის შელესილი. ქალაქს აქვს მხოლოდ სამი ქიშკარი. სახელდობრ: სოფიის, მუხრანის და სამხრეთ ნაწილში აბანოს კარი. მტკვრის მეორე მხარეზე ახლად გაშენებული გარეუბანია - ავლაბარი, სადაც აისორები და ქურთები ცხოვრობენ. თბილისში ითვლიან 15 მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომელშიც ღვთისმსახურება ძველ ქართულ ენაზე მიმდინარეობს, 12 სომხური და 2 კათოლიკური ეკლესიაა, მათ შორის უძველესს ხარება ჰქვია და წმინდა იოსების სახელზეა აგებული, ამჟამად კი დანგრეულია... თბილისში ორი მეჩეთია“. მწერალს მოსწონებია თბილისის თერმული წყლის აბანოები: „ცნობილი თბილისის აბანოები არაჩვეულებრივია, ბევრი მათგანი ამჟამად დანგრე-

ულია, იქ იხილავთ მარმარილოს იატაკს, წყალი არის ცოტათი გოგირდოვანი, ხმარებისას კი ავლენს სამკურნალო თვისებებს.... მცხოვრებნი აჭარბებენ, ისინი აბანოში მთელი დღის განმავლობაში რჩებიან, საჭმელ-სასმელი თან მიაქვთ სახლიდან. მე თბილისში კვირაში ორჯერ დავდიოდი აბანოში მთელს ჩემს ამაღლასთან ერთად და დიდი სიამოვნება მივიღეო“ - წერს კლაპროთი. ის აღწერს დედაქალაქის ბაზრებსაც: ამ უკანასკნელში 704 ფარდულია, რომლებშიც სომეხი, თათარი და ქართველი ვაჭრები შესანიშნავად ვაჭრობენო, - ამბობს ის.

უაღრესად საინტერესოა მეცნიერის პოზიცია მეფის რუსეთის პოლიტიკის შესახებ კავკასიის მოსახლეობის მიმართ: აუცილებელია, რომ სამეგრელოს და იმერეთის რეგიონების მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, დაცული იყოს შავი ზღვის სანაპიროს უსაფრთხოება ანაპიდან ფოთამდეო, წერს კლაპროთი და დასძენს: „დაუშვებელია რეპრესიები მათ წინააღმდეგ იმ შემთხვევების გარდა, თუ ისინი რუსებს გაძარცვავენ. ამ შემთხვევაშიც რეპრესია გამართლებულია მხოლოდ იმ გვარის მიმართ, რომელმაც ეს დანაშაული ჩაიდინა. თუ ჯარს გაგზავნით დამნაშავეების დასაჭერად და ის გვერდზე ჩაუვლის სხვა სოფლებს, ისინი კი არ უნდა დაზარალდნენ, როგორც ამას ჰქონდა ადგილი სხვა დროს, არამედ უნდა მოასვენონ“. გასაგებია ავტორის შეხედულებათა პოლიტიკური სარჩული და ის ტენდენცია, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ მეფის რუსეთის მოხელეები მათთვის დაქვემდებარებული კავკასიის რეგიონების გავლენიანი პირების ნდობის მოსაპოვებლად: „რუსები უნდა ცდილობდნენ გადაიბირონ თავის მხარეს თუნდაც ერთი თავადი თითოეული გვარიდან და მიიმხრონ ისინი პირში ქებისა და საჩუქრების საშუალებითო“ - წერს კლაპროთი.

ამავე წიგნში იხილავთ მნიშვნელოვან ცნობებს ქართლისა და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის, იმდროინდელი საქართველოს ეკონომიური მდგომარეობისა და სოფლის მეურნეობის შესახებ. „ის აღწერს იმერეთს, მის დედაქალაქ ქუთაისს, ჩამოთვლის მის საზღვრებს... ეხება სოლომონ I-ის საშინაო პოლიტიკას, კერძოდ, ტყვეთა სყიდვის აკრძალვას, აღნიშნავს, რომ „მისი სიკვდილის შემდეგ იმერეთის ტახტს ერთმანეთს



ეცილებოდნენ დავითი, რომელიც ალექსანდრე მეფის შვილიშვილი იყო და ერეკლეს შვილი სოლომონი, რომელიც ახლა მართავს იმერეთს და ბაგრატიონების გვარს ეკუთვნის“ (დ. კანდე-ლაკი). საინტერესო ინფორმაციას შეიცავს მისი შენიშვნა დასავლეთ საქართველოს ებრაელთა ყოფაზე, კლაპროთი წერს: „ებრაელები ბევრად უფრო მეტნი არიან იმერეთში, ვიდრე ქართლში, მაგრამ იშვიათად ცხოვრობენ სოფლად... ისინი იქ მიწას არ ამუშავებენ, ეწვეიან მხოლოდ ვაჭრობას და ეს არ არის ცოტა რამ. ჩვენ ვხვდებით ებრაელებს ქუთაისში, ხონსა და ონში; მათ ეშინიათ საქონლის ჩატანა ყოველწლიურ ბაზრობებზე საქართველოდან თურქეთში. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ მდიდარია, ისინი მნიშვნელოვან გადასახადებს უხდიან მეფეს... ებრაელები ამ ქვეყნებში დასახლდნენ შორეულ წარსულში... ისინი იყენებენ ამსტერდამში დაბეჭდილ „ძველ ალთქმას“.

იულიუს კლაპროთის კავკასიაში მოგზაურობის ამსახველი ზემოთ აღნიშნული ნარკვევი საეტაპო გამოკვლევაა ამ ქვეყნების გეოგრაფიის, ისტორიისა და ბუნების, იქ მცხოვრები მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფების სალაპარაკო ენისა და საინტერესო კულტურული ტრადიციების გასაცნობად. ამ ორტომეულის ფრანგული თარგმანი დაცულია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების დიმიტრი ბაქრაძის წიგნების კოლექციაში.

პოლიგლოტი მეცნიერი სრულყოფილად ფლობდა რამდენიმე ენას (მათ შორის ჩინურს). 19 წლის ნიჭიერმა ახალგაზრდამ 1802-1803 წლებში ვაიმარში გერმანულ ენაზე მოსცა „აღმოსავლური ჟურნალის“ 12 ნომერი. რომლის ფრანგულენოვანი გაგრძელება გახლდათ კლაპროთისავე ინიციატივით პარიზში, 1825 წლიდან დაბეჭდილი ამავე ჟურნალის ფრანგულენოვანი გამოცემა - „Magasin asiatique: Ou revue géographique et historique de l'Asie Centrale“. კავკასიაში მოგზაურობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიც რუსეთის იმპერიის ახალ რეგიონების ქვეყნების ენების კლასიფიკაცია და მათ თავისებურებებში გარკვევა გახლდათ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1812-1814 წლებში გამოქვეყნებული ზემოთ აღნიშნული ნარკვევის მეორე ტომს მეცნიერმა დაურთო კავკასიის ქვეყნების ძირითად ენათა ლექსიკონები, სადაც

ფრანგული სიტყვების პარალელურად მოცემულია შესატყვისი ენობრივი ლექსიკური ერთეულების ტრანსკრიპცია. ქართველური ენობრივი ერთეულების ცხრილი ასეა წარმოდგენილი: ფრანგული - ქართული - მეგრული - სვანური - ლაზური.

საქართველოში მოგზაურობისას კლაპროთმა შეაგროვა მრავალრიცხოვანი მასალა, რომლის შესწავლამ მეცნიერს მისცა საშუალება, თავისი შეხედულებები გამოეთქვა ამ ენების წარმოშობის შესახებ. მეცნიერის ზოგიერთი მოსაზრება არ ეყრდნობოდა ამ საკითხების ღრმა მეცნიერულ ანალიზს, რის გამოც მას ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა. მიუხედავად ამისა, კლაპროთის დამსახურება მაინც დიდია ქართული ენის შესწავლის საქმეში, რადგან ის დგას ამ ენის წარმოშობის შესახებ მეცნიერული კვლევების ისტორიულ სათავეებთან. კავკასიური ენების შესწავლის პროცესში მეცნიერმა პირველმა გამოიყენა შედარებითი ენათმეცნიერების მეთოდი მონათესავე ენების ლექსიკის, ბგერების და შესიტყვებების მსგავსება-განსხვავებების დასადგენად.



ქართველი პოლიტიკური მოღვაწე და ლინგვისტი მიხაკო (მიხეილ) წერეთელი თავის ფრანგულენოვან ენათმეცნიერულ ნაშრომში „ქართული ენის გრამატიკა“ (Grammaire georgienne) განიხილავს ადრეულ ეტაპზე ქართული ენის შესწავლის საკითხებს და აღნიშნავს, ქართული ენის გენეალოგიის საკითხებით არა ერთი უცხოელი ლინგვისტი იყო დაინტერესებული, ქართული ენის ინდოევროპულ ენებთან ნათესაობის იდეას იზიარებდნენ: ფრანგი მარი ბროსე და გერმანელი ფრანც ბოპი, ხოლო ქართული ენის იბერიულ-კავკასიურ ოჯახის ენობრივ ჯგუფში გაერთიანებამდე ბევრად ადრე ქართულ ენის თვითმყოფადობაზე საუბრობდნენ ავსტრიელი ფრიდრიხ მიულერი (ნაშრომში: „Über die sprachwissenschaftliche Stellung der kaukasischen Sprachen“, 1863) და იულიუს კლაპროთი. მიხაკო წერეთელს თავის ნაშრომში „Grammaire georgienne“ მოჰყავს ფრიდრიხ მიულერის დასკვნა: „თუ ქართულ ენის შედარება შეიძლება ინდოევროპულ ენებთან, მაშინ ის შეიძლება შევადაროთ მხოლოდ სანსკრიტს, მაგრამ ქართულის ნათესაური კავშირი არც ირანულთან ვლინდებაო. კიდევ უფრო საინტერესოა ჩვენი

წიგნების ავტორის, კლაპროთის იდეა, რომელიც ფრ. მიულერზე ადრე, ლექსიკური ერთეულების შედარების გზით ფაქტობრივად პირველი მივიდა ამ დასკვნამდე. ეპოქალური მნიშვნელობის საენათმეცნიერო ნაშრომში: „Asia polyglotta“, სადაც მოცემულია აღმოსავლური ენების კლასიფიკაცია, გარკვეული მსჯელობის შემდეგ კლაპროთი ამბობს: „... თუმცა ქართულ ენას აქვს რაღაც მსგავსება ინდოევროპულ და სხვა ენებთან, განსაკუთრებით ჩრდილოეთ აზიის ენებთან, ამიტომ მას უნდა შევხედოთ, როგორც განსაკუთრებულ, ძირეულ (მშობლიურ) ენას, რომელიც ცნობილია თავისი სიძველით და ამ ენის ათი დიალექტის გრამატიკით“.

იულიუს კლაპროთის „მოგზაურობის“ ფრანგულ ენაზე გამოცემიდან ოთხი წლის შემდეგ, 1827 წელს, პარიზის „აზიური საზოგადოების“ სტამბაში დაიბეჭდა კლაპროთის საინტერესო ქართველოლოგიური საენათმეცნიერო ნაშრომის პირველი ნაწილი „ქართული ენის ლექსიკონი და გრამატიკა“ (Vocabulaire et grammaire de la langue Georgienne), რომლის ერთი ეგზემპლარიც ასევე დაცულია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა ფონდში.

ამ გამოცემის პირველი ნაწილში პირველად გამოქვეყნდა ქართულ-ფრანგული და ფრანგულ-

ქართული ლექსიკონი. აღნიშნული წიგნის დაბეჭდვით პარიზის „აზიური საზოგადოება“ ყოფილა დაინტერესებული. ამავე საზოგადოების წევრი მარი ბროსე წერდა: „პარიზის სააზიო საზოგადოება სულ რამდენიმე თვის დაარსებული იყო, როცა აღმოსავლურ ენათა შორის, რომელთა შესწავლაც მის პროგრამაში შედიოდა, პირველ რიგში ქართულის შესწავლა გადანყვიტა... საზოგადოებამ გადანყვიტა გამოეცა ქართული ენის გრამატიკა და ქართული ენის ლექსიკონი, ორი შრომა, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ ენის შესწავლის დასაწყებადაო. ორივე ამ შრომის შედგენა კლაპროთს უკისრია“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარიზში დაიბეჭდა კლაპროთის ნაშრომის მხოლოდ პირველი ნაწილი, მაგრამ მეორე ნაწილში გათვალისწინებული „ქართული ენის გრამატიკის“ დასრულება და დაბეჭდვა ავტორმა ვერ შეძლო, (დაბეჭდილი ჰქონდა მხოლოდ 112 გვერდი), რადგან 1835 წელს გარდაიცვალა. კლაპროთის დაუმთავრებელი ნაშრომი ქართულ ზმნაზე მსჯელობას არ შეიცავს. ჩანაწერების ავტორის გარდაცვალების გამო, პარიზის „აზიურმა საზოგადოებამ“ დაუმთავრებელი ნაშრომის სრულყოფა და გამოქვეყნება ფრანგ ორიენტალისტს მარი ბროსეს მიანდო. მარი ბროსემ იულიუს კლაპროთის





ნაშრომში შეიტანა შესწორებანი, განავრცო ის და 1837 ამავე საზოგადოების ეგიდით ფრანგულ ენაზე გამოსცა წიგნი „ელემენტები ქართული ენისა“. ამ გამოცემის სამი ეგზემპლარი საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეიძლება იხილოთ.

1815 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იულიუს კლაპროთი საფრანგეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ხოლო მის მიერ პარიზში გამოცემულ წიგნებს სრულად აფინანსებდა ავსტრიის მეფე. ამ მრავალმხრივი და პროდუქტიული მეცნიერის - ისტორიკოსის, სინოლოგის, კავკასიოლოგისა და ენათმეცნიერის საინტერესო ნაშრომები ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი და დაფასებული, ეს კი მომავლის საქმეა.

სასწ. Gosier.

სასაკმეველი. Encensoir.

სასაკუმეველი. Pot à eau.

სასამართლი. Jugement, tribunal.

სასანთლი. Candelabre.

სასახლი. Cour d'une maison.
(ესო.)

სასმელ საჭმელშა. Régime.
(ფარქსი.)

სასმელი. Calice. Boisson.

სასოება. Espérance.

სასოებად. Espérer. — უსასოებ. J'espère.

სასტელი. Calice.

სასუფეველი. Royaume.

სასუიდეელი. Récompense.
(ჟილდი.)

გამოყენებული ლიტერატურა

1. წერეთელი, მიხეილ (მიხაკო). ქართული გრამატიკა = Grammaire georgienne. თბ.: თსუ გამ-ბა, 2016

2. ჩიქობავა, არნოლდ. იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია (მე-2 გამოცემა). თბ.: თსუ გამ-ბა, 2008

3. კანდელაკი, დალი. გერმანულ მეცნიერთა და მოგზაურთა შრომები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ (XIX საუკუნის I ნახევარი). თბ.: თსუ გამ-ბა, 2001

4. Brosset, Marie-Félicité. Éléments De La Langue Géorgienne. Paris: A L'imprimerie royale, 1837

5. Klaproth, Heinrich Julius. Asia poliglotta. Paris: Schubart, 1823

gras, qui n'est pas de carême.

საგანა. Satan.

საგაცურნი. Asperges.

საგვბური მუწუვი. Rue des prés. (*Thalictrum flavum.*)

საგუჩა. Mot, parole.

საუბარი. Discours, conversation. (საჟღობი.)

საუხმობად. Déjeuner.

საუკუნო. Siècle.

საული. Garde, force armée.

საუნი. Odeur.

საუნჟე. Charge, fardeau.

საუნჟი. Trésor.

საფეიქრო ღმუგი. Peigne du tisserand.

საფეთქელი. Tens. (*Schlæfe.*)



ნანა კაციტაძე

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთში არქეოგრაფიული კომისიის დაარსების იდეა უკავშირდება ნ. მ. კარამზინის გრანდიოზულ ნაშრომს „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“, რომლის შექმნის დროსაც წარმოიქმნა არსებული ისტორიული დოკუმენტების თავმოყრისა და დამუშავების, მეცნიერულ-ისტორიული კვლევა-ძიების საჭიროება. ამ იდეამ 1813 წელს შეისხა ხორცი გრაფ ნიკოლაი რუმიანცევის მეცადინეობითა და ფინანსური ხელშეწყობით. ასე შეიქმნა 1834 წელს პეტერბურგის არქეოგრაფიული კომისია, რასაც შემდგომში მოჰყვა ასეთი კომისიების შექმნა კიევში 1843 წელს, ვილნაში (ლიტვა) 1863 წელს და 1864 წელს თბილისში.

კავკასიის ომის დამთავრების და კავკასიაში რუსეთის იმპერიის აქტიური ექსპანსიის დასრულების შემდეგ მეფისნაცვლის სამმართველოს არქივში უამრავი დოკუმენტი დაგროვდა, რომლებიც შესწავლასა და დამუშავებას საჭიროებდა. ამ პერიოდში კავკასიის სამოქალაქო საქმეებს

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები - კავკასიის ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო

განაგებდა წარმოშობით შვედი ბარონი ალექსანდრე ნიკოლაი, ფრიად განათლებული პიროვნება, ალექსანდრე ჭავჭავაძის სიძე, სოფიოს მეუღლე. სწორედ მან დააყენა კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის დაარსების საკითხი, რომელსაც უნდა დაკისრებოდა არქივიდან იმ დოკუმენტების შერჩევა, რომლებსაც კავკასიის წარსულისათვის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა.



ალექსანდრე ნიკოლაი

1863 წელს კავკასიაში მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსად მუშაობისას ბარონმა ალექსანდრე ნიკოლაიმ შეადგინა არქეოგრაფიული კომისიის შექმნის პროექტი და წარუდგინა მეფისნაცვალს, დიდ მთავარ მიხეილ რომანოვს, რომელიც გაგებითა და ენთუზიაზმით მოეკიდა ამ ნაშრომს. მან კომისიის შექმნის შესახებ მოხსენებას წააწერა: „სავსებით თანავუგრძნობ ასეთ სასარგებლო საქმეს და მხარს ვუჭერ ამ პროექტს“. 1864 წელს იმპერატორმა ალექსანდრე II დამტკიცა კომისიის პროექტი და შტატი. ასე დაფუძნდა 1864 წლის 7 აპრილს თბილისში კავკასიის არქეოგრაფიული კომისია. კომისიის შექმნის იდეას მეტად მაღალ შეფასებას აძლევს სამხედრო ისტორიკოსი და კავკა-

სიოლოგი, პოლკოვნიკი სიმონ ესაძე 1907 წელს გამოცემულ თავის თხზულებაში „საისტორიო წერილი კავკასიის მართვის შესახებ“.


კომისიას სათავეში ჩაუდგა და მისი პირველი თავმჯდომარე გახდა ცნობილი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი და კავკასიის მკვლევარი ადოლფ ბერჟე. ის კომისიას სიცოცხლის ბოლომდე, 1886 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1851 წელს პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო კავკასიის მეფისნაცვლის თავად მიხეილ ვორონცოვის კანცელარიაში, სადაც გაიარა სამსახურებრივი საქმიანობის ყველა საფეხური, რიგითი მოხელის დაწყებული და არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარით დამთავრებული. მისი, როგორც ორგანიზატორისა და რედაქტორის ნიჭი სრულად გამოვლინდა კომისიის „აქტების“ გამოცემის მომზადებისას, რომლებიც, არსებითად, მის მთავარ სამეცნიერ-

ყველაზე განათლებული ადამიანები. მათ შორის იყო ცნობილი აზერბაიჯანელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მირზა ფათალი ახუნდოვი (ახუნდზადე), რომელიც დიდი მთავრის, მიხეილ რომანოვის, წარდგინებით რუსეთის იმპერატორმა ბრილიანტის ბეჭდით დააჯილდოვა არქეოგრაფიული კომისიის მუშაობაში შეტანილი ფასდაუდებელი წვლილისათვის. მან არაბული, თურქული და სპარსული ენებიდან რუსულად თარგმნა ყველა აღმოსავლური დოკუმენტი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კომისიის მუშაობაში პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, ეთნოგრაფისა და არქეოლოგის დიმიტრი ბაქრაძის მონაწილეობა, რომლის შესანიშნავი ნაშრომი, „კავკასია ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში“, დანართის სახით ასევე შევიდა აქტების მე-5 ტომში. ამ ნაშრომში ავტორმა თავი მოუყარა კავკასიის უძველეს ქრისტიანულ ტაძრებთან დაკავშირებულ ყვე-



ადოლფ ბერჟე



რო ნაშრომს წარმოადგენს.

ადოლფ ბერჟეს მონაწილეობით გამოიცა 11 ტომი, რომლებიც ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს XVIII საუკუნის დამდეგიდან 1855 წლამდე. როგორც რუსი დრამატურგი ალექსანდრე ოსტროვსკი წერდა, კავკასიის მხარის ისტორიის, გეოგრაფიისა და ეთნოგრაფიის ღრმა ცოდნის წყალობით „იგი იყო უბადლო თანამოსაუბრე და პირველი პირი კავკასიაში“.

ბერჟემ თანამშრომლებად შეარჩია იმ დროის

ლა მასალას სათანადო ბიბლიოგრაფიითურთ. ამ ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან ბევრი მან ადგილზე თავად შეინაცვლა.

აქტებზე მუშაობდა აგრეთვე მეორე ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და კრიტიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი (ბერძენოვი). მან კომისიაში ათი წელი იმუშავა (1864 წლიდან 1874 წლამდე). ნიკოლოზ ბერძენიშვილს უდიდესი დამსახურება მიუძღვის ქართული ტექსტების რუსულად თარგმნაში, კერძოდ მისი თარგმნილია

პირველ ტომში შესული ყველა ქართული გუჯარი.

აქტების უცვლელი რედაქტორის, ადოლფ ბერჟეს გარდაცვალების შემდეგ მე-11 და მე-12 ტომები უკვე რუსი ისტორიკოსისა და არქეოგრაფის დიმიტრი კობიაკოვის რედაქციით გამოვიდა, მანვე ჩაანაცვლა ბერჟე კომისიის თავმჯდომარის პოსტზე. 1897 წელს კი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებლად, ხოლო 1904 წელს უკვე თავმჯდომარედ ინიშნება ეთნოგრაფი, ისტორიკოსი, არქივისტი, კავკასიოლოგი და პუბლიცისტი ევგენი ვეიდენბაუმი.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის საქმიანობის შეფასებისას, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია მისი მუშაობის კონცენტრაცია კავკასიის ისტორიის შესახებ საარქივო დოკუმენტებზე და მრავალტომიანი „აქტების“ გამოცემა, რომლის მასალებიც, ფაქტობრივად, რეგიონის ისტორიის შესახებ უნიკალური წყაროების მთელ კრებულს წარმოადგენს. გარდა ამისა, სწორედ ამ კომისიამ ჩაუყარა საფუძველი საარქივო საქმეს კავკასიაში.



ევგენი ვეიდენბაუმი

კომისიას თავიდანვე დაევალა კავკასიაში მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს არქივის გადარჩევა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დოკუმენტების გარკვეული ნაწილი განადგურდა, ნაწილი, ალბათ, იმის გამო, რომ ინტერესს არ წარმოადგენდა რუსი მმართველებისთვის, ნაწილი კი იმის გამო, რომ მათთვის არასასურველ შინაარსს შეიცავდა. თუმცა ახლა ამ მოსაზრების დამტკიცება შეუძლებელია, მაგრამ ის სა-

ფუძველს არ უნდა იყოს მოკლებული.

აქტებში უხვადაა წარმოდგენილი ქართველ მეფეთა, ბატონიშვილთა, მღვდელმთავართა და სხვა მმართველ პირთა გუჯარები და წყალობის სიგელები, სპარსეთის შაჰის ფირმანები და არაბულ, თურქულ და სპარსულ ენებზე შედგენილი სხვა დოკუმენტები, უმეტესად კი რუს მოხელეთა მიმოწერა ერთმანეთთან და მეზობელ სახელმწიფოთა მმართველებთან. ამ ეპისტოლარული ხასიათის დოკუმენტებში ბევრი გვხვდება მეტად საინტერესო როგორც შინაარსობრივად, ასევე ემოციურადაც. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი დოკუმენტი ლამის ლიტერატურული ნაწარმოების შესაქმნელად გამზადებულ სიუჟეტს წარმოადგენს. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ვეიდენბაუმისთვის გაგზავნილი უამრავი მადლიერების წერილის არსებობა, კერძოდ, ცნობილია, რომ დიდმა რუსმა მწერალმა ლევ ტოლსტოიმ მოთხრობა „ჰაჯი-მურატის“ შესაქმნელად გამოიყენა „აქტების“ მე-10 ტომში მოყვანილი შამილის თანამებრძოლის, ხუნდახელი ჰაჯი-მურატის ბიოგრაფიის შემცველი მასალები, რომლებიც მას ვეიდენბაუმმა გაუგზავნა.

ბევრ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს „აქტები“ აფხაზეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის, ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განვითარებული მოვლენების, მათ შორის გლეხთა აჯანყებების, კერძოდ, უტუ მიქავას მეთაურობით სამეგრელოს გლეხთა ამბოხების თაობაზე. მე-7 ტომში, მაგალითად ფართოდაა გაშუქებული სპარსეთ-რუსეთის დაპირისპირების და სპარსეთში რუსეთის წარმომადგენლის, მწერალ ალექსანდრე გრიბოედოვის მკვლელობის ამბები. საყურადღებო დეტალებია მოყვანილი კერძო შემთხვევათა შესახებაც, ვთქვათ, როგორცაა მთიელთა მიერ თავადების - დავით ჭავჭავაძისა და ილია ორბელიანის ოჯახების გატაცების, ასევე სვანეთში დადეშქელიანების საგვარეულოს ორი შტოს დაპირისპირების თაობაზე.

„აქტები“ 12 ტომისგან შედგება, ამასთან მე-6 ტომი ორ წიგნადაა დაბეჭდილი. ეს არის უმთავრესად XIV საუკუნე - XIX საუკუნის პირველი ნახევრის კავკასიის ხალხების ისტორიის ამსახველი ფასდაუდებელი დოკუმენტები ქართულ,

სომხურ, სპარსულ, თურქულ, არაბულ ენებზე შედგენილი და რუსულ ენაზე თარგმნილი, ასევე მოყვანილია ხანების, სულთნების, სხვა ადგილობრივი მმართველების საგვარეულო ნუსხები. ყოველი ტომი შეიცავს კავკასიის ამა თუ იმ მთავარმართებლის მოღვაწეობის პერიოდის საეკლესიო-ისტორიული, პოლიტიკურ-ისტორიული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური იურიდიული ხასიათის დოკუმენტებს.

მასალა შინაარსობრივად არის დაჯგუფებული, პირველი თავები, უმეტესად, პოლიტიკურ და სამხედრო საქმეებს ეთმობა, ცალკე თავებადაა წარმოდგენილი სასწავლო, საფოსტო, საგზაო, სამედიცინო-საკარანტინო ნაწილები, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და სამთო ნაწილი, ასევე სასულიერო ნაწილი, სადაც ქვეთავებადაა დაჯგუფებული მართლმადიდებლურ, სომხურ, კათოლიკურ და მუსლიმანურ სამღვდელოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები. ცალ-ცალკეა მოცემული მასალები, რომლებიც ეხება საქართველოს სხვადასხვა მხარეს, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს, სპარსეთსა და თურქეთს. ყველა ტომს ერთვის ანბანური საძიებელი და შემოკლებათა განმარტება, დოკუმენტები ქრონოლოგიურადაა დალაგებული, ერთი სიტყვით,

აქტები საგამომცემლო საქმის ყველა კანონისა და წესის მიხედვით უმაღლეს დონეზეა გამოცემული და საკმაოდ დიდ ხარჯებთანაც იყო დაკავშირებული.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, როგორც ქართველი და კავკასიის სხვა ხალხების ისტორიის შესწავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი წყარო, აქამდეც ფართოდ იყო გამოყენებული, მაგრამ უმთავრესად სპეციალისტების მიერ, მაგალითად, ზურაბ ავალიშვილის წიგნში „საქართველოს რუსეთთან შეერთება“ რამდენიმე აქტი სრულადაც კი არის მოყვანილი. აქტები ასევე წყაროდაა გამოყენებული „საქართველოს ისტორიის ნარკვევებში“ და მითითებულია ბიბლიოგრაფიაში. ის სამუშაო, რომელიც ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტში მიმდინარეობს აქტების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენის მიზნით, მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს და ამ აქტებზე მუშაობას გაუადვილებს როგორც მეცნიერ ისტორიკოსებს, ასევე ყველა იმ პირს, ვინც დაინტერესებულია საქართველოს ისტორიის ამ მეტად რთული და საინტერესო პერიოდით.

АКТЫ

СОБРАННЫЕ

Кавказскою Археологическою

КОМИССИЕЮ.

საქართველოს ბიბლიოთეკები: გაახსების ისტორია და დღევანდელი



ირმა კაკელიძე
ჟურნალისტი, დოკუმენტალისტი

ზოგ არქიტექტურულ ნაგებობას საოცარი ბედი დაჰყვება - ისინი ქმნიან ქალაქის ინდივიდუალურ სახეს და მის სავიზიტო ბარათად იქცევიან. მსოფლიოში დღეს ერთგვარი ბრენდია ის ქმნილებები, რომლებიც შექმნის დროს დავის, კამათის, სიძულვილის და უარყოფის ობიექტები იყვნენ. რადგან აქტუალურია ფოთისა და პარიზის დაგეგმარების პარალელი, მაგალითად მოვიყვან ეიფელის კოშკს, რომლის მოძულე გიდე მოპასანი ხშირად სადილობდა იქ, რომ ეს უვარგისი რკინის კონსტრუქცია არ ენახა.

ნიკო ნიკოლაძის მმართველობის პერიოდში დაიწყო ქალაქის აღმშენებლობა. ადრინდელი ხის შენობები ქვის ნაგებობებით შეიცვალა, ფოთის მაღალი ტენიანობის გათვალისწინე-

რუსთაველის რკალი №1

*(ფოთის ნ. ნიკოლაძის სახელობის
საზღვრულო ბიბლიოთეკა)*

ბით, ეს უდავო პროგრესი იყო და ქალაქის იერსაც მეტად შეესაბამებოდა... თხუთმეტი წლის განმავლობაში, ფოთი ამოიზარდა ქაობიდან და სიბნელიდან. მან გაიარა საოცრად სწრაფი გზა დამყაყებულები პროვინციალიზმის მარნუხებიდან ევროპული ტიპის ბურჟუაზიულ ქალაქამდე. შენობათა აბსოლუტური უმრავლესობა, ეპოქის შესაბამისად, მოდერნის სტილის ნამუშევართა რიგს განეკუთვნება.

ფოთის განსაკუთრებულ იერსახეს უქმნის ედმუნდ ფრიკის მიერ აგებული შენობები, მათ შორისაა ბავშვთა ბიბლიოთეკა ძველ ბაღში.

ეს ზღაპრული შენობა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ამშვენებს და ალამაზებს ჩვენს ქალაქს... ვფიქრობ, XXI საუკუნის ახალგაზრდებისთვის საინტერესო იქნება ქალაქის წარსულის ცოდნა, საინტერესო იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ ქალაქ ფოთის ახალ ისტორიას, საინტერესო იქნება, რა დათმობებზე უწევდათ წასვლა, როგორ დიპლომატიას იყენებდნენ და როგორ ითვალისწინებდნენ არსებულ რეალობას, ისტორიულ მოცემულობასთან ერთად, და-



ედმუნდ ფრიკი





სახელი მიზნების მისაღწევად.

ნიკო ნიკოლაძეს, როგორც მისი დროის ბრწყინვალე შვილს, შესანიშნავად ესმოდა, რომ მომავლის საფუძველი განმანათლებლობის ძალაშია. ამიტომაც მისი მოღვაწეობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სხვადასხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციების დაარსებას. მაგრამ, ჯერ გავიხსენოთ, როგორი იყო ფოთის საბიბლიოთეკო ცხოვრება ნიკო ნიკოლაძის ფოთში მოსვლამდე.

როგორც ცნობილია, იმ დროისთვის, საქართველოს სხვა ქალაქების მსგავსად, ფოთის ინტელიგენცია და მოსწავლე-ახალგაზრდობა სამკითხველოებისა და ბიბლიოთეკების დიდ ნაკლებობას განიცდიდა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ქალაქის თვითმართველობას ვინმე კონსტანტინე ნოდისათვის ცალკე მიწის ნაკვეთი გამოუყვია წიგნებისა და საკანცელიარიო მალაზიის ასაგებად. საარქივო მასალა და ძველ გაზეთებში გამოქვეყნებული ინფორმაცია ნათლად გვიჩვენებს გზას ქართული წიგნის წყურვილიდან წიგნთსაცავ-სამკითხველომდე.

„ჩვენში წიგნის მალაზიები ძლიერ ცოტაა, ჩვენი დაბა-სოფლები ძალიან გაჭირვებულნი არიან ამ მხრივ. მაგალითებრ, ოზურგეთსა და ანზუგდში რომ ვისმე ორ შაურიანი და ერთ აბაზიანი წიგნი დასჭირდეს, იძულებულია ან ტფილისიდან და ან ქუთაისიდან დაიბაროს, ისიც ვინ იცის, მოუვა კი მერე და თუ მიუვა, რამდენიმე ხნის შემდეგ. ამიტომ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ის ამბავი, რომ ბ-ნ კონსტანტინე ნოდის ფოთში უკვე გაუმართავს წიგნის მალაზია (ივერია, 1888, 24 დეკემბერი, N272).“

ესაა ფოთში წიგნის მალაზიასა და სამკითხველოს გახსნასთან დაკავშირებული ქართულ პრესაში გამოქვეყნებული ყველაზე ადრინდელი ცნობა. ამრიგად, ფოთში წიგნის მალაზია უკვე 1888 წელს დაარსებულა. როგორც ყველა ახალდაწყებულ საქმეს, ამ წამოწყებასაც ახლდა თავისი სირთულეები. ორი წლის არსებობის მანძილზე კ. ნოდის მალაზიაში მოიძებნებოდა მხოლოდ სახელმძღვანელო წიგნები ქართულ და რუსულ ენებზე. მხატვრული ან სხვა სახის ლიტერატურა, ფაქტობრივად, არ ჰქონიათ. ფოთელები იმედოვნებდნენ, რომ მალე ამ წიგნის მალაზიასთან გაიხსნებოდა ბიბლიოთეკა, რომელშიც ყოველგვარი ლიტერატურა იქნე-

ბოდა და თანაც „წიგნების კითხვა ძლიერ იაფ ფასად იქნება გადაწყვეტილი“-ო, ფიქრობდნენ.

მართლაც, როგორც ჩანს, მალე გახსნილა ბიბლიოთეკაც, თუმცა სრულყოფილი საბიბლიოთეკო მომსახურებას ბევრი რამე უშლიდა ხელს. გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი ფოთიდან მ. ჯორბენაძე, ფოთის პრობლემებზე საუბრისას, წუხილს გამოთქვამს, ქალაქში გამეფებული მდგომარეობის გამო. „ჩვენში არ არსებობს არცერთი ისეთი დაწესებულება, რომელსაც საგნად ჰქონდეს ქალაქის სარგებლობის მოტანა და ცხოვრების გაუმჯობესება“ - წერდა ავტორი და აღნიშნავდა, რომ აქ მხოლოდ ერთადერთი ბიბლიოთეკა [წიგნის მალაზია - ი.კ.] იყო, მაგრამ იმასაც მალე სული ამოხდებოდა, რადგან მის კარგად ყოფნასა და განვითარებაზე არავინ ზრუნავდა ბატონი ნოდის გარდა. ამავე წერილის მიხედვით, ნოდის წიგნთ-სამკითხველოს გახსნაც ჰქონია განზრახული, ამისთვის ორი გაზეთიც ჰქონია გამოწერილი, მაგრამ რაკი მხარი არავინ დაუჭირა, მალევე მიუხედავად თავი (ივერია, 1891, N210).

კ. ნოდის ბიბლიოთეკის მდგომარეობის ასეთი უარყოფითი შეფასება გადაჭარბებული ჩანს, რადგან, როგორც შემდგომი წლების პრესას თუ დავეყრდნობით, კ. ნოდის არათუ დაუნებებია თავი ბიბლიოთეკისათვის, არამედ მის განვითარებაზეც უზრუნია სხვადასხვა ხერხით, მათ შორის - საზოგადოების ჩართვითაც. მაგალითად, გაზეთ „მწყემსის“ რედაქტორს, დეკანოზ დავით ღამბაშიძეს, ბიბლიოთეკისათვის შეუწირია თავის გაზეთების - „მწყემსისა“ და „Пастырь“- ის 1891 წლის კომპლექტები, რისთვისაც კ. ნოდამ გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე საჯაროდ გადაუხადა მას გულითადი მადლობა. („ივერია“, 1891, 5 თებერვალი, N227)“

იმავე წლის 20 ივნისის „ივერია“ მკითხველებს ამცნობს, რომ „ქართული სცენის მოყვარეთ „საზოგადო კრების“ დარბაზში წარმოდგენა გამართეს ბ-ნ ი. მეუნარგიას თაოსნობით. წარმოდგინეს „მზის დაბნელება საქართველოში“ ფოთის სახალხო წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. წარმოდგენამ ძლიერ კარგად ჩაიარა, დამსწრეთაც ძალიან ისიამოვნეს.“ წარმოდგენის შემოსავალი იყო 80 მანეთამდე, ხარჯი 31 მან. დარბაზი უსასყიდლოდ დაუთმიათ მსახიობებისათვის. თუმცა, წერილის ავტორი მაინც უკმაყოფილო

დარჩენილა ხალხის ნაკლები აქტიურობით. იგი ნუხდა, რომ საზოგადოების ზოგიერთი ნაწილი (შეგნებული) იქამდე ვერ მისულა, რომ წიგნთსაცავის დაარსების საჭიროება ეგრძნო; რომ ისინი ხორციელი საზრდოს მიღებაზე ხარჯავენ თითქმის მთელს თავის ქონებას, მაშინ როდესაც სულიერი საზრდოსათვის არ ზრუნავენ და ძალიან გულგრილად ეკიდებიან.

და მაინც, ავტორი დარწმუნებულია, რომ ი. მუნარგიას მეთაურობითა და კეთილ საქმის დამხმარე კაცთა შემწეობით ფოთში მალე იქნება სრულფასოვანი წიგნთსაცავი. იმ დროისათვის კი წიგნსაცავს შემოწირულობის სახით ჰქონია 135 ცალი სხვადასხვა ქართული წიგნი.

ნოდის სამკითხველოში ქართულ და რუსულ წიგნებთან ერთად სომხური წიგნებიც ინახებოდა. სამკითხველოს ხელისმომწერებიც ჰყავდა. დაწესდა, რომ თითოეულ წევრს სამკითხველოს სასარგებლოდ წლიურად სამ-სამი მანეთი გადაეხადა. 1892 წელს წევრად ჩაენერა 120 კაცი. ამ წევრთაგან სამკითხველოს სასარგებლოდ უნდა შეგროვებულიყო 360 მანეთი, სინამდვილეში კი შეგროვდა მხოლოდ 56 მანეთი. კონსტანტინე ნოდია პრესის საშუალებით საზოგადოებას აცნობდა სამკითხველოს ფინანსურ მდგომარეობას: „...იმავე წელს სამკითხველოს სასარგებლოდ მე გამოვიწერე ათი სხვა-და სხვა ჟურნალ-გაზეთი, 81 მანეთისა და 52 კაპ. აქედან ცხადად მიხვდება მკითხველი, რომ არამცთუ საწევრო, არამედ ჩემი ფულიც მომიხმარებია სამკითხველოსთვის.. რადგან საჯარო წიგნთსამკითხველომ ვერ იწარმოვა საწევრო ფულის შემოუტანლობის გამო, ამისათვის წელს მე თვითონ გამოვიწერე ჟურნალ-გაზეთები გასასყიდად და საკითხავად. სამკითხველოს სასარგებლოდ წლით 150 კაპეიკი დავაწესე. თითო გაზეთის ნომერს ვყიდდი ამ ფასად, როგორც რედაქციებში იყიდება, მაგრამ მაინც სამკითხველოს ცოტა ჰყავს მკითხველი და გაზეთებიც არ იყიდება“ (ივერია, 1893, 7 მარტი, N48).

1893 წლის 25 თებერვალს კ. ნოდის ქალაქ ფოთის თვითმმართველობისაგან მიუღია ფოთის ბულვარში წიგნთსაცავისათვის პავილიონის აშენების ნებართვა. იგი გეგმავდა, რომ შენობის აშენებისთანავე დაეარსებინა უსასყიდლო წიგნთ-სამკითხველო და ამ საქმეში განათლებულ კაცების დახმარების იმედი

ჰქონდა. ამავე პერიოდში წიგნის მაღაზიის და საჯარო წიგნთსაცავის დაარსების ნებართვა მიიღო ფოთელმა მესტამბე ლავრენტი ტულუშმაც. მისი სამკითხველოს ფონდი 200-მდე წიგნს მოიცავდა. ლ. ტულუშისა და კ. ნოდის სამკითხველოები თავიანთი წიგნების ფონდით ვერ აკმაყოფილებდნენ ფოთის მოსახლეობას. ამას ერთვოდა წიგნების დაკარგვის ამბავი. გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი იუწყებოდა: „დაკარგულა სამოცდახუთ წიგნამდე. დაკარგული წიგნები, უეჭველია, დროებით მკითხველების ხელში იქნება, რომლებიც, იმედია, დაუბრუნებენ „ბიბლიოთეკას“ თავის წიგნებს და ამ სახით ააცილებენ საყვედურს ბ-ნ ნოდის, რომელიც ხსენებულ დროის განმავლობაში უსასყიდლოდ განაგებდა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საქმეს (ივერია, 1895, 25 იანვრი, N18).


მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულის ქართულ პრესაში ფოთის სამკითხველოს საკითხი რამდენჯერმეა წინ წამოწეული. სურათი თითქმის ერთნაირია - ძმები ნოდისა და ლ. ტულუშის მიერ დაარსებული სამკითხველოებს ეკონომიურად უჭირთ და სათანადოდ ვერ ავსებენ ფონდებს, შესაბამისად, ვერც სამკითხველოების შემადგენლობა აკმაყოფილებს საზოგადოების ინტერესს. ქალაქში ხშირად იმართებოდა საქველმოქმედო წარმოდგენები და სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები, რომელთა შემოსავლის რაღაც ნაწილი ფოთის სამკითხველოს საჭიროებებს ხმარდებოდა. თუმცა, ეს არ იყო საკმარისი მათი არსებობის შესანარჩუნებლად. ქალაქის მოსახლეობიდან ყველას არ აინტერესებდა სამკითხველო. მაგალითად, 1895 წლის დეკემბერში მ. ბალანჩივაძის მიერ გამართული საქველმოქმედო კონცერტის შემოსავლის მეტი ნაწილი გადასცემია ქალთა სკოლას, ხოლო სამკითხველოსთვის მცირედი დარჩენილა. გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილის ავტორი გულისწყვეტით წერდა: „თუ-კი გავლენიანმა კაცებმა ქალების სკოლის სასარგებლოთ განიზრახეს არა ერთხელ დახმარება, მაშ მიზეზი რა არის, რომ იმათაც გადაავლონ თავიანთი მონყალე თვალი, გადატაკებულს სამკითხველოს, ჩაუდგან მომაკვდავი სული და სამუდამო საძირკველი დაუსკვნან? მით უმეტეს, რომ სამკითხველოსა და წიგნთსაცავს არა ნაკლებ სკოლაზედ სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს აქაურ





მკვიდრთ. ნუ დაივინყებთ, რომ სამკითხველო და წიგნთ-საცავი მეორე სკოლაა, საიდანაც უფრო მომეტებულ გონების გასავითარებელ მასალას უნდა მოველოდეთ და ბევრს სხვა-და-სხვა მავნე თავ-გასართობებს ავგაცდენს თავი-დამ (ივერია, 1895, 29 დეკემბერი, N281).“

ასეთ ვითარებაში ნელ-ნელა მინელდა და შემდეგ შეწყდა ძმები ნოდებისა და ლ. ტულუშის სამკითხველოთა მუშაობა. მაგრამ ფოთელებმა მალე ახალი ენერგიით დაიწყეს სამკითხველოს გახსნაზე ზრუნვა. ამ მიზნით 1896 წელს მასობრივი ხელმოწერაც ჩატარებულა ფოთში.

1897 წელს ა. ხოშტარიას და ნ. საბახტარაშვილს მიუმართავთ თვითმმართველობისათვის, რათა მიხეილის ბულვარში გამოეყოთ ადგილი წიგნების სავაჭრო ფარდულის და სამკითხველოს შენობის ასაგებად, რაზედაც იმავე წლის 3 დეკემბერს მიუღიათ პასუხი: “თქვენი თხოვნა 20 კვ საჟენი ქალაქის მიწის გამოყოფაზე პავლიონის ასაშენებლად, საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის და წიგნის ფარდულის მოსაწყობად, ქალაქის საბჭომ ამა წლის 30 სექტემბერს მორიგ კრებაზე განიხილა და დაადგინა: გამოგეყოთ არენდით 20 კვ საჟენი მიწა კამჭარიძის ჯიხურის გვერდით 9 წლის ვადით, პირველ ხუთ წელიწადს ყოველწლიურად თითო რუბლი ყოველ კვადრატულ საჟენზე გადასახადით და ამ ვადის გასვლის შემდეგ, საბჭოს გადაწყვეტილებით, აუცილებელი პირობით, რომ პავლიონში არაფერი არ უნდა გაიყიდოს წიგნებისა და გაზეთების გარდა, იმის შიშით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მიწა დაუბრუნდება ქალაქს და ფარდული დანგრეულ იქნება“ (თარგმანი რუსულიდან).



საკანონო ბიბლიოთეკის შენობის პროექტი 1908წ.
Проект здания юридической библиотеки 1908г.



1898 წელს 26 ნოემბერს ი. ფანცხავას თავმჯდომარეობით მოეწყო საზოგადოებრიობის საერთო კრება ფოთში წიგნსაცავ-სამკითხველოს დაარსების თაობაზე.

1899 წლის 14 იანვარს ფოთში გაიხსნა საჯარო სამკითხველო. ქალაქის საზოგადოებრიობამ ეს ღირსშესანიშნავი დღე ზეიმით აღნიშნა. ეპისკოპოსმა ალექსანდრემ საეკლესიო წესის თანახმად აკურთხა კულტურის ეს ახლადდაარსებული კერა და სამკითხველოს 100 მანეთი შესწირა. ამ საერთო სახალხო ზეიმში ნიკო ნიკოლაძემაც მიიღო მონაწილეობა. ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკა სათანადო შენობის უქონლობის გამო დიდ სივიწროვეს განიცდიდა. დაისვა შენობის საქველმოქმედო წესით აგების საკითხი. საერთო მოწონება ჰპოვა ინიციატივამ ცოლქმარ ვორკოვსკებისა, რომლებმაც მათ მიერ გამართული მუსიკალურ-ლიტერატურული სა-

ლამოებიდან მიღებული თანხა მთლიანად ბიბლიოთეკის შენობის აგებას შესწირეს. ქართული პრესა ასე გამოეხმაურა სამკითხველოს გახსნას: „ფოთი. საზოგადო სამკითხველოს საქმე ცოცხლად მიდის, ხალხი ეტანება გაზეთების კითხვას (ცნობის ფურცელი, 1899, 6 მარტი, N766)“.

წინანდელი გამოცდილებისაგან განსხვავებით, ამჯერად სამკითხველოს საქმე წინ მიდიოდა და წლების განმავლობაში მასზე ზრუნვა არ წყდებოდა როგორც ქალაქის ხელისუფლების, ასევე საზოგადოების მხრიდან. 1904 წლის „ცნობის ფურცელი“ წერდა, რომ მსგავსი სამკითხველო იშვიათი ყოფილა მთელს იმერეთ-გურია-სამეგრელოში. მას გამომწერილი ჰქონდა უამრავი ჟურნალ-გაზეთი, თუმცა იმაზეც გამოითქვა უკმაყოფილება, რომ სამკითხველო ფასიანი იყო.

1908 წელს ფოთის თვითმმართველობამ მიხეილის ბულვარში გამოყო ფართი საჯარო ბიბლიოთეკის შენობის ასაგებად. მშენებლობას სამშენებლო მასალები შესწირეს გ. საბახტარაშვილმა. ალ. ჩახავამ, ა. ხოშტარიამ, ე. გაბელიამ, გ. დიდიამ, ს. ურუშაძემ. ფოთის მოსახლეობის ერთსულოვანი მხარდაჭერის შედეგად 1909 წელს ქალაქის არქიტექტურულ ნაგებობათა საერთო ანსამბლს ბიბლიოთეკის ახალი შენობა შეემატა.

თუ გადავხედავთ მთლიან სურათს, 130 წელი შესრულდა ფოთში პირველი სამკითხველოს გახსნიდან. თუმცა, როგორც ისტორიამ აჩვენა, ა. ხოშტარიასა და ნ. საბახტარაშვილის მიერ დაარსებული სამკითხველო უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. დღეს აქ ნიკო ნიკოლაძის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკაა. 112 წელია პატარების ჟრიამული ავსებს ნიკოლაძისეულ ბიბლიოთეკას... საუკუნეზე მეტია ბიბლიოთეკის მუშაკები, უფრთხილდებიან და სიამაყის განცდით ემსახურებიან საბიბლიოთეკო საქმეს ამ ისტორიულ შენობაში.

ნიკო ნიკოლაძის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა ძველებურად იზიდავს წიგნის კითხვის მოყვარულ, ცოდნის შეძენის მოწყურებულ მოსწავლე ახალგაზრდობას. არაფერი შეცვლილა - დღესაც ცოდნა და განათლება წყვეტს ქალაქის, ქვეყნის დღევანდელ და ხვალინდელ დღეს. გზა პროვინციალიზმიდან პროგრესამდე გადის განმანათლებლობის შეუდარებელ შუქზე. ამ გზას ალტერნატივა არ გააჩნია და, როგორც დაც არამოდურად ან ბანალურად ჟღერდეს - სა-



ბავშვო ბიბლიოთეკებს განსაკუთებული როლი აკისრიათ. ელექტრონული ბიბლიოთეკების და პანდემიის კვალდაკვალ რთულია კონკურენცია გაუწიოს მე-19 საუკუნის დროინდელმა ბიბლიოთეკამ ინტერნეტ-სამყაროს. მაგრამ ედმუნდ



ფრიკის აშენებულ შენობაში წიგნის ფურცლებიც სხვა აღქმას და შეგრძნებებს, სხვა კვალს ტოვებს ბავშვის სულში. აქ სხვა სივრცეა შემოქმედებითი ხასიათის გონებისთვის. ამიტომაც აუცილებელია, რომ ისტორიული შენობის ავთენტურობისა და ხასიათის დაცვით, ჩატარდეს სარესტავრაციო სამუშაოები, შეყვანილ იქნას შენობის გათბობა/ვენტილაციისათვის გაზი და უზრუნველყოფილ იქნას სველი წერტილით. ეს ყველაფერი უფრო კომფორტულს და სასიამოვნოს გახდის ბიბლიოთეკის სივრცეში წიგნზე მუშაობას, რომელიც ყოველთვის გვაძლევს დაფიქრების, დაყოვნების და სამყაროში ჭკრეტის შესაძლებლობას, როცა შენი მზერა წიგნის ფურცლიდან გადადის ფანჯრიდან შემოსულ მზის შუქზე.



სოსო კოტორეიშვილი

ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორის მოადგილე, მუნიციპალური ბიბლიოთეკების კურატორი

ბევრჯერ წაკითხული წიგნის კიდევ ერთხელ გადაკითხვას ჰგავს ჩვენი ამბავი - ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მუნიციპალური ბიბლიოთეკების გაერთიანების დღევანდელ ყოფაზე მოგახსენებთ და, რადგან ყველა ამბავს აქვს დასაწყისი, თხრობაც დასაწყისიდან დავიწყოთ.

2007 წლამდე ქ. ბაღდათში და მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ფუნქციონირებდა 15 ბიბლიოთეკა, თუმცა, სამწუხაროდ, მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მთელს ქვეყანაში და, მათ შორის, ჩვენს მუნიციპალიტეტშიც, ბიბლიოთეკების უმრავლესობა გაუქმდა და 15-დან მხოლოდ სამმა ბიბლიოთეკამ (ქ. ბაღდათის ჯ. ღვინჯილიას სახელობის ცენტრალური, სოფლების, დიმიისა და ფერსათის ბიბლიოთეკები) განაგრძო საქმიანობა, არადა, გაუქმებული "წიგნის სახლები" და მიტოვებული წიგნები დღემდე ელოდნენ მკითხველთან დაბრუნებას.

2015 წლიდან დავიწყეთ პროექტი „დავუბრუნოთ სოფელს ბიბლიოთეკა“, რომელიც მიზნად ისახავდა გაუქმებული ბიბლიოთეკების აღდგენას და მათი მუშაობის თანამედროვე

ცუდი ამბის კარგი დასასრული!

*ბაღდათის მუნიციპალიტეტის 7 სოფელში
გაყოფილებული ბიბლიოთეკები*

სტანდარტებზე მორგებას, რაც გულისხმობს ბიბლიოთეკების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვას, ინტერნეტიზაციას და წიგნადი ფონდის ელექტრონული კატალოგის შექმნას. პროექტის - დავუბრუნოთ სოფელს ბიბლიოთეკა - განხორციელებაში დიდი დახმარება გაგვიწია ადგილობრივმა თვითმმართველობამ, ეროვნულმა ბიბლიოთეკამ და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ.

პირველი ნაბიჯები 2015 წლის შემოდგომაზე გადაიდგა, როცა ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკართა ძალისხმევით ორი თვის მანძილზე მოვახერხეთ სოფლების ბიბლიოთეკებში და მოსახლეობაში მიმოფანტული წიგნადი ფონდის აღრიცხვა-დახარისხება. წვიმასა და ქარში, მთასა და ბარში, ნესტსა და ობში დაუბარეღმა, დაულაღავმა, თავისი საქმის პროფესიონალმა ქალბატონებმა შეუძლებელი შეძლეს - წიგნთა ფონდი შეძლებისდაგვარად მოწესრიგდა და რამდენიმე სოფელში ბიბლიოთეკების აღდგენა რეალურ და უახლოესი მომავლის საქმედ იქცა.

ამ მოსამზადებელ, საძირკველჩაყრილ საქმეს შემდეგი ნაბიჯები მოჰყვა - ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობიაო - და ჩვენც სოფლის ბიბლიოთეკების მოსანახულებლად და იქ არსებული მდგომარეობის გასაცნობად საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ოთხქალიანი დელეგაცია ვისტუმრეთ ბიბლიო-ტურზე: „ბაღდათის წიგნის გზა“ - ობჩა, დიმი, როკითი-დიდველა, ვარციხე, როხი, წითელხევი, ფერსათი, ბაღდათი. მასპინძლები - სოფლების გაუქმებული და მოქმედი ბიბლიოთეკები. გული წრფელი, სურვილი ერთი, მონდომება მისაბაძი, თანადგომა უშურველი, მიზანი - დავუბრუნოთ სოფლებს ბიბ-

ლიოთეკები! ამ ვიზიტისას გადანყდა და მალევე ბეჭედიც დაესვა, რომ მოქმედი, ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ბაღდათის ცენტრალური ბიბლიოთეკა და სოფლების, დიმიისა და ფერსათის ბიბლიოთეკები საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრები გახდებოდნენ, ხოლო დანარჩენ სოფლებში ბიბლიოსახლების აღდგენის შემდეგ ისინი ჩაერთვებოდნენ პროექტში - „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“.

სოფლებში ბიბლიოთეკების მეორედ დაბადება, მათთვის სახელის დარქმევა (იურიდიული სტატუსის მინიჭება) ადგილობრივი თვითმმართველობის, მერიისა და საკრებულოს პრეროგატივაა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის „აღმასრულებელმა“ და „საკანონმდებლო“ ხელისუფალმა „წიგნის გზას“ არ გადაუხვიეს, ბიბლიოთეკართა გარჯას ფასი არ დაუკარგეს, წიგნის და კითხვის მოყვარულთა სურვილი გაითვალისწინეს, მეტიც, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და საბიბლიოთეკო ასოციაციასთან თანამშრომლობა გადაუდებელ საქმედ მიიჩნიეს და, თამამად შეიძლება ითქვას, 2018 წლის აპრილში „საეტაპო“ შეხვედრაც შედგა - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილმა, საბიბლიოთეკო

რესურსების დეპარტამენტის დირექტორმა ლევან თაქთაქიშვილმა და საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა რუსუდან ასათიანმა 2007 წელს დახურული ბიბლიოთეკების მონახულების შემდეგ, საქმიანი და საინტერესო შეხვედრა გამართეს ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, რომელსაც ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ გოგსაძე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამსახურის უფროსი ნინო მშვილდაძე; მერიის ადმინისტრაციის უფროსი კახა გოგნაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ გიორგიძე, საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ირინა ტყეშელაშვილი და ა.ა.ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორი ვალერი კვინიხიძე ესწრებოდნენ. სტუმრებმა ბიბლიოთეკისთვის საჩუქრად ჩამოტანილ წიგნებთან ერთად სოფლად საბიბლიოთეკო ცხოვრების განახლებისთვის საჭირო რჩევები დაუტოვეს მასპინძლებს. უსაჩუქროდ არც ცენტრალური ბიბლიოთეკის ღვანლმოსილი ქალბატონები ვენერა წერეთელი და ლია ლაღიძე დარჩენილან.



2018 წლის 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე ბაღდათის მუნიციპალიტეტში საკადრისად აღნიშნა, მრავალფეროვანი ღონისძიებების აკორდი კი სოფლებში, წითელხევსა და პირველ ობჩაში ბიბლიოთეკების გახსნა იყო. წითელხევში სამკითხველოს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ჰიმნის, „დიდების“ ავტორის, წითელხევის მკვიდრის, კომპოზიტორ კოტე ფოცხვერაშვილის სახელი ეწოდა.

მაღევე, პროექტის - „ინტერნეტი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას“ ფარგლებში - წითელხევისა და I ობჩის ახლად აღდგენილ ბიბლიოთეკებს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ საჩუქრად კომპიუტერული ტექნიკა (პერსონალური კომპიუტერი, მრავალფუნქციური ლაბერული პრინტერი) გადასცა და ინტერნეტით უზრუნველყო. საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა რუსუდან ასათიანმა და ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა: ლოლა სანაიამ, უჩა ჯიბლაშვილმა, ქეთი თომაძემ და ნინო ხმალაძემ კომპიუტერულ ტექნიკასთან ერთად ორივე ბიბლიოთეკას ახალი წიგნებიც უსაჩუქრეს. ამიერიდან, თანამედროვე ინტერნეტმომსახურების გარდა, ბიბლიოთეკებს შეუძლიათ ადგილობრივი თემისთვის ბევრად მეტი სერვისების მიწოდება. ბიბლიოთეკა სოფლისთვის ერთგვარი საინფორმაციო ცენტრი გახდა, ორივე სოფლის ბიბლიოთეკარებმა შესაბამისი გადამზადების კურსები გაიარეს.



2020 წელს ბაღდათის საბიბლიოთეკო გაერთიანებას კიდევ ორი აღდგენილი ბიბლიოთეკა შეემატა - სოფელ მეორე ობჩაში და მაღალმთიან სოფელ ზეგანში. პანდემიის მიუხედავად, ახალგაზსნილი ბიბლიოთეკები რეგულაციების სრული დაცვით ემსახურებიან მკითხველს და ახლა უკვე კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტითაც მოემსახურებიან დაინტერესებულთ.

ამ საქმეში ამჯერად დაგვეხმარა - „საერთაშორისო ასოციაცია „კვიტას გეორგია“ და პოლონური ორგანიზაცია „PCPM - პოლონური საერთაშორისო დახმარების ცენტრი“. ეს ორგანიზაციები ახორციელებენ პროექტს - „მაღალმთიან რეგიონებში სათემო ბიბლიოთეკების დახმარება პანდემიის პირობებში ონლაინ სერვისების გასაზრდელად“ და მათმა ტექნიკოსებმა უკვე დაამონტაჟეს კომპიუტერები ზეგანსა და მეორე ობჩაში.

პროექტი დააფინანსა პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. პროექტის ფარგლებში საქართველოს ცხრა მუნიციპალიტეტის 26 სათემო ბიბლიოთეკა აღიჭურვა ციფრული ტექნიკით (კომპიუტერი, პრინტერი, ID ბარათის წამკითხველი, ინტერნეტის მოდემი) და საქართველოში პანდემიასთან ბრძოლის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისი აღჭურვილობით (დისტანციური თერმომეტრი, პირბადეები, სადებიზინფექციო ხსნარების შესაბამისი ქურჭლით).

ოცდაექვსივე ბიბლიოთეკის თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგები, რის საფუძველზეც ისინი უკეთ შეძლებენ ბიბლიოთეკის მართვას კოვიდ პანდემიის პირობებში.

ახალ გამოწვევებთან სათანადოდ გასამკლავებლად ერთ წრეზე ტრიალი რომ არაფრის მომტანია, ამას ბევრი ფიცი-მტკიცე არ სჭირდება და ამიტომაც წიგნადი ფონდის განახლებასთან ერთად, ბიბლიოთეკარები ცოდნა-უნარების „გაახლებასაც“ არ ერიდებიან. ამის დასტურია ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ბიბლიოთეკარებისთვის საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტის, რუსუდან ასათიანის მიერ ჩატარებული სამდღიანი ტრე-



წინგი თემაზე - „ახალი საბიბლიოთეკო სერვისების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკებში“. ტრენინგი მოიცავდა შემდეგ საკითხებს: ბიბლიოთეკა და ტექნოლოგიები, ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა ბიბლიოთეკაში და მისი მხარდაჭერა; მომხმარებელთა საჭიროებების მენეჯმენტი; როგორ ჩავატაროთ ტრენინგი; ბიბლიოთეკარის სამუშაო რეჟიმის შეცვლა თანამედროვეობაში. ახალ საბიბლიოთეკო სერვისებსა (მომხმარებლების საჭიროებების შესწავლა, ახალი სერვისების შექმნა და მომხმარებლებში რეკლამირება, აქტივობა - პერსონების 4 ტიპი) და მინი-ლექცია „ეფექტური პრეზენტაციის“ შესახებ; „სათემო მობილიზაცია ბიბლიოთეკების გავლით“.

პანდემიის გამო საბიბლიოთეკო ცხოვრება კარგა ხნის მანძილზე შეჩერებული კი იყო, თუმცა ახალი წიგნებით ბაღდათის ბიბლიოსახლის განახლება მაინც შევძელით საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის დახმარებით - სექტემბრის 450-ლარიან სასაჩუქრე ვაუჩერს, ნოემბერში 700-ლარიანი ვაუჩერი მოჰყვა და წიგნებმა, რომლებიც

მკითხველთა მოთხოვნის გათვალისწინებით შეირჩა, უკვე ცენტრალურ და სოფლის ბიბლიოთეკებში დაიდეს ბინა. სანამ მათი ახალმოსახლეობა შედგებოდა, ახალგაზრდების მიერ შექმნილ „მკითხველთა კლუბთან“ ერთად ღია სივრცეში მოეწყო ახალი გამოცემების გამოფენა - დათვალიერება.

სწორედ კოვიდ-პანდემიაა „დამნაშავე“ იმაში, რომ ბიბლიოთეკების სისხლსავსე ცხოვრება - ცხოვრება ხშირი სტუმრიანობით, მკითხველთა შეხვედრები პოპულარულ მწერლებთან და პოეტებთან, საიუბილეო თარიღების ორიგინალურად, თეატრალურად აღნიშვნა, ტრადიციად დამკვიდრებული პირველკლასელთა პირველი მოგზაურობა წიგნის სამყაროში, ფოტოკონკურსი „წიგნი, მკითხველი, ბიბლიოთეკა“, „კინოს დღე“, ახალგაზრდა მხატვრების ნახატების გამოფენა და ა.შ დროებით მინელდა. თუმცა, ცხოვრება არ დასრულებულა, სანამ გაქვს კარგი ამბავი და გყავს ადამიანი, რომელსაც მოუყვები ამ ამბავს. ჰოდა, მაქვს კარგი ამბავი და თქვენ გეტყვით ამ ამბავს - მარტში კიდევ ერთი ბიბლიოთეკა გაცოცხლდება, ამჯერად როკით-დიდველაში!



ნიკოლოზ მაჭავარიანი

ხარაგაულის კულტურის და
ხელოვნების ცენტრის დირექტორი

5 მარტს ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში გაიმართა იზა ვეფხვაძის წიგნის - „ხარაგაულის მსახური ახმედ გოგოლაძე“ პრეზენტაცია. წიგნი ეძღვნება ხარაგაულელ შემოქმედს, პოეტს, ფოტოხელოვანს ახმედ გოგოლაძეს. მასში ძალზე შთამბეჭდავად არის მოთხრობილი ღვაწლმოსილი ხარაგაულელის ცხოვრების გზა, მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნიუანსები და ის მნიშვნელოვანი მომენტები, რომელთა გარეშეც წარმოდგენილია ხარაგაულის ცხოვრების ქრონიკები. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, უპრეტენზიო კაცი გახლდათ ახმედ გოგოლაძე, მაგრამ მისი შინაგანი სამყარო, ნიჭიერება და მრავალმხრივობა, მას

წიგნის წარდგინება

ყოველთვის გამოარჩევდა სხვათაგან. წიგნში თავმოყრილი ახმედ გოგოლაძის ლექსები და ფოტომასალა ძალზე შთამბეჭდავად მეტყველებენ მათი შემქმნელის სულიერ სამყაროზე.

წიგნის ავტორმა იზა ვეფხვაძემ ვრცლად ისაუბრა იმის შესახებ, თუ რამ შთააგონა ამ წიგნის შექმნა. მან ხაზი გაუსვა ახმედ გოგოლაძის როლსა და მისი ნაღვანის მნიშვნელობას ხარაგაულის ისტორიაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იზა ვეფხვაძის მეცამეტე წიგნია, რომელიც ხარაგაულს და ცნობილ ხარაგაულელებს ეძღვნება. მისი წიგნების გმირები ის გამორჩეული ადამიანები არიან, რომელთაც ღრმა კვალი დააჩინეს ხარაგაულის მიწას, რომელთა საქმიანობა და ყოფა მშობელი მიწის უანგარო სამსახურს მიეძღვნა... სწორედ ასეთთაგან ერთერთი გამორჩეული გახლდათ ახმედ გოგოლაძე. მის მიერ შექმნილი ფიგურები ქეშმარიტი ხელოვნების ნიმუშებია. მან შეძლო, რომ აემეტყველებინა უსიცოცხლო, გამხმარი ხის ფესვები, სული ჩაედგა უსულო საგანთათვის და მნახველთა აღფრთოვანება გამოეწვია. სწორედ ახმედ გოგოლაძის ფოტოობიექტივში მოხვედრილი კადრებით ცოცხლდება ხარაგაულის ხედები, ისტორიული ადგილები.



იზა ვეფხვაძე



ახმედ გოგოლაძე

ახმედ გოგოლაძის დამსახურებაა ხარაგაულში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნა და ექსპონატების შეგროვება. განუზომელია ახმედ გოგოლაძის ღვაწლი ხალხური მარგალიტების შეგროვების საქმეში. მას სრულყოფილად აქვს შესწავლილი და დამუშავებული ხარაგაულის ტოპონიმისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

ცალკე საუბრის თემაა ახმედ გოგოლაძის პოეზია, მისი ღრმა და ემოციური ხედვა, რითმის ჯადოსნურობა, მეტაფორები, შედარებები, თემატიკის მრავალფეროვნება. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ახმედ გოგოლაძის დამოკიდებულებას მომავალ თაობასთან, ახალგაზრდებთან, ბავშვებთან, რომელთაც ხელოვნების და სამშობლოს სიყვარულს აზიარებდა, ფოტოხელოვნების ჯადოსნურ სამყაროში ამოგზაურებდა.

საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ და ახმედ გოგოლაძის ღვაწლი, მისი პიროვნული თვისებები გაიხსენეს მეგობრებმა, მეზობლებმა, ნათესავებმა, რიგითმა ხარაგაულელებმა. ყველა მათგანი საუბრობდა ახმედ გოგოლაძის წარუშლელ კვალზე ხარაგაულის ისტორიაში, მის ღრმა ადამიანურ თვისებებსა და მრავალმხრივ, უნიკალურ ნიჭზე.



შეხვედრას ესწრებოდნენ ახმედ გოგოლაძის ოჯახის წევრები: შვილი, შვილიშვილი, დისშვილები, ძმისშვილები. ძალზე შთამბეჭდავი გახლდათ მათი მოგონებები ახმედ გოგოლაძეზე. როგორც ყველა სხვა დანარჩენ საქმეში, ოჯახისა და ახლობლებისთვისაც განუმეორებელი პიროვნება გახლდათ იგი. შეიძლება ითქვას, რომ მისი პირადი ცხოვრება არ იყო ია-ვარდით მოფენილი, ცხოვრება მის მიმართ ხშირად დაუნდობელიც კი იყო, მაგრამ მისი სულიერი სამყარო ყველაფერს იტანდა და ამ უიმედობას შემოქმედებაში იმედად და მშვენიერებად აქცევდა.



დასასრულს კი ყველას მადლობა გადაუხადა ახმედ გოგოლაძის შვილმა ანდრია გოგოლაძემ, რომელიც თავის 4 წლის შვილთან ერთად ესწრებოდა მამისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაციას. შეიძლება ითქვას, რომ იყო სიყვარულით და მონატრებით გაჯერებული საღამო კაცზე, რომელიც მთელი ცხოვრება ემსახურა ხარაგაულს და მის კეთილ მომავალს. უახლოეს პერიოდში წიგნის წარდგინება გაიმართება ახმედ გოგოლაძის მშობლიურ სოფელ ღორეშაში.

ქართული მწეხრობა



თეიმურაზ დორიაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,
კრიტიკოსი

გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა შორის „სადღეგრძელო იყოს მისი“ გამორჩეულად პოპულარულია, რასაც ხელი შეუწყო ტექსტის ანაკრეონტულმა შეფერილობამ და მსუბუქმა რიტმულ-მელოდიურმა წყობამ. მოხდა ისე, რომ დღემდე არავის უცდია, სანადიმო სიტუაციის მიღმა ნაწარმოების რეალური შინაარსი ამოვეითხა, გაერკვევია, რავითარებაში, როდის დარასულისკვეთებით დაინერა ეს ლირიკული შედევი.

„სადღეგრძელო იყოს მისი“, პოეტის თხზულებათა თორმეტტომეულის ცნობით, პირველად 1927 წელს, ე.წ. ზარნიშიან წიგნში გამოქვეყნდა, შემდგომ კი ავტორს იგი მუდმივად შეჰქონდა თავის ყველა გამოცემაში.

სადღეგრძელო იყოს მისი

სადღეგრძელო იყოს მისი,

ვინც ოცნებით იწოდა,

ვინც პოეტის მაჩაღისი

აღტაცება იცოდა.

მოდოდა ერთზე ასი,

გზა გვშვენოდა დიდების,

ჩვენ დავცადოთ ყველამ თასი

ბედთან ახ დახიდების.

სადღეგრძელო იყოს მისი,

ვინც შიშმა ვეი დაჰხაია.

ავდგეთ ფეხზე! ჩვენ თბილისი

ვადღეგრძელოთ ჭაღაია.

„სადღეგრძელო იყოს მისი“ ანუ ომის წინ ღამე ლხინი ტფილისი სიახლოვეს

**აქ სიცოცხდე და ხადისი
ვის სხვაგ ახ ესვენება,
სადღეგრძელო იყოს მისი
და დიდებით ხსენება!**

ტექსტის გაცნობის შემდეგ არაერთი კითხვა ჩნდება. ნათელი მხოლოდ ისაა, რომ ლირიკული სუბიექტი თამადის როლში წარმოგვიდგება, სადღეგრძელოებს წარმოთქვამს და თანამეინახეთ სუფრის რიტუალის აღსრულებისკენ მოუწოდებს („ავდგეთ ფეხზე“, „ვადღეგრძელოთ“, „დავცალოთ ყველამ თასი“).

ლექის პირველივე სტროფი საკმაოდ ბუნდოვანია. გალაკტიონი აქ სადღეგრძელოს რიტორიკისათვის დამახასიათებელ პერიფრაზირების ხერხს იყენებს, მაგრამ მინიშნებანი გამოსახვის საგანზე იმდენად სუბიექტურია, რომ სიცხადის ნაცვლად გაურკვეველობა მოაქვს. ამის გამოჭირს ამოცნობა, ვინაა ის, „ვინც ოცნებით იწოდა“ ან იქვე ნახსენები პოეტი.

მეორე სტროფი, ერთბაშად და მოულოდნელად, ქართველთა არსებობის ისტორიულ პარადიგმას შეგვახსენებს („მოდოდა ერთზე ასი“), თანაც ისე, რომ მონადიმენი სამშობლოსათვის გადახდილი ომების თანამონაწილედ გრძნობენ თავს („გზა გვშვენოდა დიდების“). ამ ფონზე თამადა ბედისწერასთან, „ბედთან არ დარიდების“ სადღეგრძელოს სვამს:

**ჩვენ დავცადოთ ყველამ თასი
ბედთან ახ დახიდების.**

„ჩვენ“ ლხინის მონაწილენი არიან, თანამედროვენი, რომელთაც გარდასული დიდებაც ახსოვთ და, როგორც ჩანს, არც აწმყოს წინაშე პასუხისმგებლობა აკლიათ. მეტი სიცხადე და კონკრეტულობაა მესამე სტროფში, სადაც პერიფრაზირება გრძელდება („ვინც შიშმა ვერ დაჰხარა“), მაგრამ დღეგრძელობის ობიექტი იქვე სახელდება კიდევ:

ავღეთ ფეხზე! ჩვენ თბილისი ვადღეგძელოთ ჭალაჩა.

ამ სამზეროდან ზოგი რამ პირველ სტროფში უფრო გასაგები ხდება: თამადა, თურმე, „მეოცნებე“ დედაქალაქს ადღეგრძელებს და მასთან ერთად შემოქმედებითი ექსტაზით („მარადისი ალტაცებით“) შეპყრობილ მის პოეტს ახსენებს. თბილისის სახე ლექსში ორი ასპექტით იკვეთება: მეოცნებე თბილისი, როგორც პოეტების ქალაქი – „პოეტების სამეფო“ და თბილისი, როგორც ბედისწერის წინაშე აღმართული ციტადელი, ბევრჯერ იავარქმნილი, მაგრამ ფერფლიდან აღმდგარი „ქალაქი-ფენიქსი“. სუბიექტურ პერიფრაზირებას ლექსის ფინალში, მართალია, ისევ ბუნდოვანება შემოაქვს, მაგრამ იმას მაინც ვხვდებით, რომ ბოლო თასით თანამესუფრეთა სადღეგრძელო ისმება, იმათი, რომელთაგან ზოგს, ალბათ, სიცოცხლე უწერია, ზოგს - სიკვდილი და „დიდებით ხსენება“.

ტექსტის ბუნდოვანი შინაარსობრივი პლასტის წინასწარი მოსინჯვა, ცხადია, ყველაფერს არა, მაგრამ ერთს კი ნამდვილად ცხადყოფს: „სადღეგრძელო იყოს მისი“, მიუხედავად მონადიმეთა სილალისა და ლექსის რიტმულ-მელოდიური სიმსუბუქისა, არ არის სუფრული პატრიოტიზმის თემაზე შექმნილი ტექსტი - ყოველ სტრიქონს აქ ბრძოლის წინ დადებული ფიცის სინამდვილე და სიმტკიცე ახლავს.

წარმოშობი რომ ომის თემას ეძღვნება, ამას რამდენიმე ირიბი ფაქტიც მოწმობს: 1943 წელს გალაკტიონმა კრებულისათვის „მამულო, სიცოცხლეო“ შექმნა ლექსის ახალი რედაქცია და იგი ღიად დააკავშირა სამამულო ომის, მტერთან ბრძოლის თემატიკასთან; გარდა ამისა, არსებობს ორი ავტოგრაფი, რომლებშიც ნაცვლად სინტაგმისა „ოცნებით იწოდა“ არის: ომებით/ომებში იწოდა; დაბოლოს, პოეტის 1959 წლის „რჩეულს“ უძღვის ფოტოპირი უსათაურო ავტოგრაფისა, რომელიც გალაკტიონს გამომცემელთა თხოვნით რედაქციაშივე შეუსრულებია - იგი ძირითადი ტექსტის პირველი სტროფის განსხვავებულ ვარიანტს გვთავაზობს:

**სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც ომებში იწოდა,
ვინც იჩაკდის მაჩაღისი
ალტაცება იცოდა!**

ამ ვერსიით ლექსში თავიდანვე მინიშნებულია, შემდეგ კი გაცხადებულიც, რომ ის, „ვინც ომებში იწოდა“, ვისაც პატარა კახის ხმლის ელვარება ახსოვს, ბევრისგადამტანი თბილისია. ამის გათვალისწინებით, ლირიკულ-ემოციური ერთიანობით შეკრული კომპოზიცია სანდო აზრობრივ საყრდენს იძენს, რაც ტექსტში სწორი ორიენტირებისა და შესაბამისად, წაწარმოების ობიექტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას ზრდის.

2005 წელს გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძის საარქივო გამოცემის XIII ტომი. აქ, 1921 წლის დღიურში, ჩვენთვის საინტერესო ლექსის განსხვავებული ვერსია აღმოჩნდა. მისი დასაწყისი (პირველი სტროფი) ზუსტად ემთხვევა 1959 წლის „რჩეულისთვის“ წამდღვარებული ავტოგრაფის შესაბამის სტროფს, რის შედეგადაც ირკვევა, რომ „ომისა“ და „ერეკლეს“ ხსენება ტექსტში გვიანი შეტანილი კი არაა, დიდი ხნით ადრე იყო დაფიქსირებული. ამ ვერსიაში უცვლელია მეორე სტროფიც, გარდა ერთი საყურადღებო დეტალისა: იქ, სადაც ძირითად ტექსტში არის „ბედთან არ დარიდება“, დღიურის ვარიანტში „მტერთან არ დარიდება“ იკითხება, ანუ ბედისწერის ნაცვლად „მტერია“ ნახსენები. გამოდის, რომ ლექსში თავდაპირველად ბედთან ბრძოლის ზოგადი პარადიგმა კი არ იყო აქცენტირებული, არამედ - რაღაც უფრო კონკრეტული მოვლენა თუ ვითარება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ დღიურის ვერსიაში არის ძირითადი ტექსტისთვის უცნობი ორი სტროფი, რომელთაც თამადის მონოლოგში მეტი კონკრეტულობა და, მასთან ერთად, დრამატიზმი შეაქვთ:

**ამგზნებელი უხუანგელი
ვის სისხლში ახ ენთება,
ვისაც მისი გლეჯანგელი
სახე გაახსენდება.
თითქო კახი გაჩაზოფეს,
სუხთ ცფიდისის მიგნება.
აჩასოფეს, აჩასოფეს!
ის სხვისი ახ იქნება.**

ამ სტრიქონებს ისტორიულ-რეტროსპექტული განზომილებიდან („ვინც ირაკლის მარადისი/



აღტაცება იცოდა“; „მოდოდა ერთზე ასი“) ან-
მყოში გადმოვყავართ. წინ წამოწეულია თანა-
მედროვე ვითარება, „დღევანდელი სახე“ ტფი-
ლისისა, რომელსაც მტერი ემუქრება („სურთ
ტფილისის მიგნება“), მონადიმენი კი მზად არი-
ან, თუნდაც სიცოცხლის ფასად, არ დაუთმონ
მომხდურს დედაქალაქი.

საანალიზო ტექსტთან, როგორც თემატიკით
და ვერსიფიკაციით, ისე ქრონოლოგიურად,
ძალიან ახლოსაა ლექსი „ეს მძინარე მთა და
ველი“ (1921). აქაც მებრძოლთა ბანაკია, სადღე-
გრძელოები ისმის და ომის მოლოდინის დაძა-
ბული ატმოსფეროა:

**მწუხარებავ, ხოგოხც გველი,
ხშიხად გუღში გამიახ,
ეს მძინარე მთა და ველი
იყოს მხავადჟამიეჩ!
შენ, მეღვინე, ღვინო გვასვი,
თვალს ნუ მიეძინება,
ფიქიები გვაქვს ასჯეხ ასი,
ხოგოხც ღხუბღის ღინება.**

მესამე სტროფში ჩნდება სემანტიკურად უმ-
ნიშვნელოვანესი სიტყვა „შველა“, რომელიც ერ-
თდროულად სასონაკვეთის განცდასაც იტევს
და „უჩვევი თუ ჩვეული“ სასწაულის იმედსაც -
სიტუაციის მთელი დრამატიზმი ამ ერთ სიტყვა-
შია ჩაწეხილი:

**ნუთუ ახსით ახის შველა
უჩვევი თუ ჩვეული?
გაღღეგხძედოთ ყვედა, ყვედა,
ამ სუფხაზე წვეული...**

„ეს მძინარე მთა და ველი“ თითქოს ნადიმის
ფინალია - გადამწყვეტი ბრძოლის წინ უკანას-
კნელი სადღეგრძელო-ლოცვა მამულის მიმართ.
ლექსის ავტოგრაფში უფრო მეტყველი სტრიქო-
ნებია ჩარჩენილი - საქართველოს მთა და ველი / იყოს
მრავალჟამიერ“) და ცეცხლის, ბრძოლის მოა-
ხლოებაც („მაგრამ კმარა, იყოს ცეცხლი / იმიერ
და ამიერ“)...

მოდით შევაჯამოთ, რაც პირდაპირი თუ ირიბი
გზით მოვიპოვეთ: თბილისს მომხდური მტრის
თავდასხმა ემუქრება. ბრძოლის მომლოდინე
მონადიმენი ომის წინ ქართველურად ილხე-
ნენ და, როგორც რაინდთა წესია, მამაცურად,
მეტეც, არტისტული სილაღითა და სიმსუბუქით

უსწორებენ თვალს სასიკვდილო საფრთხეს.
სიტუაცია უკვე იმდენად ხელშესახებად და რე-
ალურად გამოიყურება, რომ არ ჰგავს პოეტური
წარმოსახვის ნაყოფს, გამონაგონს - გალაკტიო-
ნის სტრიქონებიდან თითქოს ჩვენი არცთუ შო-
რეული ისტორია შემოგვცქერის...

ლექსის დაწერის თარიღად გალაკტიონი პირ-
ველ პუბლიკაციაში 1919 წელს მიუთითებს, 1954
წლის „რჩეულში“ კი - 1921 წელს. ბოლო თარიღს
მხარს უჭერს ზემოხსენებული დღიური და ამ
ლექსის რამდენიმე ავტოგრაფიც, რომლებშიც
გალაკტიონის, როგორც პოეტების მეფის სა-
დღეგრძელოცაა შეტანილი. პოეტების მეფედ
გალაკტიონი 1921 წლის იანვარის ბოლოს აირ-
ჩიეს, მამასადაამე, ლექსი, უეჭველად, 1921 წლის
პირველ თვეებშია დაწერილი.

1921 წლის იანვარ-თებერვალი...

ტფილისის მისადგომები...

მტრის შემოტევის მოლოდინი...

მინიშნებანი იმდენად ნათელია, რომ საძიებე-
ლი და გასარკვევი აღარაფერია - „სადღეგრძე-
ლო იყოს მისი“ საქართველოს ახლო ისტორიის
ყველაზე ტრაგიკულ ფაქტს უნდა ეხმაურებოდეს
- ბრძოლას თბილისთან და თბილისისათვის სა-
ხელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გადასა-
რჩენად. ლირიკისა და ვარაუდების სფეროდან
ისტორიულ სინამდვილეში გადავინაცვლოთ,
ფაქტებს მივმართოთ: 1921 წლის 11 თებერვალს
ე.წ. ლორეს აჯანყება დაიწყო. 15 თებერვალს სე-
რგო ორჯონიკიძემ „ცენტრიდან“ სტალინის დე-
პეშა მიიღო: „ახლავე შეუტეე, დასტურია, აიღე
ქალაქი“. 18 თებერვალს წითელმა არმიამ იერი-
ში მიიტანა თბილისის მისადგომებზე, მაგრამ
მტერი სოღანლულთან, კოჭორსა და ტაბახმელა-
სთან მოგერიებულ იქნა.

საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის
უკანასკნელ, ისტორიულ დღეებში გალაკტიონ
ტაბიძე ეროვნული გვარდიის შტაბის ორგანოს
- ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ პასუხის-
მგებელი მდივანი იყო, მაგრამ, ფაქტობრივად,
რედაქტორის მოვალეობას ასრულებდა. ჟურნა-
ლის ბოლო, მეექვსე ნომერი 1921 წლის 20 თე-
ბერვალს გამოვიდა, 18-19 თებერვლის ბრძოლე-
ბის კვალდაკვალ. სრულიად ბუნებრივია, რომ
გვარდიელთა ყოველკვირეული ორგანო ოპე-
რაციულად და გულმხურვალედ ეხმიანებოდა
მიმდინარე მოვლენებს. აი, მეექვსე ნომერში



დასტამბული ფრაგმენტი მოწინავე წერილიდან:
„შურისძიებით აღვსილი წითელარმიელები ჩვენს ქვეყანას ცეცხლით და მახვილით დაესხნ თავს... ერთი კვირა გადის, რაც სისხლით იღებება სამშობლოს საზღვრები... ასეთ დროს არ უნდა იყოს არავის დაფიქრება, არავითარი შიში, არამედ უმაღლესი სიყვარული სამშობლოს დასახსნელ ომისადმი... ჩვენ ვიცით, ომი იქნება დაუნდობელი და საშინელი. აქ აღარ იქნება არავითარი დათმობა, არავითარი უკანდახევა, არავითარი რყევა, არამედ იქნება ბრძოლა და სიკვდილი თავისუფლებისთვის“.

ამოვიწეროთ მსხვილი შრიფტით აწყობილი რამდენიმე მოწოდება:

- სამშობლოსათვის თავგანწირულ ჯარისკაცებო! თქვენი მამაცობით იჭედება ჩვენი ქვეყნის მყუდროება, ხალხის მომავალი, სამშობლოს გამარჯვება.

- დიდება ბრძოლის ველზე დახოცილ ჯარისკაცებს, სახალხო გვარდიელებს! ნეტარება მათ, ვისაც წილად ხვდათ ისტორიულ ომში ღირსეული სიკვდილი... უკვდავი ხსოვნა ომში დაღუპულ მებრძოლთ!

- საქართველო საუკუნო დიდების შარავანდედით შემოსავს მამულისათვის ბრძოლაში დაღუპულთა სახელებს...

როგორ ჰგავს, როგორ ენათესავება გალაკტიონის ლექსს და მგზნებარე სადღეგრძელოებს მოწინავე წერილისა და მოწოდებების პატრიოტული სულისკვეთება, თვით ფრაზები და გამოთქმებიც კი... უფრო მნიშვნელოვანი რამ წინ გველოდება: ჟურნალის ამავე ნომერში, მეექვსე გვერდზე ხელმოწერის გარეშე დაბეჭდილია პოეტური ტექსტი, რომლის სათაურია „ტფილისთან“. თითქმის ასი წლის შემდეგ გთავაზობთ „სახალხო გვარდიელის“ ფურცლებში ჩაკარგულ თუ საგანგებოდ მივიწყებულ ამ ლექსს:

ტფილისთან

**სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც ომებში იწოდა,
ვინც იჩაკდის მაჩაღისი
აღტაცება იცოდა!
მოდიოდა ერთზე ასი -
გზა გვშვენიოდა დიდების,
ჩვენ დავცადოთ ყვედამ თასი
მცეხთან ახ-დახიდების!**

**სადღეგრძელო იყოს მისი,
ვინც შიშმა ვეხ დახაია.
ავდგეთ ფეხზე და ტფილისი
ვადღეგრძელოთ ჭალაია.
ამგზნებელი ჟიჟანტედი
ვის სისხლში ახ ენთება,
ოღეს მისი ღღევანდედი
გუდი გაახსენდება.
იყოს მისი მთა და ვედი
ჩვენი ზხუნვის საგანი,
ხომ დაინთოს ერთი ძვედი,
ძვედი გიგაღთაგანი.
მის კახებთან გვეჩვენება
ჩხიდილი ახევ-დახევით,
ხომ წყევდა და შეჩვენება
დახვედს მეგობაჩივით.
თითქოს კახი დახაზოღეს,
სუხთ ტფილისის მიგნება.
აჩასოღეს, აჩასოღეს!
ის სხვისი ახ იქნება.
აქ სიკვდილი და ხადისი
ვის სხვად ახ ესვენება -
სადღეგრძელო იყოს მისი
და დიდებით ხსენება!**

ხელმოწერელი ტექსტი, ცხადია, გალაკტიონისაა - ესაა პირველი პუბლიკაცია, თავდაპირველი ვრცელი რედაქცია ლექსისა „სადღეგრძელო იყოს მისი“! შედარება გვიჩვენებს, რომ 1921 წლის დღიურის ვერსია პირველნაბეჭდიდან მომდინარეობს, მის ტექსტს მისდევს, ოღონდ ამოღებულია მეხუთე და მეექვსე სტროფები, მონადიმე მებრძოლთ სამშობლოზე ზრუნვას და „ძველი გრიგალების“ დანთებას რომ ავალებს.

ამრიგად, „ტფილისთან“/„სადღეგრძელო იყოს მისი“ დაწერილია 1921 წლის თებერვლის ისტორიულ დღეებში, თბილისის მისადგომებთან გამართული ბრძოლის წინ, დაახლოებით 16-18 თებერვალს შორის და გადმოგვცემს პოეტისა და ქართული ჯარის ჰეროიკულ შემართებას. ამ შემართებამ განაპირობა, რომ 18 თებერვალს უთანასწორო ბრძოლაში მტრის გააფთრებული შემოტევები დროებით მოგერიებულ იქნა.

რატომ აქვს გალაკტიონის ტრაგიკული შინაარსის ლექსს მისადაგებული სანადიმო-სალხინო სიტუაცია და მსუბუქი რიტმულ-მელოდიური წყობა? ისტორიამ ომი ქართველთა არსებობის



თითქმის ყოველდღიურ, მუდმივად თანამდევ მოვლენად აქცია, სამშობლოსთვის თავგანწირვა კი უმაღლეს სიქველედ, ბედნიერებად და ლხინად მიიჩნეოდა. გალაკტიონის ლირიკულ ჩანაფიქრში იგრძნობა კავშირი გრიგოლ ორბელიანის პოემასთან „სადღეგრძელო“ - თემატიკით, პათოსით, კომპოზიციით. გალაკტიონის ლექსშიც თამადა/ტოლუმბაში ბრძოლის ველზე წარმოთქვამს სადღეგრძელოებს ომის მომლოდინე მონადიმეთა წინაშე, ოღონდ ლირიკულ ტექსტში ყოველივე ჟანრის სპეციფიკის შესაბა-

მისად არის ტრანსფორმირებული.

სამშობლოსათვის საბედისწერო ჟამს გალაკტიონი თავის ხალხთან იყო, დამოუკიდებლობის დასაცავად აღანთებდა ქართველ რაინდებს. ასე გადარჩა „სახალხო გვარდიელის“ ფურცლებზე პოეზიად გარდაქმნილი ისტორიის ბედითი გაელვება და, მასთან ერთად, ჭეშმარიტი სახე იმ პოეტისა, რომელიც სულ მალე „დიადი ოქტომბრის“ მომღერლად გამოაცხადეს და აიძულეს, ათეულობით წლის მანძილზე ნებაყოფლობით და მადლიერებით ეტარებინა ეს სახელი.

პირვანდელი სრული ვერსია

ტფილისთან

**სადღეგძელო იყოს მისი,
ვინც ომებში იწოდა,
ვინც იჩაკის მაჩადისი
აღტაცება იცოდა!
მოდიოდა ეხთზე ასი _
გზა გვშვენოდა დიდების,
ჩვენ დავცადოთ ყვედამ თასი
მგეხთან ახ-დახიდების!
სადღეგძელო იყოს მისი,
ვინც შიშმა ვეი დახაია.
ავდგეთ ფეხზე და ცფიღისი
ვადღეგძელოთ ჭალაია.
ამგზნებელი ჟიჟანგელი
ვის სისხღში ახ ენთება,
ოდეს მისი დღევანდელი
გული გაახსენდება.
იყოს მისი მთა და ველი
ჩვენი ზხუნვის საგანი,
ხომ დაინთოს ეხთი ძველი,
ძველი გიგადთაგანი.
მის კახებთან გვეჩვენება
ჩხიღი ახევ-დახევით,
ხომ წყევდა და შეჩვენება
დახვდეს მეგობაჩივით.
თითქოს კაჩი დახაზოდეს,
სუხთ ცფიღისის მიგნება.
აჩასოდეს, აჩასოდეს!
ის სხვისი ახ იქნება.
აქ სიკვიღი და ხადისი
ვის სხვად ახ ესვენება _
სადღეგძელო იყოს მისი
და დიდებით ხსენება!**

შემოკლებული ვერსია

სადღეგრძელო იყოს მისი

**სადღეგძელო იყოს მისი,
ვინც ოცნებით იწოდა,
ვინც პოეტის მაჩადისი
აღტაცება იცოდა.
მოდიოდა ეხთზე ასი,
გზა გვშვენოდა დიდების,
ჩვენ დავცადოთ ყვედამ თასი
ბედთან ახ დახიდების.
სადღეგძელო იყოს მისი,
ვინც შიშმა ვეი დაჰხაია.
ავდგეთ ფეხზე! ჩვენ თბიღისი
ვადღეგძელოთ ჭალაია.
აქ სიცოცხდე და ხადისი
ვის სხვად ახ ესვენება,
სადღეგძელო იყოს მისი
და დიდებით ხსენება!**



დალი მაჩაიძე

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

85 წლის წინ, 1936 წლის 11 თებერვალს, მიწიერ სამყაროს კიდევ ერთი ზედროული და ზესივრცული სული მოევლინა საქართველოში. აქ განსხეულდა იგი ქართველ ბაჩანა ბრეგვაძედ. მან შეიცნო სტუმრობაც წუთისოფელისა და საწუთროში თავისი მოვლინების საზრისიც, ამიტომაც ხან ემიგრანტობას, ხან ხიზნობას უწოდებდა თავის სიცოცხლეს, ყოფნას ამ დროებით საცხოვრისში, ამქვეყნიურ სამშობლოში. ცნო ეს და აჩქარებითა და გულმოდგინებით, მამულიშვილური სიყვარულითა და ერთგულებით მსახურებდა საქართველოს ვიდრე წასვლამდე. მიწიერი ყოფის 80 წელი მოუზომა განგებამ, თუმცა ამ დასაზღვრულობამ ვერ დაიტია ბაჩანა ბრეგვაძის არსობა, ვერ მოიხელთა იგი ამქვეყნიურმა დრო-სივრცემ, ვერ შეძლო, რადგან ის თვითონ გადასწვდა სამყაროსა და ათასწლეულებს: მწიგნობარის გონური თვალი მოავლო ქვეყნებს, ერთიანად განჭვრიტა წარსული, აწმყო თუ მომავალი; ამოიკითხა, მიმოიხილა, შეიმეცნა კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და კულტურა. მერე განსჯაც მოაყოლა აღქმულსა და გათავისებულს, ფიქრსგამოტარებულსა და განცდილს; გადმოაქართულა იგი, განმარტა და უშურველად გაგვიზიარა ყოველს - მოსურნესა და მოწადინეს ამისას. ღვთის წყალობად იქცევა ხოლმე ქვეყნისათვის მსგავს მოღვაწეთა მოვლენა, რადგან მათი შემოქმედება და ცხოვრებაც კი ჭკუასაკითხავი წიგნია წამკითხველ-


ბაჩანა ბრეგვაძე

მოღვაწე სული, ზედროული და ზესივრცული, ქართველად განსხეულებული

თათვის; კეთილქმედებაა მათი მსახურებაც და არსებობის წესიც, გონიერთა წარმმართველი, გამოსადეგი.

სიყვარული, თავმდაბლობა და მადლიერებაა ის თვისებები, ღვთისნიერ ადამიანებს რომ გამოარჩევს რიგით მოკვდავთაგან. სიყვარულით აღსავსე იყო ბაჩანა ბრეგვაძეც, მთარაჭის, სრულიად საქართველოსა და კაცობრიობის კულტურის სიყვარულით. „გამორიცხეთ კულტურა ისტორიიდან და მიიღებთ ზოოლოგიას“ - უწყობდა და მოყვასის რუდუნებით ემსახურებოდა სამშობლოს, მის გამდიდრებას კაცობრიობის კულტურის ძეგლებით.

მრავალ ენათა შინა გაიწვრთნა საამისოდ, კარგად აითვისა ძველი ბერძნული, ლათინური, იტალიური, ფრანგული, ესპანური, გერმანული, რუსული და პორტუგალიური. საუკეთესოდ ფლობდა მშობლიურს და ისე თარგმნიდა, ძირითადად ორიგინალებიდან, სტუდენტობიდანვე... არჩევდა თავისთვის მოსაწონარსა და ერის სულიერებისა თუ გონიერებისათვის შესამატებელ წიგნებს მსოფლიო კულტურის საგანძურიდან. გამოჰქონდა და გადმოჰქონდა ისინი ჩვენს ენაზე, აქართულებდა მისადაგებული, ძარღიანი ქართულით. უაღრესად სიღრმისეულ, ფასეულ განმარტებებსაც ურთავდა ნათარგმნს და ასე გვანვდიდა თავის ნაოსტატარს, გონისა და სულის ჭეშმარიტ საზრდოს. ბაჩანა ბრეგვაძე ქმნიდა შესანიშნავ ორიგინალურ თხზულებებსაც. სიბრძნით გაჭერებულთა და ერთი კაცის კვალობაზე, გასაოცრად უხვიც მისი დანატოვარი წიგნები. ვმადლობდეთ უნდა ამისათვის, რადგან სწორედ რომ მისებრ პიროვნებათა ნა-მოღვაწარის გაცნობა გვიცავს ადამიანებს ზო-



ბაჩანა ბრეგვაძე

ოლოგიური ყოფისაგან... მადლიერების ნიჭიც ჰქონდა ბაჩანა ბრეგვაძეს, მადლობდა უფალს, წინაპრებს, გულისხმიერ ადმიანებს. მისი მადლიერების ნიმუშია ეს ჩანაწერიც: - „მე მითარგმნია და დამიწერია არაერთი და ორი წიგნი, მაგრამ სულ სხვა იყო ის, რისი თარგმნაც მე დამავალა ჩვენმა დიდმა პატრიარქმა - ეს იყო „ახალი აღთქმა“. ორი გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს - სიხარული და შიში: დიდ ათონელთა შემდეგ მე უნდა მეთარგმნა დიდი საღმრთო წიგნი. მაგრამ პატრიარქი მენდო და მე უფლება არ მქონდა უარი მეთქვა მისთვის ... მოწინებით ვიხდი მადლობას“.

გამორჩეული თავმდაბლობით ურთიერთობდა ადამიანებთან ეს ზნემაღალი დიდკაცი, ფილოსოფოსი, მთარგმნელი და მწერალი ბაჩანა ბრეგვაძე - წიგნიერებით განბრძნობილი და სულიერებით განათლებული პიროვნება; დამაშვრალი მუშაკი, ასკეტი ბერივით თავგადადებული, წარმავალ ფასეულობებზე ამალგებული და ფუტკარივით მადლიანად მშრომელი, კეთილშობილი და ღვანღმოსილი. წინაპართა ფესვებმა ასაზრდოვა მასში ქართველი; ქრისტიანულმა რწმენამ კი ქვეშარიტ ადამიანად ჩამოაყალიბა - სახედ და ხატად ღვთისა; შეუწელებელი და გულგონერი შრომით: კითხვით, წერით, გადაწერითაც კი, დაიმსახურა მრავალი საპატიო წოდება, ჩინი, პრემია თუ ორდენი. ასე გამოკვეთა მისი არდასავინწყებელი იერსახე.

უცხო როდია ჩვენი ცნობიერებისათვის სიკვდილთან შერიგებით მიცვალება. ამის ბევ-

რი ნიმუშია ქართველი კაცის ცხოვრებასა თუ შემოქმედებაში და მაინც, გამორჩეული იყო ბაჩანა ბრეგვაძის მოჩქარე მოლოდინი გარდაცვალებისა, სულის სხეულიდან გარდაუვალი გასვლისა. იცოდა, ხორცის ტყვეობიდან განთავისუფლება, ცადამალლება და მარადიულ სანყისში დაბრუნება უნდა მოეტანა ამას მისთვის: „მადლობა ღმერთს, მალე მომისწრებს ამნისტია და ჩემს დასაბამიერ სამშობლოში გადავსახლდები“... 2016 წლის 13 თებერვალს მოხდა ეს, 5 წელი გავიდა მას შემდეგ. კვლავ შეერთო მარადიულობასა და უსასრულობას ბაჩანა ბრეგვაძის ზესივრცული და ზედროული სული, აქ ქართველად განსხეულებული და წარუშლელი კვალის დამტოვებელი. თებერვალშივე საქართველოდანვე წავიდა ნათელი სული, დასაბამიერ სამშობლოში დასაბრუნებლად; თებერვალშივე მიიბარა მისი ნეშტი მიწიერმა სამშობლომ. თბილისში, მთაწმინდის პანთეონში მიუჩინეს ძვალთშესალაგი ბაჩანა ბრეგვაძეს, ათონელ მთაწმინდელ მოღვაწეთა სადარს.

აქვე შემოგთავაზებთ ბაჩანა ბრეგვაძის ერთ ფრაზას, რომელიც ცხადად წარმოაჩენს პროფესიონალი მთარგმნელისა და მწერალის დამოკიდებულებას უმთავრეს შემოქმედებით მასალასთან - ენასა და სიტყვასთან: - „ენა სულიერი საუნჯის კოშკია, სიტყვა კი ამ კოშკის გასაღები“. მისი შემოქმედებითი, სამწერლო დიდოსტატობა ხომ აშკარად გამოიხატა სიტყვის ფლობაში, ამ მარჯვედმორგებული გასაღებით სულიერი კოშკის კარის გაღებასა და შეხსნაში.

და ბოლოს, ქართული ენის თვითმყოფადობაზე მაფიქრალი პატრიოტის შეგონება, ქართველთაგან გასააზრებელი პასუხისმგებლობაზე თავიანთი ერისა და მშობლიური ენის წინაშე:

„გაიჟღერა“ - ეს ახალი „მარგალიტია“, რუდუნებით დანერგილი ღმერთმა იცის, ვის მიერ.

წერგმა იხარა.

რატომაც არ იხარებდა: მომვლელი აკლია თუ? აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებით დაწყებული და რიგითი მოქალაქეებით დამთავრებული, ყველას პირზე აკერია „გაიჟღერა“.

ამ სიტყვას ვერ გაიგონებდით თვით კომუნისტების მბრძანებლობისას, როცა ჩვენი „უფროსი ძმის“ კოლონია ვიყავით.

„თავისუფალ“ საქართველოში კი მან ლამის

ნალეკოს მთელი საინფორმაციო თუ საკომუნიკაციო სივრცე.

ვაი ფაქიზი და დახვეწილი სმენის პატრონს, ეს „ხელი-ხელ საგოგმანები“ ნეოლოგიზმი ისევე რომ უხვრეტს ყურს, როგორც ყალბი ნოტი - აბსოლუტური სმენის მქონე მუსიკოსს.

„გაიჟღერა“ სხვა არა არის რა, თუ არა რუსული „прозвучал“-ის კალკი.

მაგრამ „прозвучал“-ის ძირია „звук“, რომელიც აღნიშნავს ყოველნაირ ბგერას, ყოველნაირ ჩქამს თუ ხმიანობას. ამ მხრივ ის აბსოლუტურად ნეიტრალურია.

„გაიჟღერა“-სი კი - „ჟღერა“, რომლის მნიშვნელობის დიაპაზონი შეუდარებლად უფრო ვიწროა: ის აღნიშნავს მხოლოდ ჰარმონიულ ხმიერებას („სიმთა ჟღერა“, „საკრავთა ჟღერა“). („საამურ ხმიანობასო“ - აღნიშნავს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

ჩვენ კი ნებისმიერ კონტექსტში თვითნებურად „ვატრიალებთ“ მას.

მალე, ალბათ, ამასაც გავიგონებთ: „გინებამ გაიჟღერაო“.

მე შენ გეტყვი გინება აკლია ჩვენს დღევანდელ ყოფას.

არავინ იცის, რატომ გავწირეთ ასე უღვთოთ ჩვენთვის ესოდენ ბუნებრივი - „გაისმა“, გახმიანდა“, „ითქვა“, „გამოთქვა“ და მისთანანი, რომელთა ჭაჭანებაც აღარსად არის?



მართო „გაიჟღერა“-ში რომ იყოს საქმე?!

მდგომარეობა გაცილებით უფრო მძიმეა.

რა ელის ჩვენს ხელში ჩვენივე თვითმყოფადობის ერთადერთ რეალურ საყრდენსა და საფუძველს - ქართულ ენას? (ყველა სხვა „საყრდენი“ დღესდღეობით ილუზორულია.

საკითხავი, აი, ეს არის“.

ბაჩანა ბრეგვაძე - ეროვნული ბიბლიოთეკის მკითხველი





ჩეხენზია, მიმოხილვა, შთაბეჭდილებები



მარიამ მარჯანიშვილი
ფილოლოგიის დოქტორი

ქართულ სინამდვილეში ქალის უპირველეს როლზე მეტყველებს ძველი, წარმართული დროინდელი ხალხური ლექსი: „მზე, დედაა ჩემი, მთვარე მამაჩემი“, რაც იმის მაუწყებელია, რომ ლეგენდებმა და თქმულებებმა ქალის საზოგადოებრივ მდგომარეობაზე კაცობრიობის შორეულ წარსულიდანვე დიდი საუნჯე დაგვიტოვეს. უძველეს ცივილიზაციის პირობებში ქალი ოჯახის უფროსად ითვლებოდა და ქონებაზე მემკვიდრეობაც მისი ხაზით ვრცელდებოდა. მასვე ჰქონდა უფლება აქტიური მონაწილეობა მიეღო მატერიალურ თუ სოციალურ-ტექნოლოგიების შექმნაშიც.

მრავალი რელიგიური მითით დასტურდება, რომ მიწათმოქმედების გამოგონება ეგვიპტურ წყაროებში ქალღმერთს ისიდას, ხოლო მესოპოტამიურში ნინლილს მიეწერებოდა. უძველეს მითებში ფეიქრობაც ქალღვთაებებთან ასოცირდებოდა. იმ დროიდან მოყოლებული სწორედ ქალი უკავშირდებოდა სიბრძნეს, სამართლიანობასა და გონიერებას. დამწერლობაც, რომლის შექმნის დროდ 3200 წელი ითვლება, ხოლო ადგილად შუმერი, როგორც ჩანს, უფრო ძველი წარმოშობისაა და ასევე ქალთაა დაკავშირებული. შუმერულ ფირფიტებზე ქალღმერთი ნისაბა წოდებულია ციურ მწერლად, თიხის ფირფიტებისა და დამწერლობის გამომგონებლად. ინდურ მითოლოგიაში ალფაბეტის ავტორად ითვლება ქალღმერთი სარასვატი. სა-

ქალთა სახეები მიხეილ მახარაძის წიგნში

„*მეჩიქვი*“

ზოგადობებში, სადაც ქალღმერთის კულტი იყო გამეფებული ცნობილი იყო ასევე ხის, ტყავისა და ლითონების დამუშავების სულ უფრო რთული ხერხები. იმ ეპოქას მიეკუთვნება ასევე, ისეთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტები, როგორებიცაა: კანონმდებლობა, მართვა და რელიგია, რომელსაც გიმბუტასმა „ძველი ევროპა“ უწოდა, ხოლო ჩვენ შეგვიძლია „ძველი საზოგადოება“ ვუწოდოთ.

მას შემდეგ, რაც მატრიარქატის ეპოქა პატრიარქატით შეიცვალა და მახვილის ძალა გაიძლიერდა, ვაჟკაცობა გახდა იგივე, რაც ძალადობაა. მამაკაცთა დომინაციის საზოგადოებებში ყველაფერი, რაც ქალთან იყო ასოცირებული აღიქმებოდა მეორე ხარისხოვნად. ქალებს დროთა განმავლობაში თანდათან ჩამოართვეს მართვის სადავეები და მისი ფუნქციები მხოლოდ საოჯახო საზრუნავით შემოფარგლეს.

შემთხვევითი როდია, რომ მრავალ რელიგიურ სისტემაში ადამიანთა ქომავი ღმერთი სწორედ მამაკაცის სახით იშვა: იესო, მუჰამედი, ბუდა, კრიშნა. „მადლობელი ვარ უფალს, რომ შენ მე ქალად არ გამაჩინე“, - იმეორებს ყოველდღიურ ლოცვაში ორთოდოქსი იუდეველი. „ცოლებო დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს, რამეთუ ქმარი არის ცოლის მბრძანებელი, ვითარცა ქრისტე ეკლესიის“, - გვარიგებს ბიბლია. „ქმრები ცოლებზე მაღლა დგანან იმიტომ, რომ ალაჰმა უბოძა უპირატესობა პირველთ მეორე-

ებზე“ - გვიმტკიცებს ყურანი. ნათქვამი საკმაოდ დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ რელიგიური სწავლებანი, ერთხმად აცხადებენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებულ როლს. ქალებს ასევე არათანასწორუფლებიანად მიიჩნევდა ანტიკური ხანის ფილოსოფოსები: არისტოტელე „ქალებს ბუნების შეცდომას უწოდებდა“, ტომა აქვინელი მათ „დაუსრულებელ, მოუმთავრებელ მამრებად იხსენიებს“.

მარადიული დუეტი - ქალი და მამაკაცი - თავის ასახვას პოულობდა მითოლოგიაში, ეპოსში, ლიტერატურაში, ფერწერაში, მუსიკაში, ფილოსოფიაში, რელიგიურ სისტემაში, ფოლკლორში და სხვა. შუა საუკუნეებში იყო მწერლები, რომლებიც მამაკაცებს პრივილეგირებულ და აღმატებულ არსებებად აღიარებდნენ. მხოლოდ მოაზროვნეების მცირე რიცხვი იცავდა ქალთა ინტერესებს. გვიანი რენესანსის ნაშრომთა უმეტესობა მაინც ქალთ მოძულე, მიზოგენური ტექსტებია. ყველა რელიგიური რწმენა ეჭვქვეშ აყენებდა ქალის ფენომენს და მათ განამტკიცეს აზრი, რომ ბავშვობაში ქალი მამას უნდა ემორჩილებოდეს, მონიფულობაში - ქმარს, ქმრის სიკვდილის შემდეგ ვაჟიშვილებს.

სწორედ, ქალთა ამ უუფლებო მდგომარეობაზე მოგვითხრობს ფილოსოფოსს მიხეილ მახარაძის ახლახან გამოსული წიგნი „მერიემი“, რომლის შესახებ ავტორი წერს: „2006 წელს უფროსად „ჭოროხის“ რედაქციამ გადანყვიტა ჩემი საიუბილეო თარიღის აღნიშვნა. ამასთან, მაინცდამაინც აქცენტი გააკეთა მხატვრულ შემოქმედებაზე, რაშიც არც ამბიციები გამაჩნდა და არც პრეტენზიები. თუმცა, საბოლოოდ მაინც დავთანხმდი რედაქციის თხოვნას და არქივიდან რამდენიმე მხატვრული ჩანახატი შევარჩიე.

ნაწარმოებების დიდი უმრავლესობა 30-35 წლის წინ არის დაწერილი. ყველა მათგანში რეალურად მომხდარი ამბავია გადმოცემული. რა თქმა უნდა, ზოგიერთი მათგანი შევსებულია მხატვრული თვალსაზრისით, ზოგიერთი პირიქით - განმენდილია ზედმეტი პასაჟებისგან. მაგალითად, ყველაზე ვრცელ მოთხრობაში - „მერიემი“ სამ ოჯახში დატრიალებული ამბებია გაერთიანებული. ნაწარმოებებში გადმოცემული ამბების აბსოლუტური უმრავლესობის მომსწრე ვარ, რამდენიმე კი სხვისგან მაქვს მოსმენილი. ჩემთვის ამ რეალური ამბების გამომზეურება

არის მნიშვნელოვანი, რადგან მათში ჩემი კუთხის - მთიანი აჭარის ერთი ხეობის, ძირითადად კი - ერთი თემის სპეციფიკური მოვლენებია ასახული.“

მიხეილ მახარაძე, მეხსიერებას შემორჩენილ, მამაკაცთა ძალისხმევით შექმნილ დოქტრინას „ბავშვობაში ქალი მამას უნდა ემორჩილებოდეს, მონიფულობაში - ქმარს, ქმრის სიკვდილის შემდეგ ვაჟიშვილებს,“ - აშუქებს თავის მოთხრობებში: „მერიემი“, „ცოლყოფილი“, „მამათილი და ძალოები“, „მამა, დედა, დუდანა და ... მე“. მოთხრობებში ქალთა უუფლებო მდგომარეობაზე შექმნილი ერთი მთლიანი ოდა, სხვადასხვა ასპექტით გადმოგვცემს რელიგიურ და ადათ-წესების რკალში მოქცეულ დედათა ტვირთსა და ტკივილს.

ამბობენ, ბედნიერება არის სიამოვნება უსინანულოდ. მოთხრობა „მერიემის“ პერსონაჟები ნურის სამოლიძე და მისი მეუღლე მერიემი ერთი შეხედვით ერთმანეთს სიამტკბილობაში შეაბერდნენ, მაგრამ მამაკაცი მაინც უკმაყოფილო იყო ღმერთის განაჩენით: „რა გაძვირდა ამისთანა, ერთი ბიჭიც ჩვენთვისაც რომ ეჩუქებინა ღმერთს. ვბერდები და შველას ვერსაიდან ვხედავ... ამ ბოლო დროს ნური უფრო და უფრო წუხდა, რომ გვარის გამგრძელებელი არ ჰყავდა. მერიემიც შეწუხებული იყო ამით და თანაუგრძნობდა კიდეც ქმარს...“





საერთოდ, ქორწინება ადამიანის ყველაზე ძვირფასი განძია, მაშინ, როდესაც მას სულის, გულის, გრძნობის, გემოვნებისა და ხასიათის თანხმობა ახლავს. სოფელში ნური და მერიემი ბედნიერ წყვილად ითვლებოდა, რადგან „ფეხი შემოდგა თუ არა მერიემმა ნურის ოჯახში, მას შემდეგ ეს ოჯახი, რომ იტყვიან, სულ წინ მიდიოდა... მერიემი ქმრის ნათესაობის, მეზობლებისა და მთლიანად სოფლის თვალი შეიქმნა. რვა წელიწადში ნურის ოთხი შვილი აჩუქა და ყველა ქალიშვილი. არადა, ამ მხარეში მტკიცედ დამკვიდრებული ტრადიციით გვარის გამგრძელებელი ოჯახში აუცილებელი იყო. აქ ხომ უბიჭობა ლამის უშვილობას იყო გატოლებული. სწორედ, ამიტომაც ნურისა და მისი ოჯახის კეთილმოსურნენი ხშირად დაიჩივლებდნენ, „რა იქნებოდა ამ ღვთისმოსავ და სიკეთით აღსავსე ქალს ერთი ბიჭი მაინც ჰყოლოდაო“...

ადამიანს აქვს მისწრაფება, რომ დაეფუძნოს თავის ძირს. ეს ძირი ხშირად არის არა მარტო ბიოლოგიური, არამედ ტრადიციული, რაც თავისთავად ისტორიული მემკვიდრეობაა. ამ ხედვიდან გამომდინარე, ალბათ, ამიტომაც აქვს ადამიანს მიდრეკილება ტრადიციების შენარჩუნებისა და დაცვის. ნური სამოლიძე ბედისწერას უკავშირებდა თავის უძეობას, რადგან გარდაცვლილი ძმის დანიშნული ჰყავდა ცოლად შერთული და სოფლად გავრცელებული რწმენის შიში - „ძმის საცოლის შემრთველი ვერ იხეირებს“ - მოსვენებას არ აძლევდა.

„ბიჭის მემკვიდრედ ჰყოლა, მართალია, „ბოლო ხანებში ეს უწესო წესი ძალას კარგავდა. თუმცა აქა-იქ მაინც იყო შემორჩენილი. მერიემიც ამ წესის ტყვეობაში იყო და სწორედ ამან გააბედვინა იმ ღამეს ქმრისთვის ეთქვა „ამხანაგი მომიყვანეო“... მეუღლის სიტყვებმა ნურიც ააფორიაქა და „საითაც არ გაიხედა და თუ რამე გაახსენდა ყველგან მერიემსა და მის კეთილ საქმეებს გადააწყდა. ფიქრებში კითხვაც დაუსვა თავის თავს - „რომ დავთანხმდე, მერე გადაიტანს ყველაფერს ამას ქალი?“. მიხეილ მახარაძე ორი მოსიყვარულე ადამიანის გულში ჩაბუდებულ უანგარო სიყვარულის სიმფონიას, მხოლოდ დეტალებით გადმოგვცემს. მაგრამ დეტალები ზოგჯერ უფრო მრავლის მთქმელი და მეტყველია.

ავტორს, როგორც ფილოსოფოსსა და ფსიქო-

ლოგს, მოთხრობაში შემოაქვს ბევრი ფსიქოლოგიური პასაჟი. რაკი მერიემმა ქმარი დაითანხმა „ამხანაგის მოყვანაზე“, მის განსახორციელებლად მეზობელ სოფელში ნურის დობილს ესმას მიაშურა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ადრე დაქვრივებული ესმა მათ ჭირსა თუ ლხინს ყველაზე მეტად გაიზიარებდა. ამიტომ მიხეილ მახარაძეს თავის მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივის“ ანალოგიური სახე მორიგ პერსონაჟად შემოყავს. „ოთარაანთ ქვრივი“ ილიას მოთხრობაში არსებობს, როგორც ქვრივის სულიერი ღირსების მატარებელი ქალი „თევდორეს სიკვდილის მერე ბევრ მამაკაცს რჩებოდა მასზე თვალი, მაგრამ ქვრივმა ქმრის ხსოვნას არ უღალატა. ოჯახს უმამაკაცობა არ დაამჩნია. საკუთარი ხელით ბარავდა, თოხნიდა, მარგლიდა, თესავდა, კრეფდა. მართალია, სოფელში ამბობდნენ - ვის გაუგია დედაკაცის თოხი და ბარი, მაგრამ ქვრივი ამას აინუნშიაც არ აგდებდა“.

მსგავსი თვისებების მატარებელია ესმაც: „ესმა 18 წლის დაქვრივდა, ერთადერთი ვაჟი დარჩა მომაკვდავი ქმრის იმედად. ქმარი საფლავში გაცივებულიც არ იყო, რომ ესმას ხელის მთხოვნელი გამოუჩნდა. მერე და მერე ხელის მთხოვნელები მომრავლდნენ. მისი და ქმრის ნათესავები ამბობდნენ, რომ სჯობს ესმა გათხოვდეს, ვიდრე რაიმე უბედურებას გადავეყრებითო. ესმას ქმრის „ნამუსის შენახვა“ სხვანაირად ესმოდა, ვიდრე მის კეთილის მსურველთ. ის მტკიცედ იდგა იმ აზრზე, რომ ჩემს დიდ სიყვარულს რაღა შეცვლის და მის დაცვაზე დიდი ბედნიერება რაღა უნდა იყოს“. სწორედ, ეს ღირსეული ქალი მიიჩნია მერიემმა თავისი მიზნის თანამდგომლად და თანამგრძნობლად.

„ჩემო რძალო, რაღაც ვერ არის ლამაზი საქმე. არ ექნება მას კაი ბოლო. იქნებ რომელიმე ქალიშვილის ბიჭი მოგეყვანათ და გაგეზარდათ, თქვენი სისხლი და ხორცი არ იქნება თუ რა?... ესმას ჭირის დღესავით ეჯავრებოდა ამისთანა საქმეებში გარევა. „დასწყევლოს ღმერთმა, ვინც უბიჭობა უშვილობას გაუთანაბრა“, - თავისთვის გაიფიქრა ესმამ.

„ოთარაანთ ქვრივისაგან“ განსხვავებით ავტორი მოთხრობაში ესმას მავნე ადათ-წესების მოწინააღმდეგედ და ქალთა ემანსიპაციის მომხრე პერსონაჟად წარმოგვიდგენს. თუმცა იგი ზოგჯერ იძულებულია დათმობაზეც წავიდეს.

დახმარებისათვის, ამიტომაც მიაკითხა სოფელში ამ საქმეში მასზე უფრო გამოცდილ ქვრივს დიდხანუმს. ესმა და დიდხანუმი ქართული მხატვრული თხზულებების ცნობილი ქვრივების „ოთარაანთ ქვრივისა“ და „თავსაფრიანი დედაკაცის“ მსგავსი სახეებია, რომლებიც ერთმანეთს კიდევ ჰგვანან და კიდევ არ ჰგვანან. მათი ერთმანეთის მსგავსება იმაშია, რომ ისინი საერთოდ, ზოგადი სახეა, ქართველი ქალისა და დედის.

თუ ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ლორთქიფანიძის შემთხვევაში - ქალთა ორ სახეს მათი ზოგადი ქვრივობა იმდენად აერთიანებს, რომ არცერთ მათგანს საკუთარი სახელი არ აქვს, ერთი მხოლოდ „ოთარაანთ ქვრივია“ და მეორე კი „თავსაფრიანი დედაკაცი“. ზემოთ აღნიშნულიდან განსხვავებით მიხეილ მახარაძის მიერ თავის მოთხრობაში დახატულ პერსონაჟებს სახელებიც გააჩნიათ და უფრო პროგრესულად მოაზროვნეები, მაგნი ზნე-ჩვეულების წინააღმდეგ მებრძოლი ქვრივებიცაა. მათთან დაკავშირებით, აქ, ზოგადი მხოლოდ ისაა, რომ ისინიც თავდადებულ დედობას, დიდი ხნის მიცვალებული ქმრის გულწრფელ პატივისცემას მხოლოდ თავაულებელ შრომაში ხედავენ.

მასპინძელი დიდხანუმი მის თავზე დატრიალებული „ამხანაგის მოყვანის“ ტრაგიკულ ბედზე მერიემს საშინელი განსაცდელის არიდების მიზნით მოუთხრობს: „მე ჩემი უნდა გითხრა, მერიემ. ბევრ ამნაირ საქმეს მოვსწრებივარ, მაგრამ კეთილი ბოლო არც ერთს არ ჰქონია. რაღა შორს წავიდეთ, განა ჩემი ამხანაგის ხვედრი ამას არ მოწმობს? შვილივით ამოვზარდე ბიჭი, დავასახლე და დავაკარე, არც დედამისის სიკვდილში მიმიძღვის ბრალი. მაგრამ, რაც უფრო გადის დრო, მით უფრო მანუხებს იმ საცოდავის ხვედრი. იქნებ მე რომ არ დავთანხმებულებიყავ ამ საქმეზე, ისიც სხვა ბედს ეწეოდა და ახლაც ცოცხალი იქნებოდა. მართალია, ოჯახს მემკვიდრე დაუტოვა და ამის წყალობით ვართ ახლა ავსებულები, მაგრამ... მე ამ ბოლო დროს უფრო ბევრს ვფიქრობ იმაზე, რომ არავისი ოჯახი, არავისი გვარის გაგრძელება არ ღირს ვინმეს სიცოცხლედ. მომკალით და ეს აზრი ამ ბოლო დროს თავიდან აღარ ამომდის“.

დიდხანუმს კარგად ესმოდა დედის კეთილშობილური საზოგადოებრივი როლი და მისი

დანიშნულება შვილის აღზდის საქმეში, მაგრამ მსხვერპლის ფასად მისი ჩადენა მაინც უდიდეს დანაშაულად მიაჩნდა: „თუ ამ საქმეში კიდევ ჩავდგები ცოდავაც ჩემი იყოს და მადლიც. ოღონდ ახლა ამ საქმეს კეთილი ბოლო ჰქონდეს და მადლი თქვენთვის დამილოცნია“, - განუცხადა მან მერიემსა და ესმას.

ავტორი დიდხანუმის პორტრეტის სრულყოფისა და მისი უნაყოფობის გადასაფარავად ერთ დეტალს იშველიებს, რითაც ხაზს უსვამს იმას, რომ ქალის უნაყოფობა ყოველგვარ უნაყოფობას არ გულისხმობს: „ნალოც-ნაკითხი ღვთისმოსავი ქალი ხარ დიდხანუმ, შენი გაშენებული და გამოყვანილი ხილის გემო ვინ არ იცის. დიდხანუმს ეამა ამ თემაზე საუბარი, რითაც ძალიან მოსწონდა თავი და ესმასთან მაშინვე ჩაერთო საუბარში.

- ღმერთს მადლობა, ჩემი ხილის ნერგებს ნეტა სად არ ნახავთ, საქართველოს რომელ კუთხეში და ბევრ საქებარსაც ამბობენ.“

საერთოდ, ნაწარმოების ქვეტექსტებში აშკარად იკვეთება მერიემის, ესმასა და დიდხანუმის თავშენირვის ის მთავარი ფაქტორები, რომლებიც მათ სევდას, ტანჯვას, მწუხარებასა და ტკივილს ადამიანის აქტივობის და სიხარულის საწყისად აქცევს. ხშირად სიხარული კი, როგორც თვით ადამიანი, ვერასდროს აღწევს სრულქმნას. სიხარული თვით ადამიანის მსგავსად მუდმივი, დაუსრულებელი წინსვლაა და იგი მუდამ ბედნიერებისაკენ მიილტვის, მაგრამ ვერასდროს აღწევს მას. ამ ფსიქოლოგიური წიაღსვლებიდან ამოდის მიხეილ მახარაძე თავის მოთხრობაში.

გრძნობათა ჩუმ ჭიდილში მერიემმა აუსრულა მეუღლეს ნანატრი ვაჟის გაჩენის ოცნება. მან თავისი ქალური სევდა მთლიანად დაიმორჩილა. მსხვერპლის ფასად ისტორიულ ტრადიციას, ქმრის გაბედნიერებასა და მემკვიდრის გაჩენას დაუზოგავად შესწირა თავი: „...მაგრამ მისთვის ყველაფერმა დაკარგა ფასი და თვალსა და ხელშუა ილეოდა. მალე ლოგინად ჩავარდა ეს ამაყი, პენიანი ქალი და სხვისი მოსავლელი გახდა. მხოლოდ ერთხელ გაიღიმა, ისიც სიკვდილამდე სამი დღით ადრე, როცა მათი ნანატრი ახალდაბადებული ბიჭი ანახეს. პატარას შუბლზე აკოცა, გაიღიმა და თვალთაგან ცრემლი წამოუვიდა.“

მართალია, მამაკაცს გაუჩნდა ნანატრი ვაჟე-



ბი და გვარის გამგრძელებლები. და, არც მეორე მეუღლე იყო ავის სათქმელი ქალი, მაგრამ იგი იმდენ სიამოვნებას, კმაყოფილებას, სათნობასა და სინაზეს ვერ პოულობდა მასში, რამდენსაც მერიემის სიახლოვეს. კაცი მერიემის გარეშე მარტო დარჩა და საფლავის მაყურებელს მხოლოდ სიკვდილის მზერა შერჩა.

მოთხრობის ავტორი ნაწარმოებს რიტორიკული კითხვით ამთავრებს: „როდის იყო ნური სამოლიძე, ბედნიერი, როცა ბიჭი შვილი არ ჰყავდა, მაგრამ მერიემთან იყო, თუ, როცა ბიჭები ჰყავდა, მაგრამ მერიემი აღარ იყო მის გვერდით.“ აშკარაა, რომ მერიემის თავშენიწვას სიყვარულის აქტია. იგი გულისხმობს სიხარულს იმისათვის, რომ იგივე ადამიანი თავის სიცოცხლის ერთ, ზოგჯერ უდიდეს ან უკეთეს ნაწილს იმას უთმობს, ვინც მას უყვარს. ამიტომ „თავშენიწვას იანუსის მსგავსად ორი სახე აქვს: ერთი ილიმება, მეორე კი ტირის. იგი იხედება ერთ და იმავე დროს ცრემლების სამყაროსკენ და სიხარულის სამფლობელოსკენ.“ ნური სამოლიძემ კი მერიემის დაკარგვის შემდეგ საკუთარ თავში ისეთი სიმდიდრე, ისეთი სინაზე და ალერსიანობა აღმოაჩინა, ალბათ გაუკვირდა, რომ ასეთი სიყვარული შეძლებია... და ავტორი ამით წარმოგვიჩენს ამ მამაკაცის დაფარულ ღირსებას, რომელიც მერიემს ადრევე შეცნობილი ჰქონდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ქალთა უუფლებო მდგომარეობისა და უთანასწორობის პასაჟები ასევე გადმოცემული მოთხრობებში „ცოლყოფილი“ და „მამამთილი და ძალოები“.

„მიმწუხრის ჟამს ალეს აზრი და ფიქრი ცოლის ირგვლივ ტრიალებდა. მისი დაღლილი სული მარადიულობაში გადასახლებამდე პატიებასა და შენდობას ითხოვდა ცოლყოფილისაგან... ამ ორმოცი წლის წინ, არავინ იცის რატომ და რის გულისთვის, ალე დაშორდა პირველ ცოლს და ქალმაც ხუთი შვილი მარტომ გამოზარდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი შრომაც ჰქონდა და ჯაფაც, არც წვალება დაკლებია, მაგრამ ბედს მაინც არ ემდუროდა, რადგანაც სანაქებო შვილები გამოზარდა და გზაზე დააყენა.“ ცოლყოფილი ქალურ მარტოობას სწორედ შვილების სიყვარულითა და შრომით თრგუნავდა. მისი უგონო სიყვარული ქალმა ორმოცი წლის წინათ სამუდამოდ დამარხა და მის სულს მხოლოდ ზნესრული ადამიანისათვის აუცილებელი სულიერი სი-

მტკიცე კვებავდა. და, მაშინ, როცა ახლობლებმა მომაკვდავი ყოფილი ქმრის ნახვა სთხოვეს: „წარსულის ტანჯვითა და წვალებით განვლილმა ორმოცმა წელმა თვალწინ არაერთგზის აიარა და ჩამოიარა. ბევრჯერ აწონა და გაზომა წარსულში გადატანილ-განცდილი. მძიმე წარსულის გახსენება საბოლოო ნაბიჯის გადადგმისკენ აბრკოლებდა...“

„ადამიანები ყველა ცოდვის შვილებით ვართ და ჩვენი წილი შენდობა ყველას გვჭირდება,“ - ამ შეგნებით აპატია ქმარყოფილს ცოლყოფილმა. ის, რაც მოხდა წარსულში. ... ქალის ქვეცნობიერში სძინავდა მის პირველ სიყვარულს და არ უნდოდა ამდენი წლის შემდეგ მისი ხელახალი გაღვიძება. მაგრამ, რადგან სიტყვა ჰქონდა მიცემული დილა უთენია სახელდახელოდ მოიკაზმა და ქმარყოფილის სახლამდე ხელჯოხით მივიდა, თუმცა მასთან შეხვედრამდე ჯოხი ღობესთან დატოვა.

მიხეილ მახარაძე კალმის ერთი მოსმით აღწერს უმძიმეს ფსიქოლოგიურ მომენტს და ერთი დეტალის მოყვანით გადმოგვცემს ასაკიან ქალში ძველი სიყვარულის უნებლიე აფეთქებით გამოწვეულ გარდასახვას: „...მეორე სართულზე ასასვლელ კიბესთან ცოტახნით შეჩერდა და თავი კიდევ ერთხელ მოიწესრიგა. ერთგვარი ოხვრა-ნარევით ამოისუნთქა და ისე როგორც თავის დროზე, სადედოფლო კაბაში გამოწყობილი ამაყად აუყვა კიბეს. როგორც მაშინ, ახლაც თითქოსდა სადედოფლოდ მორთულ სამოსზე შაქარყინული გადაეყარა და წამიერად ტანში მაშინდელმა განცდილმა სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა.“

ავტორის პოზიცია ნაწარმოების დასასრულს, როგორც მოთხრობა „მერიემში“ აქაც „შეკითხვითი“ ხასიათისაა, რომელიც ჩვენგან პერსონაჟთა თანამოზიარობას მოითხოვს: „ცოლყოფილი ისე მორცხვად შევიდა ოთახში, როგორც მაშინ ალე, და კარიც შეიხურა... არავინ იცის ამ მოკლე დროში რა უთხრეს ერთმანეთს, ერთი კია, ხალხის თანდასწრებით ქმარყოფილს ცოლყოფილმა აპატია ის, რაც მოხდა წარსულში და მისგანაც სამაგიერო მოითხოვა.“

ავტორი საგანგებოდ საიდუმლო სამოსელში ხვევს ცოლ-ქმრის საუბარს. იგი ამ „შეკითხვითი პოზიციით“ მკითხველებს აახლოებს პერსონაჟებთან და მათთვის დამახასიათებელ სიტუა-

ციაში აქცევს. და, რაკი მკითხველები რჩევას ვერ იძლევიან, - ნებისთ თუ უნებლიედ ისინიც „ყოვლის გამგებნი“ ხდებიან: „ალეს, ლოყაზე კურცხალი ჩამოუგორდა. დასტურისთანავე ცოლყოფილი ქმარყოფილს სახეზე ეამბორა და თავისი ცრემლი მისსას შეერია...“ მათი სევდის მიზეზი ერთ და იმავე დროს სხეულებრივიცაა და ფსიქიურიც, ცნობიერიც და ქვეცნობიერიც. ცოლყოფილის სევდა ამასთან ერთად საკუთარი აზროვნების ბრძმედისა და საკუთარი ნების გავლენის ამსახველი განცდაცაა. და, როგორც ავტორი ამბობს: „აქაური წესების თანახმად, ცოლყოფილი მიცვალებულს სასაფლაოზე არ გაჰყოლია და ამ დღიდან აღარც შავები გაუხდია.“

ასეთია, ზოგადად ქალის სევდის, ხვედრისა თუ ბედის ნამდვილი სახე მიხეილ მახარაძის წიგნის „მერიემი“-ს მიხედვით, სადაც ავტორის იდეას ლეიტმოტივად გასდევს ის, რომ შეცდომის შესაძლებლობის შიშმა ხელი არ უნდა აგვალეზინოს ქვეშარტების ძიებაზე.

რაც შეეხება წიგნში შეტანილ მოთხრობას „მამამთილი და ძალოები“, მასში დაგმობილია „მანუს კანონებით“ გამეფებული აზრი, რომ „ქალი არასოდეს უნდა იყოს თავისუფალი მორჩილებისგან.“ ეს ნათქვამი კიდევ უფრო განმტკიცებულია იმ რელიგიური სწავლებებით, რომლებიც ერთხმად აცხადებდნენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებულ როლს. რაც, უპირველესად, იმაში გამოიხატებოდა რომ ქალებს არ ეძლეოდათ საზოგადოებაში სიტყვით გამოსვლის უფლება, რის გამოც დუმდნენ მიმართავდნენ.

ეს მოთხრობა განსაკუთრებით იმითაცაა საინტერესო, რომ მამაკაცების მიერ დამკვიდრებულ მავნე ტრადიციის აღმოსაფხვრელად ხმას იმაღლებს თავად მამაკაცი: „ინუს მახარაძეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა რძლებთან. აქ დამკვიდრებული ტრადიციით რძალი მამამთილს, მახლებს, უფროს მახლიშვილებს ხმამაღლა არ ელაპარაკებოდა ან საერთოდ არ ელაპარაკებოდა. ინუს მახარაძე კი ახალ რძალს მეორე დღესვე ეტყოდა: „ძალო არავითარი არ დალაპარაკება და არავითარი ჩურჩულით ლაპარაკი, სხვა მხრივ დამაფასე. ეს იყო მისი კატეგორიული მოთხოვნა, რაც ყველას როდი მოსწონდა...“

ქალთა უფლებრივი შეზღუდვის წინააღმდეგ მიხეილ მახარაძეს მოთხრობაში შემოჰყავს

უკვე დაბრძენებული შუახნის მამაკაცი, რომელსაც კარგად აქვს შეფასებული ქალის ღირსება, მისი როლი ოჯახსა თუ საზოგადოების წინსვლაში. ავტორი მსუბუქი იუმორის ფორმით იბრძვის პრივილეგირებულ და აღმატებულ არსებებად აღიარებულ მამაკაცთა მავნე წეს-ჩვეულების წინააღმდეგ.

„ერთხელ ინუს მახარაძე ახალგაზრდა რძალთან ერთად მთა თეთრობში მიდის. რამაზნის (მარხვის) თვეა... მამამთილის თანმხლები რძალი იხსენებდა, რომ რამაზნიანობის მიუხედავად, ძნელი იყო მჩქეფარე წყაროს წყლებისგან თავის შეკავება. როგორც კი საშუალება მომეცემოდა მაშინვე დავეწაფებოდი ცივ წყალს... როგორც იქნა მიაღწიეს სახლამდე. იფთრის დროც მოსულიყო. მამამთილს თუნგით მთის ცივი წყალი მიართვეს, მან კი ეს პატივი რძალს გადაულოცა. რძლის უარზე კი ღიმილით აღნიშნა - ჰო, მაგან ჯერ კიდევ სარეკლის ქალებში მოითავა იფთარიო. რა თქმა უნდა სარეკლის ქალებში მამამთილი რძლის მოქმედებებს ამჩნევდა, მაგრამ მისი ჰუმანური ბუნებიდან გამომდინარე, ამას არ იმჩნევდა.“

წინარმოების მთავარი გმირი ინუს მახარაძე დარწმუნებული იყო, რომ დრო აუცილებლად მოიტანდა დამკვიდრებულ ტრადიციების გადასინჯვას. ამასთან ერთად ავტორის მიერ საგანგებოდ შემოტანილი ეს ფსიქოლოგიური პასაჟი, კიდევ ერთხელ ამკვიდრებს აზრს რწმენის თავისუფლების აღიარებაზეც. ცნობილია, რომ სევდა ხშირად წარმოიშვება იმით, რომ ესა თუ ის მოგონება, ან მოგონებათა მთელი ჯგუფი მოსვენებას არ აძლევს ადამიანს: ასეთები არიან მოგონებები ვინმეს დაშორებისა, ან სიკვდილისა, ან კიდევ რომელიმე მარცხისა.

მიხეილ მახარაძემ წიგნის დასასრულს თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „მამა, დედა, დუდა და ...მე“ საგანგებოდ შემოინახა ის მოგონებები, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე შინაგანად მოსვენებას არ აძლევდა: „მე არ ვკუთვნი იმ ადამიანთა კატეგორიას, ვის ცხოვრებაშიც წარსულის სევდიანი მოგონებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მით უმეტეს, რომ ამის საფუძველს ჩემი განვლილი ცხოვრების გზაც არ იძლევა. და თუ მკითხველი ჩემს ამ მონათხრობში სენტიმენტალურ გრძნობებს მაინც ამოიკითხავს, ამისთვის ნუ დამძრახავს. თუ



ყოველთვის არა, ზოგჯერ ხომ მაინც განვლილ რეალურ ცხოვრებას აჩრდილივით თან სდევს გარკვეული სევდანარევი მოგონებები.

დავინწყებ იმით, რომ მშობლის, მშობლიური გრძნობის განცდა არ გამაჩნდა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. მამა შეიძლება ითქვას, არ მახსოვდა. დედასთან კი - არ გავზრდილვარ, დედასაც ვერ ვეძახდი.“

ამ სევდიანი მოგონების შემდეგ, უნებლიეთ გაგიელვებს აზრი: ვინ შეიძლება იყოს დედა-შვილზე უფრო ახლობელი ერთმანეთისათვის? - მაშინ, როცა ადამიანი სიკვდილის წინაც, - „ვაი, დედას“ - წარმოთქმით საშველად დედას უხმობს! ... მაგრამ თურმე ცხოვრებაში დგება დრო, როცა ირღვევა ეს ახლობლობა და გაუცხოვება ისადგურებს მათ შორის. „გაუცხოვებას მრავალი მიზეზი უდევს საფუძვლად. ზოგჯერ ეს საფუძველი კლასობრივი სხვაობაა, ზოგჯერ ადამიანური ღირსება, ზოგჯერ სიყვარული და ზოგჯერ კიდეც ვინ იცის რა. გამოდის, რომ გაუცხოება საბოლოოდ ადამიანის არსებობის თვისებაა.“

მიხეილ მახარაძისათვის დედასთან გაუცხოების მიზეზი მის მიერ ახალი ოჯახის შექმნა გახლდათ. „დედის როლს ჩემს ცხოვრებაში დღევანდელი გადასახედიდან წინანდელთან შედარებით სხვანაირად ვაფასებ. ეს სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა... როცა დედაჩემი ოჯახიდან წავიდა ის 21 წლისა არ იყო, მე კი 5 წლამდე 5 თვე მაკლდა... ახლა მესმის დედის მაშინდელი მდგომარეობა, მაშინ... იყო ჩვენთან მოსულ დედაზე ჩემი გამოტირება, მასთან ყოფნის დაუოკებელი ლტოლვა, ბევრი ცრემლი და სხვა. ეს უფრო პირველ სტადიაზე იყო, შემდეგ დიდგულობა ჩემი მხრიდან, რასაც აძლიერებდა ქვეცნობიერი ეჭვი მოცილის - ძმის დაბადება და ჩემს თვალში დედის მშობლიური გრძნობის გაორება, რაც ხანდახან დედის მიმართ ჩემი მხრიდან აგრესიასა და ბუტიაობაში გადადიოდა. ერთხელაც, დედას რაღაც ბანალურ ამბავზე აუხირდი და გავებუტე. მასთან აღარ დავდიოდი და დედისგან ეს გაუცხოება ნახევარ წელზე მეტხანს გაგრძელდა. სხვებისგან მომდიოდა ამბავი, თუ როგორ განიცდიდა ყველაფერს ამას დედა. მაშინ იმდენად გულქვა ვიყავი დედის მიმართ, რომ ყოველივე ასეთი ამბავი გულს კი არ მიღობობდა, არამედ უფრო მიქვავებდა...“

ამ ამონარიდის ქვეტექსტში აშკარად იკვეთე-

ბა „ოთარაანთ ქვრივის“ სიტყვები: „ვინ ვისთვისაა, - რა საკითხავია დედა-შვილობაში?... ვაი, რომ საკითხავი ყოფილა! ამის ჭიდილია თურმე დედა-შვილობაცა.“ ანალოგიური ფსიქო-ბიოლოგიური ფაქტორები გახლდათ დედა-შვილის მთავარ გამთიშავ ძალად „ოთარაანთ ქვრივის“ შემთხვევასა და მიხეილ მახარაძის მიერ დახატულ დედის საქციელში. მაგრამ, მაშინ ბავშვისათვის, შეუცნობადი იყო დედის უმწეო და დაუცველი მდგომარეობა. მისთვის მამის გარდაცვალებით გამოწვეულ ობლობაზე მტკივნეული, დედის გაუცხოებით მიყენებული სინანული გახლდათ. ალბათ, ამიტომაც ათეული წლები დაჭირდა გადასარწმუნებლად, როგორც მიხეილ მახარაძე თავის თავზე ამბობს, რათა „ურწმუნო თომასათვის“ აეხსნათ ამ გაუცხოების არსი.

და, თუ ამ პროცესებს დასკვნის სახით ჩამოვყალიბებთ, შეიძლება ვთქვათ: როცა სევდას სცვლის და მის ადგილს იჭერს სიხარული ადამიანისათვის ყველაფერი ადვილად მისაწვდომად ისახება. ისე, რომ მისთვის დაბრკოლებათა გარდუვალობა ჰქრება. მისი გეგმები რეალური შესაძლებლობით ისახებიან. ამ დროს ადამიანი სიხარულის ზეგავლენით ვეღარ ეტევა თავის ნაჭუჭში. მას სჭირდება გარეთ გამოვლენა: სამოქმედო მოედანზე გამოსვლა; სხვებთან კონტაქტის დაჭერა; თავისი კმაყოფილების; თავისი აღტაცების სხვისთვის გაზიარება, სხვისი თვალების, სხვისი ღიმილის, სხვისი ყურადღების თანხლება. ერთი სიტყვით, სხვათა მოყვასობის შეგრძნება. იგი ვერ ითმენს განმარტოებას. მას უჭირს თავისი სიხარულის მხოლოდ საკუთარი თავისადმი შენახვა, რამეთუ სიხარული ადამიანს თავისი საკუთარი თავის რწმენას, ნდობას ანიჭებს და გამბედაობას აღუძრავს. ისიც უნდა ითქვას, რომ სიხარული ადამიანს თავისი მისწრაფებების, თავისი ცხოვრების ღირებულების შეგნებას წარმოუქმნის და ამით ადამიანის იმედებს ფრთებს შეასხამს.

ასე რომ, სიხარულით აღვსილი ადამიანისათვის ყველაფერი მომხიბლავი და ღირებული ხდება. ალბათ, ამიტომაც გამოითანა სამზეოზე მიხეილ მახარაძემ თავისი აღსარებაც: „თბილისში, ჩემს ოჯახში, ჩემი საიუბილეო დაბადების დღის აღსანიშნავ 30 კაციან სუფრასთან მშობლების სადღეგრძელო ითქვა. მე ჩვეულებას არ ვუღალატე და სადღეგრძელო ასე და-

ვასრულე: „დედაჩემისთვის გათხოვება არ მი-
პატივდება!“ სიტყვა დამთავრებული არ მქონდა,
რომ ჩემმა ახლობელმა ახალგაზრდა ქალმა
ყანნი მოითხოვა, შეავსო და კითხვით მიმართა
სუფრის წევრებს: „- რისთვის ვართ შეკრებილი
ჩვენ აქ?“

შეკითხვას სხვადასხვანაირად პასუხობდნენ,
მაგრამ ყველა პასუხში ერთი უცვლელი ჩემი პე-
რსონა იყო და მის ირგვლივ ტრიალებდა ყველა-
ფერი. შეკითხვის ავტორმა ბოლოს ასე შეაჯამა:
„იმ ჩვენმა რძალმა, ბიცოლამ თუ ბებია მობა და
გვარსა და ჯიშს აჩუქა ის, ვის გამოც ვართ შეკრე-
ბილი და ვისითაც ვამაყოფთ. მეტი რა უნდა ექნა?
განა ეს საკმარისი არ არის?!“ - თქვა ეს და წარმოთ-
ქვა დედაჩემის სადიდებელი სადღეგრძელო...

პირველად ამ ფაქტმა შეარყია ჩემი ექვნიანი
პოზიცია, მაგრამ ბოლომდე ვერა.“

მოთხრობის ავტორს მეორე მაგალითიც მოჰყა-
ვს იმ სიხარულის გადმოსაცემათ, რომლის ძა-
ლისხმევით მისი პოზიცია ღირებული გახდა და
დედის სახე ხატად იქცა: „მამის გარდაცვალები-
დან 50 წელი აღვნიშნე მთაში, იქ სადაც გარდა-
იცვალა ის. ყველაფრის დამთავრების შემდეგ,
სოფლის ერთმა ამაგდარმა რძალმა და დიდმა
ქალბატონმა დამიმართოხელა. ჯერ ის მითხრა,
რომ მეგობრობდა დედაჩემთან. მას შეიძლება
სმენოდა დედაჩემის პატიება-არ პატიების თემა
და ისეთ რამეს მომიყვა, რომ ყველაფერს დაე-
სვა წერტილი.

„დედაჩემის საცხოვრებელი ადგილი საკმაოდ

მაღლობი იყო. მისი სახლის ახლო მოსახვე-
ვიდან ხელისგულივით ჩანდა გზა, სადაც უნდა
გამოევლო მათ დასახლებაში მიმავალს. შენ,
როცა თბილისიდან ჩამოხვიდოდი, დედაშენი
პატარა სკამზე იჯდა და გელოდა, როდის გა-
ივლიდი იმ გზაზე. ზოგჯერ ეს ლოდინი დღეე-
ბი გრძელდებოდა, თანაც ნებისმიერ ამინდში,
ზამთარსა თუ ზაფხულში. ხოლო, როცა მისგან
წამოვიდოდი, დედა თურმე მოსახვევთან რომ
გამომყვებოდა, იქ იცდიდა, ვიდრე დაბლა გზას
არ გავივლიდი. მაღლობა ამისთვის ქალბატო-
ნს, ვისმა ნათქვამმაც ყველაფერი ნათლად და-
მანახა და ამის შემდეგ ჩავწვდი დედის ხიბლს.
მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან დამაგვიანდა...“

მიხეილ მახარაძე ღრმა და ლამაზი, სუფთა,
უშუალო და უსაზღვრო გრძნობით ჩაქსოვილი
სტრიქონებით გადმოგვცემს ძლიერ პირად მღე-
ლვარებასა და ფსიქოლოგიურ პასაჟებს. ეს არის
ავტორის დაგვიანებული მონანიება და დიდი
ილიას სიბრძნის რწმენა, რომ: „დედის გული
ზღვა არის სიყვარულისა... დედა-შვილური სი-
ყვარული მძლეთა-მძლეთა.“ ასეა, შენი ცხოვრება
შენივე პატარა მათიანია. ესა თუ ის ვითარება,
ყოველი ფეხის ნაბიჯზე რომ აწყდები, ოდესმე
მაინც უკან მიგახედებს.

შეიძლება ვთქვათ, რომ მიხეილ მახარაძის
მოთხრობების წიგნის „მერიემის“ პერსონაჟი
ქალები ზნესრული ადამიანები ანუ საქმით მე-
ტყველნი არიან, რომელთაც მხოლოდ და მხო-
ლოდ სიყვარული უნათებს გზას.



**ალექსანდრე ლორია**

გასულ წელს გამოცემულ ქართულ წიგნებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ახალი სახელმძღვანელოს გამოჩენა, შეიძლება ითქვას, ახალი დარგის ფარგლებში, როგორცაა „გამოცემათმცოდნეობა“. ეს არის ქეთევან გიგაშვილისა და მაია ნინიძის ავტორობით შექმნილი ამ სახელწოდების სახელმძღვანელო დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებისათვის. (თბ., 2020-436 გვ.) წიგნის რედაქტორები არიან ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორები: მანანა რაფავა და ლელა შათირიშვილი, გამომცემლობა – „დავაპოლიგრაფი“.

როგორც ავტორიზებულ ანოტაციაშია გაცხადებული: „...სახელმძღვანელო პირველია საქართველოში გამოცემათმცოდნეობის სფეროში. იგი განკუთვნილია სადოქტორო საფეხურის სტუდენტებისათვის, თუმცა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფილოლოგიის მიმართულებისა და მონათესავე დარგების სამაგისტრო პროგრამებშიც, განსაკუთრებით ტექსტოლოგიის განხრით“.

სტრუქტურული თვალსაზრისით, ნაშრომში დაცულია სახელმძღვანელოს აგების მეთოდოლოგია - იგი დაყოფილია თავებად და პარაგრაფებად, მნიშვნელოვანი სიტყვები, გამოთქმები და ციტატები გამოკვეთილია. შესავალს მოსდევს ათი თავი: 1. გამოცემათმცოდნეობა, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგი, 2. გამოცემის წინარე ისტორია, 3. ბეჭდური ერა

გამომცემის

წიგნის ისტორიიდან, 4. პრესის ისტორიიდან, 5. გამოცემის თეორია, 6. აკადემიური გამოცემის თეორია, 7. სხვადასხვა ჟანრის ტექსტების აკადემიური გამოცემების საგამომცემლო კონცეფცია, 8. გამოცემის პრაქტიკა და საგამომცემლო გადანყვეტილებები, 9. ციფრული ფორმატი და ელექტრონული გამოცემები, 10. საავტორო უფლებები.

არამართო მოცულობის, არამედ შინაარსობრივი თვალსაზრისითაც, ნაშრომი ნამდვილად აჭარბებს სახელმძღვანელოს ფუნქციებს. მაგალითად, ასეთია ადრეულ პერიოდში გამოქვეყნებული გამოცემების ანალიზების მეტისმეტად გაშლილად წარმოდგენა და სხვ. თუმცა ეს დიდ დაინტერესებას იწვევს მკითხველებში.

დასახელებული სახელმძღვანელო მოიცავს როგორც ისტორიულ, ისე თეორიულ და მეთოდიკურ (პრაქტიკულ) საკითხებს, რითაც სავსებით ამართლებს სახელმძღვანელოს პრინციპებს, მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს.

რაც შეეხება წყაროების მითითებებს, მათი ერთობლივი თავმოყრა საშუალებას იძლევა ითქვას, რომ ეს არის წიგნშიდა ბიბლიოგრაფიის ნიმუში. აქ მოცემულია არა მარტო წიგნური თუ საჟურნალო გამოცემები, არამედ ინტერნეტწყაროებიც, ქართულ და უცხო ენებზე.


როგორც შესავალშია ნათქვამი, „გამოცემათმცოდნეობა, როგორც ჰუმანიტარიის დარგი, საქართველოში ცალკე სამეცნიერო დისციპლინად არასდროს ყოფილა გამოყოფილი“. ამ მიმართულებით შესრულებული კვლევები შერწყმული იყო ტექსტოლოგიასთან და მასთან ერთად მოიაზრებოდა... „შედეგად, ფილოლოგთა წრეებში გამოცემა არა სამეცნიერო აქტივობასთან, არამედ ხელობასთან, კერძოდ, ბეჭდვასთან დაკავშირებულ საქმიანობასთან იყო გაიგივებული“. პირველად ქართულ რეალობაში სადოქტორო პროგრამის ფარგლებში მოხდა

ცალკე სამეცნიერო მიმართულებად „ტექსტოლოგიისა“ და „გამოცემათმცოდნეობის“ გამოიყოფა და ტერმინიც „გამოცემათმცოდნეობა“ პირველად გაჩნდა. ასეთ შემთხვევაში, უდავოდ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენ მიერ განხილულ წიგნს.

ამ გამოცემის გულდასმით შესწავლით, ჩვენი ჟურნალის მკითხველები -ძირითადად, სა-

ბიბლიოთეკო დარგის სპეციალისტები, ბევრ საინტერესოსა და სასარგებლო მასალას ნახავენ თავიანთი პროფესიული ცოდნის გასაღრმავებლად.

ჩვენ მიერ აქ მოწოდებულ წერილს რეცენზიის პრეტენზია არა აქვს. ის, ძირითადად, საჭირო ინფორმაციასა და რეკომენდაციას იძლევა და ავტორის შეხედულებას გამოხატავს.





საუბრები საყუარდებო თემებზე



ნათია კობახიძე

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუები, რომლებიც უნდა შემოგთავაზოთ ამ გვერდზე, ჩემთვის, კითხვების დამსმელისთვის, ძალიან საინტერესო და საფრთხილო საქმეა. აქ კითხვებს შეზღუდული შესაძლებლობები ს მქონე პირები ან

მათი ოჯახის წევრები უპასუხებენ. ჩვენს ქვეყანაში ხშირად ეცნობით მათ ამბებს სიუჟეტებით, სტატიებით, იგებთ იმას, თუ როგორ ცხოვრობენ, რა პრობლემები აქვთ, როგორ გადალახეს ბარიერები, რომლებიც დახვდათ და ახლა როგორ არიან. თუმცა იშვიათად მინახავს, ვინმეს მათ-

თვის საჯაროდ ეკითხოს აზრი სხვა თემებზეც, მათთვის სპეციფიური საკითხების მიღმა. ამიტომ მარსელ პრუსტის ცნობილი კითხვარიდან დავსვამ რამდენიმე კითხვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე რესპოდენტებთან. ვფიქრობ, ეს ინტერვიუები მკითხველს დაანახებს, რომ შშმ პირები უცხოპლანეტელები არა ვართ, მოზიარენი ვართ იმ პლანეტის ყოფისა, რომელზეც ყველანი ერთად ვცხოვრობთ ფიქრებით, გრძნობებით, ემოციებით, განცდებით.

ამ ინტერვიუს რესპოდენტი სტანისლავ ციბულსკია, „ვერმხედველი“. მართალია, ეს ტერმინი ჩვენში არ გამოიყენება, მაგრამ ეს ჩემი საავტორო გვერდია და სინათლეს, გარდა იმისა, რომ შუეს აღნიშნავს, ჩვენს ქვეყანაში სხვა მნიშვნელობაც აქვს, რაც, ვფიქრობ, არ არის უმნიშვნელო. ამიტომ ჩემს წვლილ აგურს დავდებ ტერმინ „უსინათლოს“ შეცვლაში და მას ასე მოვიხსენებ - „ვერმხედველი“.

„ჩემთვის სამშობლო ის ადგილია, სადაც დაბრუნება მინდება, სადაც მელოდებიან“.

სქანისკოვ ჟიბუკოსკი

**სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის მაგისტრი,
პოეტი, მთარგმნელი**

1. *ჩა ახის თქვენთვის სხედყოფილი ბედნიეხება?*

კონკრეტული საზრისის ქონა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთი რამე მქონდეს ნაპოვნი, რაც მნიშვნელობას შესძენდა ყველაფერს, რასაც ვაკეთებ. ძველად მსგავსი საზრისის როლში სხვადასხვა იდეოლოგიები გამოდიოდნენ, თუნდაც პატრიოტიზმი, რელიგია და სხვ. ჩვენს ეპოქაში, ვფიქრობ, საჭიროა უფრო კონკრეტული, ხელშესახები საზრისი, ისეთი, რომელიც ამ რეალობაში არსებობს და რომელთანაც ყოველდღიური კონტაქტია შესაძლებელი. ერთ დროს ჩემთვის ასეთი რამ იყო ხელოვნება, თუმცა მალევე დავრწმუნდი, რომ ჩემთვის ისიც ზედმეტად აბსტრაქტული იყო.

2. *ბოღოს ხოღის გაიცინეთ?*

ახლა, როცა ეს კითხვა დამისვით.

3. *ბოღოს ხოღის იგიხეთ?*

ვგონებ 15 წლის ასაკში, ზუსტად ვერ გავიხსენებ. ჩემი ბავშვობის გარკვეული ეტაპის შემდეგ ტირილის უნარი თითქოს წამერთვა. ვფიქრობ, ეს ერთგვარი ფსიქოლოგიური ბლოკია, რომელიც საზოგადოებაში გავრცელებულმა სტერეოტიპმა გამოიწვია, რომლის თანახმადაც ტირილი მამაკაცს არ შეეფერება. ალბათ, თავის დროზე, ამან ჩემზე იმაზე მეტი გავლენა მოახდინა, ვიდრე მე ეს მქონდა გაცნობიერებული.



სტანისლავ ციბულსკი

4. *ხა ახის თქვენი განსაკუთრებული თვისება?*

მოსმენის უნარი. ბევრისგან მაქვს გაგონილი, რომ იდეალური მსმენელი ვარ.

5. *ყველაზე მეტად ხისი გეშინიათ?*

უძღურების იმგვარ სიტუაციაში, როცა ჩემთვის ძვირფასი ადამიანი რთულ მდგომარეობაშია, მე კი იძულებული ვხვდები დამკვირვებლის როლით დაკვამაყოფილდე და ფაქტობრივად ვერაფერს ვაკეთებ სიტყვიერი გამხნევების გარდა. ყველაზე მძაფრად მაშინ ვგრძნობ, რომ ადამიანის შესაძლებლობები შეზღუდულია და თანაც ნებისმიერი ადამიანის, სტატუსის მიუხედავად.

6. *ვინ ახიან თქვენი გმიხები ახლა?*

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვერ ვანიჭებ ისეთ ადამიანებს, ვისაც პირადად არ ვიცნობ, ამიტომ აქ ჩემი სანაცნობო წრით შემოვიფარგლები. გმირად კი სულ ოთხ ადამიანს დავასახელებ. პირველი ჩემი შეყვარებულია- ადამიანი, რომელსაც უამრავი გამოწვევისა და იმედგაცრუების მიუხედავად, კვლავაც სჯერა ადამიანების და მეც იგივეს მასწავლის. მასთან ერთად

ვსწავლობ, როგორ დავინახო ადამიანის უკეთესი მხარე და ვენდო მას, თუნდაც ეს ნდობა თავის თავში გარკვეულ რისკს შეიცავდეს. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი უნარია. მართალია, გადამეტებული და უპირობო, არც ნდობა ვარგა, ეს, ფაქტობრივად, საკუთარი საზღვრების დაცვის უუნარობას ნიშნავს. მეორე მხრივ, არც იმ, ბოლო დროს პოპულარულ კლიშეს ვეთანხმები, რომ „ადამიანი ადამიანისთვის მგელია“ და საკუთარი თავის გარდა არავის უნდა ენდო. ეს დესტრუქციული გზაა, რომელზეც ადამიანი ვერასდროს იქნება ბედნიერი. ამიტომ, გარკვეული შუალედის დაჭერა მნიშვნელოვანია. მეორე ადამიანი, ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის მშობელია, რომელიც საკუთარი და თავისი შვილების ბედნიერებისთვის მყარად დადგა საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ და გაიმარჯვა. ბევრს ეს არ შეუძლია და დანებებას არჩევს. მესამე ჩემი დედაა. ბავშვობიდან კარგად ვხედავდი, რამდენი დიდი და მცირე დაბრკოლების გადალახვა უნევდა. ამის მიუხედავად შეძლო ბოლომდე კარგი დედა და მეგობარი ყოფილიყო ჩემთვის, მოეცა ის, რამაც დღევანდელი მდგომარეობამდე ისეთად მიმიყვანა, როგორც ვარ.

და ჩემი ახალგაზრდა მეგობარი, რომელიც სოცმუშაკის პოზიციაზეა დასაქმებული.

ვილაცის უანგაროდ დახმარება მისთვის ისეთივე ბუნებრივი საქმიანობაა, როგორც სუნთქვა. ასე მგონია, არასოდეს ჩერდება და ამას ისე მარტივად აკეთებს, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე, ვფიქრობ, ამაში მართლაც ვერ ხედავს ვერაფერს განსაკუთრებულს, უბრალოდ ხედავს, რომ ვილაცას რაღაც სჭირდება და თუ შეუძლია, აკეთებს. ამასთანავე ახერხებს, უკარგესი დედა, მეუღლე და მეგობარი რომ იყოს.

7. *თქვენი მხატვრული გმიხები ?*

ლევ მიშკინი - დოსტოევსკის „იდიოტი“; სევერუს სნეიპი - როულინგის „ჰარი პოტერი“; მიდორი კაბაისი - მურაკამის „ნორვეგიული ტყე“. გმირებით სავსეა აგრეთვე ჩემი მეგობრის, დამწყები მწერლის წიგნი, რომელიც ჯერ არც გამოქვეყნებულა და სათაურიც კი არ აქვს, თუმცა ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში ცნობილი გახდება საზოგადოებისთვის.

8. *თქვენი ყველაზე შთამბეჭდავი მოგზაურობა?*

2011 წელს პირველად გავემგზავრე უცხოეთში, პოლონეთში. იქ ოთხი თვე დავყავი, აღმოვაჩინე



ნე უამრავი ახალი სახე, პირველ რიგში კი, საკუთარი თავი სრულიად ახალი კუთხით გავიცანი. ფაქტობრივად, ეს ის ერთ-ერთი გარდამტეხი ეპიზოდი აღმოჩნდა, რომელმაც ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია.

9. თქვენი საყვარელი ავტორები?

დიმიტრი ემეცი, ჰარუკი მურაკამი, იოსებ ბროდსკი, ჰენრიკ სენკევიჩი, ბოლესლავ პრუსი, გურამ დოჩანაშვილი.

10. თქვენი საყვარელი კომპოზიციები?

შოპენი, კეიკო მაცუი.

ბოლო დროს იაპონურ მუსიკას ვუსმენ ძირითადად, მაგრამ ავტორებით ყოველთვის არ ვინტერესდები, ამიტომ სია შეიძლება არ იყოს ზუსტი.

11. ხას მიიჩნევთ თქვენს ყველაზე დიდ მიღწევად?

იმ საზრისის პოვნას, რომლის მნიშვნელობაზეც დასაწყისში ვისაუბრე. ამის შემდეგ დარწმუნებული ვარ, რასაც არ უნდა მოვკიდო ხელი, ხარისხიანად გავაკეთებ ან, ყოველ შემთხვევაში, ვეცდები ხარისხიანად გავაკეთო. კარგი და სწორი მოტივაცია, ჩემი აზრით, წარმატების ორი მესამედი, მეტი თუ არა.

12. თახილი, ხომელსაც გამოგოვებდით თქვენს ცხოვრებაში?

გულწრფელი რომ ვიყო, არ გამოვტოვებდი არც ერთს. იმას ცხადია ვერ ვიტყვი, თითქოს

ჩემი ცხოვრება იდეალური იყო და შეცდომები არ დამიშვია, თუმცა, საბოლოო ჯამში, ყველა თარიღმა მიმიყვანა ზუსტად იქ, სადაც მინდა, რომ ვიყო. რომელიმე მათგანი რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, სად აღმოვჩნდებოდი. პეპლის ეფექტი არამხოლოდ მხატვრულ ლიტერატურაზე ვრცელდება, დარწმუნებული ვარ, რეალურ ცხოვრებაში ეს მექანიზმი ისეთ შედეგებს იძლევა ხოლმე, რომ შესაძლოა არც ერთ ავტორს მოსვლოდა აზრად.

ასე რომ, მირჩევნია, კალენდარი ისეთად შევინარჩუნო, როგორც არის.

13. ხა ახის თქვენთვის სამშობლო?

ადგილი, სადაც დაბრუნება მინდება, სადაც მელოდებიან. მას დაბადების ადგილს ან ეროვნებას არ ვუკავშირებ. ვფიქრობ, სამშობლო, შენი სახლი იქ არის, სადაც გეგულება ვინმე, ვისთანაც დაბრუნებას ისურვებდი, ყველაზე შორეული მოგზაურობიდანაც კი.

14. თუკი ოდესმე შეხვედბოდიტ ღმერთს, ხას ისუხვებდით, ხომ თქვენთვის ეთქვა?

რაშია ტანჯვის დანიშნულება? აქ არ ვგულისხმობ ტანჯვას, რომელმაც რაღაც უნდა გასწავლოს და საბოლოოდ შენთვის საუკეთესო შედეგამდე მიგიყვანოს, არამედ ტანჯვას, რომლისგანაც გამოსავლის საშუალება ადამიანს ფიზიკურად არ აქვს. რისთვისაა საჭირო ის? და რა კრიტერიუმებით ირჩევინ ადამიანები, რომელთაც ეძლევათ შანსი მიაღწიონ ბედნიერებას?

ესაუბრა ნათია კობაძე

მოკონება

**ირაკლი ღარიბაშვილი
(1960-2021)**



ირაკლი ღარიბაშვილი

ადამიანმა ღირსეულად რომ იღვანო, უპირველეს ყოვლისა, თავდაპირველად თვითონ უნდა დაეუფლო ცოდნას და გამოცდილებას. ამ მხრივ ირაკლი ღარიბაშვილი სამაგალითო პიროვნება იყო. მან თავისი განათლების მიმართულება ბავშვობიდანვე შემოხაზა, როდესაც თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლას მიაშურა, სადაც 1974-1977 წლებში წარმატებულად სწავლობდა. 1983 წელს უკვე მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი დაამთავრა და ინჟინერ-ფიზიკოსის სპეციალობას დაეუფლა, ხოლო 1989 წელს დაასრულა მოსკოვის მეცნიერებათა აკადემიის მაღალი ტემპერატურების ინსტიტუტის ასპირანტურა თერმოდინამიკისა და მოლეკულური ფიზიკის კურსით.

რამდენად საოცარი არ უნდა გვეჩვენოს, მრავალმხრივად დაინტერესებულ ახადგაზრდას არ აკმაყოფილებდა შეზღუდვა რაიმე ვიწრო დარგით და ის მთელი სიცოცხლის მანძილზე მუდმივ ძიებაში იყო, რომ, რამდენადაც შეიძლებოდა, გაეფართოებინა თავისი გონებრივი შესაძლებლობები და მეტი გამოცდილება მიეღო. დიდი მონდომებით შეძლო სამ უცხო ენას დაუფლებოდა: რუსულს, ინგლისურსა და ფრანგულს. თავისუფლად კითხულობდა ამ ენებზე წიგნებს. გულმოდგინედ მუშაობდა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლაზე. ამ საქმეში დახელოვნდა, სავსებით სრულყო თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნა, რასაც შემდგომში ახალგაზრდა სპეციალისტებს უზიარებდა.

საჭირო წყაროების ძიებამ და ინფორმაციუ-

ლი მუშაობის უცხოეთის გამოცდილებამ ბიძგი მისცა, ცხოვრებაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოში მოქმედ საინფორმაციო ცენტრებისათვის, როგორც მაშინ დიდი სამეცნიერო და უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები და წიგნის პალატა წარმოადგენდა. ამ სფეროს მაშინ ჰაერით ესაჭიროებოდა სპეციალისტები, რომლებიც შეძლებდნენ ახალი ტექნოლოგიებით ემუშავათ. დაიწყო მათი მასობრივად მომზადება, რაშიც ირაკლი ღარიბაშვილი მთელი თავისი ენერგიით იყო ჩართული. შეიძლება ითქვას, რომ ის ამ დარგის პიონერი იყო საქართველოში. ამან ხელი შეუწყო იმას, რომ ის მჭიდროდ დაუკავშირდა საბიბლიოთეკო საქმიანობას და არნახული ღვაწლი დასდო ამ დარგის განვითარებასა და გათანამედროვეობას. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს მოუწია, შრომითი საქმიანობა განეგრძო ისეთ დაწესებულებებში, როგორიც იყო მოსკოვის ოლქის კურჩატოვის სახელობის ატომური ენერჯის ინსტიტუტის ფილიალი, თბილისის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი, სადაც მან შეძლო წარმატებით ეღვაწა, იქვე მიიღო პრაგმატული გადაწყვეტილება, საქართველოში ემუშავა განათლებისა და კულტურის განვითარებისათვის და ხელი შეეწყო თანამედროვე ინფორმაციის ახალი ტექნოლოგიის დანერგვისათვის. 1993 წლიდან ი. ღარიბაშვილი მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში განყოფილების გამგედ. შემდეგ საქმიანობა განაგრძო საქართველოს წიგნის პალატაში; რამდენიმე წელი იმუშავა ილიაუნის ბიბლიოთეკის დირექტორად, სადაც მისი ინიციატივით ინფორმაციული წიგნიერების კურსი შევიდა სასწავლო პროცესში. შემდეგი წლები კი სოცოცხლის ბოლომდე იყო ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი. ყველა ამ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობის პერიოდში ირაკლი ღარიბაშვილი დაუღალავად შრომობს ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავებისთვის, ეცნობა და სტაჟირებას გადის მსოფლიოს ცნობილ ბიბლიოთეკებში, როგორებიცაა: ბრემენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, დიდი ბრიტანეთის ოქსფორდის უნი-



ვერსიტეტის ბიბლიოთეკა, საფრანგეთის ეროვნული საბიბლიოთეკო სკოლა, აშშ ჯორჯიის შტატის ბიბლიოთეკები, დიდი ბრიტანეთის აბერდინის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა. ესწრება და მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ სემინარებსა და კონფერენციებში, სადაც თანამედროვე საბიბლიოთეკო დარგის პრობლემებს იხილავდნენ. მაგალითად, ესწრებოდა თათბირებს ევროპის სტანდარტიზაციის კომიტეტის მიწვევით (სლოვენია), დაესწრო უნიკოდის კონსორციუმის წლიურ კონფერენციას (მაინცი), ევროპის ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის წლიურ კონფერენციას (პარიზი), კონფერენციას საბიბლიოთეკო კლასიფიკაციისა და ახალი გამოწვევების თემაზე (ჰააგა), მონაწილეობდა საბიბლიოთეკო საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც სამხრეთ აფრიკაში გაიმართა და სხვ. ამ კონფერენციებში მონაწილეობის დროს ირაკლი ღარიბაშვილი ყოველთვის ცდილობდა, წარმოეჩინა საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემის საქმიანობა.

აღსანიშნავია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი მჭიდრო კავშირს ამყარებს ცნობილ უცხოელ სპეციალისტებთან, აქვს მათთან ოფიციალური მიმონერა. არაერთი მათგანი მოუწვევია საქართველოში მის მიერ მომზადებულ სემინარებზე. ამის დასტურია აშშ და ამიერკავკასიის ასოციაციების ერთობლივი კონფერენცია, რომელიც მისი ინიციატივით თბილისში გაიმართა.

ირაკლი ღარიბაშვილი თვითონ იყო მრავალი პროექტის ავტორი, რომელთა დაფინანსებას უცხოური ორგანიზაციების მიერ წარმატებით აგვარებდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი მოღვაწეობა კონსორციუმში - ელექტრონულ მონაცემთა ბაზებისათვის. მისი დამსახურებაა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის შესვლა „იფლას“ შემადგენლობაში. იგი იყო საქართველოში ბიბლიოთეკების ავტომატიზაციის დამფუძნებელი და გამგეობის წევრი.

ირაკლი ღარიბაშვილის მოღვაწეობის ფართო ასპარეზი გამოვლინდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტად მისი მუშაობის დროს (2000-2014). ამ პერიოდში ის განაგრძობდა საბიბლიოთეკო პრაქტიკულ საქმიანობას. მისი ინიციატივით ასოციაციის ბაზაზე დაარსდა სასწავლო ცენტრი ბიბლიოთეკარებისათვის, ასევე ყოველწლიურად ტარდებოდა საბიბლიოთეკო კვირეული.

ირაკლი ღარიბაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ისეთი პროექტების განხორციელებაში, როგორებიც იყო: ბიბლიოთეკების მენეჯმენტი - საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ინტერნეტის სტანდარტიზაცია, ელექტრონული დოკუმენტების მიწოდების სამსახური, უფასო ინტერნეტის მომსახურებისა და სწავლების ცენტრები, საქართველოს ეროვნული სტანდარტი - ქართულ ასონიშანთა კოდირება, უნიმარკის გამოყენება ბიბლიოგრაფიული მომსახურებისათვის, ქართული ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზები, ინგლისურ-რუსულ-ქართული ინტერაქტიული ლექსიკონი, საქართველოს ბიბლიოთეკების სტატისტიკა - ინტერნეტ გამოცემა, ელექტრონული პერიოდული გამოცემების გავრცელება საქართველოს ბიბლიოთეკებში და მრავალი სხვა. საყურადღებოა მისი მონაწილეობით სამაგისტრო პროგრამის შექმნა, საბიბლიოთეკო საინფორმაციო მიმართულებით, ილიას უნივერსიტეტში.

ირაკლი ღარიბაშვილი ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო საბიბლიოთეკო ასოციაციასთან არსებული ჟურნალის - „საქართველოს ბიბლიოთეკა“. მისი დახმარებით ჟურნალი ბევრჯერ გამართულა წელში, როცა ის თვითდაფინანსებაზე იყო - მოუპოვებია სხვადასხვა ორგანიზაციებიდან სახსრები, რის წყალობითაც არ მომხდარა იმ პერიოდში არც ერთი ნომრის დაგვიანებითი გამოცემა თუ ჩავარდნა.

სადაც არ მუშაობდა როგორც ხელმძღვანელი, ირაკლი ღარიბაშვილი ყველგან გამოირჩეოდა თავისი პროფესიონალიზმით, საქმის სიყვარულით, შრომის დიდი წყურვილით, მოთმინების უნარით, უბრალო და სადა ადამიანურობით. როგორც მოქალაქე, გამოირჩეოდა მაღალი პასუხისმგებლობით, კომუნიკაბელურობით, თავმდაბლობით. როგორც იტყვიან, იყო „ღიმილიანი კაცი“, რაც კიდევ მეტ ხიბლს მატებდა მის გარეგნობას. ირაკლი ღარიბაშვილი ყველასათვის მოულოდნელად და უეცრად გარდაიცვალა და დატოვა ძვირფასი ოჯახი, მეგობარ-ნათესავები, ახლობელი ადამიანები, კოლეგები, საყვარელი საქმე და ყველას, ვინც კი იცნობდა მას, დიდი მწუხარება და გულისტკივილი დაუტოვა.

აღმსახურებელი ღირსია



ციალა ჩიკვაშვილი

ციალა ჩიკვაშვილი (1930-2021)

დროის მსახვრალმა ხელმა კიდევ ერთი ჩვენი კოლეგის სიცოცხლე შეინირა - 91 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკის ყოფილი თანამშრომელი ციალა ჩიკვაშვილი. მან თითქმის ნახევარი საუკუნე იმუშავა ეროვნულ ბიბლიოთეკაში და თავისი ყოველდღიური თავდაუზოგავი და კეთილსინდისიერი შრომით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის მთავარი ბიბლიოთეკის განვითარების პროცესში.

ციალა ჩიკვაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა ჯერ ანბანური კატალოგების განყოფილებაში, შემდეგ გადავიდა ქართველოლოგიის განყოფილებაში, რომლის შემადგენლობაში იმხანად შედიოდა რარიტეტის საცავიც. ციალა ჩიკვაშვილისთვის, რომლის ბუნებაშიც ერთნაირად და დიდი დოზით იყო შეხამებული ნიჭი, პასუხისმგებლობის გრძნობა, ცნობისმოყვარეობა და შრომისმოყვარეობა, რარიტეტსაცავი პროფესიული განვითარების ახალი საფეხური აღმოჩნდა. მას საშუალება მიეცა, გაცნობოდა როგორც ქართული წიგნბეჭდვის იტორიას, ასევე ზოგადად, იშვიათ გამოცემებს, მათი მოვლა-პატრონობისა და დაცვის სპეციფიკას.

რარიტეტში მუშაობის შემდეგ, ციალა ჩიკვაშვილს დაევალა ბიბლიოთეკის სწავლული მდივნის მეტად საპასუხისმგებლო და რთული საქმე. ღრმა პროფესიული ცოდნისა და პირა-

დი თვისებების წყალობით ციალა ჩიკვაშვილი ეროვნულ ბიბლიოთეკის ავტორიტეტული თანამშრომელი გახდა. იგი აქვეყნებდა წერილებს საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში. წლების განმავლობაში იყო საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი - ლექციებს კითხულობდა ქართული კულტურის საინტერესო საკითხებზე. 1964 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოსცა ციალა ჩიკვაშვილის მიერ შედგენილი „კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერებისა და საარქივო მასალების კატალოგი“.

1960 წლიდან ციალა ჩიკვაშვილი დაინიშნა ნაციონალური და უცხოური ლიტერატურის (1985 წლიდან - უცხოური ლიტერატურის) დამუშავების განყოფილების გამგედ. საბჭოთა პერიოდში სახელმწიფო ცენზურა მკაცრად ადევნებდა თვალს განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებიდან ბიბლიოთეკებში წიგნების შემოდინების პროცესს. რეალობიდან გამომდინარე, ასეთი განყოფილების ხელმძღვანელობა მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმე იყო. თითქმის 40 წელი იმუშავა ციალა ჩიკვაშვილმა ამ პოზიციაზე. დღეს თუ ეროვნულ ბიბლიოთეკას უცხოური წიგნების მდიდარი ფონდი და მოწესრიგებული საძიებო აპარატი აქვს, ლომის წილი ციალა ჩიკვაშვილისა და მისი თანამშრომლების კეთილსინდისიერი და თავდაუზოგავი შრომის შედეგია.

ციალა ჩიკვაშვილს 1976 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება. წლების განმავლობაში მას მიღებული ჰქონდა სხვადასხვა სახის ჯილდოები და სიგელები.

რა სამწუხაროა, რომ წარსულ დროში გვიწევს საუბარი ამ დიდებულ ადამიანზე.


მანია მიქაბერიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის 2020 წლის გამოცემები



დავითაშვილი, რუზო

ნეტავი ფრთები მქონიყო: [კრებული] / წინათქმა ნაზი დავითაშვილისა; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2020. - 140 გვ.



ჯიჟონაია, გიგა

კირბები, ელეგიები, რობაიები / რედაქტორი კონსტანტინე გამსახურდია / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2020. - 282 გვ.




მასარაძე, ირაკლი

ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი 1880-1924 - Benjamin (Benia) Chkhikvishvili 1882-1924: [ალბომი] / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ.: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2020 - 146 გვ. - ქართულ და ინგლისურ ენებზე.




ბანია-მჭიკვიშვილი, სალომე

აფხაზურ-ქართულ ეთნოგრაფიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი / რედაქტორი თეიმურაზ გვანცელაძე; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2020. - 148 გვ.




რაიიშვილი, ნოე


ისტორიული მატერიალიზმი / რედაქტორი გურამ ყორანაშვილი; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - მესამე გამოცემა. - თბ., 2020. - 200 გვ.




რეპრესირებულია ჩანაწერები / შემდგენელ-რედაქტორი ქეთევან ტომარაძე; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2020. -186 გვ.



ჩვენ მშობობა [ნოტი]: ქართული ხალხური სიმღერა: 1907-2005 წლებში ჩანერილი 40 რჩეული აუდიონიმუში / ნოტებზე ჩანერა და შეადგინა დავით შულღიაშვილმა; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ.: თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, 2020. - 280 გვ.



ხოსიტაშვილი, მირიან
ართვინი ქართული პრესის ფურცლებზე / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2020. - 100 გვ.





საქართველოს დამფუძნებელი კრება:

სხდომების ოქმები: ტომი 8, 1921 წლის 1 იანვარი - 17 მარტი / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა; იდეის ავტორი და შემდგენელი ირაკლი იაკობაშვილი; რედაქტორი და საძიებლის შემდგენელი მზია ხოსიტაშვილი; თბ., 2020. – 651 გვ.

ჭანდური, გიორგი; ჟაღაბიძე, მერი; ველიძე, გიორგი

სასკოლო განათლების ისტორია 1990-2020 წწ. / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2020. – 163 გვ.



გუჯაზიანი, როზაბა

ჯუნის ონიანი (1926-2012). ქართული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა, წიგნი IV [სადისერტაციო ნაშრომი] / საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. - თბ., 2020. – 242 გვ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა [ალბომი]. - თბ., 2020. – 152 გვ.

ნ. ნიკოლაძის სახელობის ქ. ფოთის საბავშვო ბიბლიოთეკა



ქშნკვ საზოგადოების სამკითხველო ფოთში





ნიკო ნიკოლაძე